


ଶ୍ରୀମତୀ

(ସ୍ଵରଗୀୟ ମହିଳା)



ზვიაღ ნეფასიძე
(მეცნიერებელი)

შპს

2013

ავტორისაგან

აი, კვლავ თქვენთან ვარ.

ეს წიგნი ჩემთვის მეორეა. ის არ იმურებს პირველი წიგნის არცერთ ლექსს. ჩემი მკითხველის მადლობელი ვარ, მხოლოდ ისინი მაძლევებ წერის სტიმულს. რთულია, თავს პოეტი უწოდო და თუ ხალხს უნდა, პოეტი მიწოდოს, მაშინ მე ვიქები პოეტი, რომელიც წერს ხალხით და ხალხისთვის.

მე არ ვთვლი, რომ პოეტს მისი ლექსების დახახასიათებლად სხვა ნებისმიერი მწერლის, პოეტის, თუ კრიტიკოსის ნინასიტყვაობაა საჭირო, რაც არ უნდა ადვილი მოხაპოვებელი იყოს ის, პირიქით, მეზედმეტება კიდეც; დაე, ჩემმა ლექსებმა დამახასიათონ: ხალხი ბრძენია და არახდროს ტყუզდება.

ახლა კი, დიდხანს აღარ მოგაწყენთ თავს და ჩემს სამუშაო მაგიდას დავუბრუნდები, თქვენ კი უცხო მოგზაურობას გისურვებთ „უცხოში”. კიდევ შევცვდებით.

რედაქტორი

და კორექტორი:

ზვიად ნეფარიძე

ტექ. რედაქტორი:

ირაკლი კორძახია, მარიამ გოგიაშვილი

მხატვარი:

ქრისტინე რობაქიძე

მთრადები

26.07.2011.

უკრავს მუსიკა! წყვდიადის ყველა ჭიშკარი დარაზეთ!
ჩემი თითუბი ცეკვავენ ხან დოლზე, ხან გიტარაზე!
ასე წუხილის განდევნით ხვალის გავხდები მისანი,
რიურაუზე მოვლენ მტრედები, ლურჯ-კამპამ-კამარისანი!
ყველა თასები აავსეთ, ტკბილია ჩვენი ზედაშე,
მიყვარხარ! შენც ხომ გიყვარვარ; უფალს ვუყვარვართ მე და შენ?
ხომ გავხდი ჩვენი აპრილის მერცხლის ჭიკჭიკის მნახველი?
ეს წუთი მილირს ცხოვრებად, რაღას დამაკლებს ნალველი!
მზე, დილა, ნატვრის ახდენა – ეს ყველა პოეტებია,
მერცხლებიც გამრავლდებიან, ქვეყანას მოედებიან,
თენდება, უკრავს გიტარა, გავხდები ბედის მისანი,
უკვე მტრედებიც მოფრინდნენ, ლურჯ-კამპამ-კამარისანი!

პარტიულუს პალადი

27.10.2009.

მხოლოდ უძვაცრეს ირონიას ვუყვარვარ კაცთა,
მე მსტუმრობს მხოლოდ ბედისნერის ვზავნილი შავი,
არ ტოვებს ჩემს სულს მხოლოდ ტანჯვის, თვითვვემის განცდა:
„ამ სამყაროში მარტო რატომ ვიგრძენი თავი?!“

3

მოსაუბრეა ჩემთან მხოლოდ უსულო ქვები,
მათთან ვძაასობ: „ქვაო, ლოდო, კლდეო, ზეგანო,“
მხოლოდ შორეულ ღმერთის ჩურჩულს ცაში ავყვები,
რომ დავივინუ მხარე მხარე, უკიდევანო!

არ არის მოწმე, სიტყვა არის ყინულის ლოლო,
რძისფერ ფურცლებზე დანერილი, რძისფერი სისხლით!
არა აქვს ბოლო უგულობას, მე დამრჩა მხოლოდ...
ცა, უბოლოოდ მოღრიალე სისხლის ქარიშხლით!

მოგაგონდებით გრილი სახით, კალმით და წიგნით,
იხილავთ, სახის უდაბნოდან თქრიალებს ნეალი,
რომ მხოლოდ მყოფმა გადარეულ გულ-მკერდში, შიგნით,
ატირებული მარტოობის ვიგრძენი ბრჭყალი!...

სურვილი

30.09.2009.

მე მინდა ნარნარით ცაში სიარული!
მე მინდა გვირგვინი მემორიალური!
მე მინდა, სიახლე ვახარო კაბადონს!
მე მინდა, აკრძალვამ აკრძალვა დაბადოს!
მე მინდა ჩემს სულში მცოცავი ჰიდრები!
მე მინდა ლექსები! მე მათ ვემკვიდრები!
მე მინდა, ვიპოვო ახალი რითმები!
მე მინდა, გახსოვდეთ ჩემი თეთრი თმები!
მე მინდა, ვერონად ვაქციო სამყარო!
მე მინდა, სამყაროს სიახლე ვახარო!
მე მინდა ლრიალი – უხორცო განცდები!
მე მინდა განცდები, წარსულს რომ გავცდები!
მე მინდა ის ბრძოლა, ახლა რომ იწყება:
– ხსოვნა, მოგონება და არდავიწყება!

სამშობლო

13.03.2007.

4

მე გავჩნდი ნაპირზე ოცნების ზღვის,
იქ სადაც სამშობლო თვალებში კრთის,
ეს არის ქვეყანა სიცოცხლის მზის,
აქ მარად საამო ნიავი ქრის,
აქ ნისლებს ფერი აქვთ თეთრ მტრედის ფრთის,
აი, აქ დაირნა აკვანი ტბის,
ამ ქვეყნის ბინადრებს მუხლი აქვთ მცლის,
ომია? მეომრებს ომი ვერ ლლის,
ლხინია? აქ ლხინსაც ერთობა ქმნის,
აქ მარად უსაზღვრო სიცოცხლე წვიმს
და წვიმა მაგონებს დაჭიმულ სიმს,
რომელიც უტკბილეს მუსიკას მგვრის.
აისი ჩამოგავს ვერცხლისფერ სიმს,
დაისის მნათობი ლურჯ ცრემლებს ლვრის
და მისი ფერია ოცნების ზღვის,
ოცნების ზღვისა და სიცოცხლის გზის,
ჩვენს სულებს არიდებს დამის ძილს, ცივს...
– იმედი პოვნისა აკვნის და ყრმის!

მე გავჩნდი ნაპირზე ოცნების ზღვის,
იქ, სადაც თვალებში სამშობლო კრთის,
ეს არის ქვეყანა სიცოცხლის მზის,
ქართული მიწა-წყლის, სულის და გზის.

მარტო ული და ყორნების მოდგენ

17.09.2010.

ვარ უსაშველო გრძნობებით სავსე
და სველ ღამეებს თავზე ვევლები,
მე განმიცდია საკუთარ თავზე
ხმელი წიფელის ცხარე ცრემლები.
უღალატობა თითქოს წიგნია,
რომლის გადაშლას ვერ თხოვ ნადირებს,
მე იმ სულისთვის ვერ მიმიგნია,
მიტოვებულს რომ არ ამატირებს.
დე, მიგეტევოთ... თუმცა, არ ტოვებს
სულს გარიყულის უგონო მოთქმა,
შევეუღლები ჩემს სიმარტოვეს
და მშვიდად გეტყვით ყორნების მოდგმას:
„ჩავისუნთქავდი სიცოცხლის მებსაც,
მინდა, სიკვდილის კლანჭებს შევება,
მაგრამ აუხსნელ ტკივილად მექცა
ჩემი ცოდვების არმიტევება.“

5

ცვალებადობა

03.01.2011.

ისევ აყვავდება წითელი საკურა,
ჩემი ანარეკლი ლურჯად აგატირებს,
თეთრი ანგელოზიც მიმზერს ეშმაკურად,
ბნელი სარდაფიდან ვხედავ ხარაკირებს.
ჩემი განთიადი ისევ ღამეშია,
თვალწინ მემსხვრევიან ბროლის ფეტიშები,
ისევ შეშლილების ჯოგი დამესია
და ისევ დაღრეჯილ სიზმრებს ვეთიშები.
აზრებს ისევ უნდათ, ღიმილი გამურონ,
ისევ ვასაუზმებ დამშეულ სტრიქონებს,
ისევ შენ დაგლეჭავ ეკლის სალამურო,
ისევ გადავლახავთ ერთად რუბიკონებს.

უკანგზა არ არის! წილი ნაყარია,
ტვინში ფეხაკრეფით დადიან ქურდები,
მე დღეს ქორნილი მაქს, მთვარე მაყარია
და მე სკელ ბალიშზე ჩუმად ვნადგურდები.
როცა გათენდება, ლოცვად ავენთები,
ისევ მიძლერებებ აკვანში გედები,
ახლა დამცინიან ღამით მუავე მთები
და ისევ საკუთარ ხორბში ვიჭედები.
მაგრამ თითს დამიქევს ზეციდან უფალი,
ლოცვაც დამამშვიდებს ლურჯად ანატირებს,
ისევ აყვავდება თეთრი ალუბალი
და თეთრ სტრიქონებზე კალმით მანადირებს.

ზარეპი, ზარეპი 08.01.2011.

ვიდეტი თოვაში ძვირი და მარტო,
ვიხილე ქარების ცეკვა,
ახლა კი უფალთან შეხვერას ვნატრობ
და მესმის ზარების რეკვა.
ზარები, ზარები, მუსიკა ტკბილი,
ამბორი გალობას ფრთიანს!
„ძირფასო, დამადე თითები თლილი,“
— ფიქრები ფიქრებში თრთიან...
მე მინდა მოლერტი, პალიტრა, ფუნჯი,
მფარველად — დედოფლის კალთა,
ვიქნები პლეტი ჩუმი და მუნჯი,
ისე, ვით საყვარელ ქალთან.
არ მინდა სიტყვები, არ მინდა, მჯერა,
მე ისევ ეგ გული მეოცნის,
მაგ გულში ფარფატებს ამ გულის ძერაც,
იქაა განცდებიც მგოსნის.
ხარ კლდეში ნაკვეთი, ქალღმერთის ტოლო,
ხარ თოვლის კამარა ციდან,
შენშია სამყაროს თავი და ბოლო
და მინის სიცოცხლე წმინდა.
ნუ მალავ მაგ თვალებს, მაჩუქე სხივი,
მაჩუქე სიცოცხლე კარგო,
კვლავ შენსკენ მოვცურავ, მკაცრი და ცივი,
ჯიუტად, ვით ძველი „არგო“.

ჩემო ცხოვრებავ! რა ხარ, რისთვის? რატომ მირიყავს
თავს თავი, მნათობს განთიადი, სიცივე – კოცონს?
იქნებ ძანიშნებ, რომ ყველა დროს თავის გმირი ყავს
და დროს სურს, ყვითელ ფურცლის ძევლი კოცნით მაკოცოს?

რატომ არ გნატრობ, როცა კავდები, ან რატომ გწყვევლი,
რატომ თარეშობს ჩვენს თვალებში ყინულის სევდა?
ან განწირული მარტოობის რატომ ვარ მრევლი,
ოცნებებს შენი ირონია რატომ მიმსხვრევდა?

როცა ვცოცხლობდი, რატომ დუმდი, ან რატომ ისმი?
აქ საიქიოს მარტოეთი მიქმნის აკალუსს!
რა მანინჯი ხარ: შენში არის მხოლდ ტრაგიზმი,
შენში ვხედავდი მხოლოდ სიზმრებს მანიაკალურს!

რა ხარ? ცინიზმი, უარყოფა, გარიყვა, ზიზლი,
სისხლი, სიბილნე, ძლიერებლობა, ცრემლი, ღალატი,
ნუა სასმისი ცარიელი! ღვინო დამისხი,
რომ ვერაფერი ველარ ვიგრძნო თავის ქალათი!

ვერ გავიშეცი აღმართის ქვას! გინდა, დადაღო
ბავშვის სიზმრებში მოფარფატე სამყაროს ხედი!
შენზე იტყვიან: „ვრძელდებაო!“ მნარე ბადაგო!
განა გრძელდება მომაკვდავი სიმღერა ვედის?!

არარსებული არსებობის ვიყავი ლანდი,
ვიყავი მონძე უბოლოოდ სატანის ყეფის,
სულში სტრიქნინი მეღვრებოდა, მღვრიე და ბლანტი
და ტყველ ვიყავი გულგრილობის ძინარის შეფის!
მათამაშებდა თეთრი სუნთქვის შავი თამაში,
ვიყავ ცოცხალი და თავს ვვრძნობდი უმკვდარეს გვამად,
სულის სიმშვიდეს დავეძებდი ქვეყნის დრამაში
და ღიმილების სიმრავლეში ვიპოვე დრამა!

ცოცხალს ნაკლები შეუძლია, ვიდრე მკვდარს თურმე,
ანდა მომაკვდავს სარცელ ზე: მას ვერ წვდებიან...

რა ნუგეშია, თუ არ ვჩანდი და ვჩანვარ, თუ მე
მხოლოდ იქ, სადაც მოყვითალო ნიგნის ყდებია?!
ჩემო სიცოცხლევ, უშენობით რატომ ვიშლები,
ან სიბნელეში სიქათქათეს რატომ ვუნდები?
რატომ მლოკავენ თეთრი ღამის შავი ნისლები,
ან ცივი ზამთრის დაგრაგნილი ეტიუდები?

ვგავდი სოცოცხლით უბოლოოდ დასჯილს, ნაწამებს
და მომდიოდა თავში აზრად ტკბილი იდეა,
მოვქვედარიყავი, გავყოლოდი რადგან ბრძა ნამებს,
სადაც ღრუბლების უსა ზღვრობა და სიმშვიდეა!
ხმა მეგუდება ხორხში; ვკვდები! ვკვირი: „უფალო!“
ველარ ვიხილავ მოლივლივე ჰაერს! თავი მძულს!
შეცას შევყურებ, რომ ჩემს სიკედილს ვეალუბალო,
მე ვიფლეთ სხეულს და იმპულსი აჲყება იმპულსს.
ბრძა ვარ და ვნატრობ დიოგენეს ცხოვრებას კასრის,
ჩემსკენ მოიწევს დაღმეჭილი ჩონჩხების წყება,
ლმერთისკენ ხელებაპყრობილი ვითხოვ დასასრულს:
„ჩემო ცხოვრებავ, ან ჩაძალლდი, ან მომე შვება!“

ოცნების მნვერვალი

02.02.2011.

ზამთარია, ჭირხლია ჩემი ფანჯრის მინაზე,
საღამოა, ბურუსი, ვარეთ ნვიმა, თოვა,
თვალებს მჭრიდა მწვერვალზე მყინვარების სინაზე,
გაზაფხულმა მე ისევ მნარედ მიმატოვა...

8

შუაღამის წიაღში იძირება ნათელი,
შავი ფერი მიიღო სიყმანვილის შუქმაც,
ნეტავ, როდის დადნება ჩემი სუნთქვის სანთელი,
დაიკარგა ძავშვობის ლალი ნლებიც უქმად...

გულს ალერსი უნდება საყვარელი არსების,
მომენატრა შენს მკერდზე ლამეების თევა,
მეცლებიან სიცოცხლით სავსე რწმენის თასები,
ლამაზი და მაცდური, როვორც ძელი ევა...

ჩემს საყვარელ არსებას, ვიცი, გული ორი აქვს
— ერთი მე და ერთი მას... რა კარგია ასე...
ეს განვიცდი რაღაც ძეირს, რაღაც უცხო ფორიაქს,
ეს ხომ შენი სუნთქვაა, შენი სიაღმასე!

არაფერი არ მინდა, მხოლოდ შენი სინაზე,
არ მჭირდება არც ოქრო, არც სიმაღლე ტახტის,
მე ვოცნებობ იმ ნუთზე, თბილზე, პანაშინაზე,
შენთან ყოფნის სიკეთით ძედნიერს რომ გამხდის!

როცა გავედი 04.04.2009.

როცა გავედი წვიმაში, ქარში
და ჩემს ქორნილში მარტო მივედი,
დახოცილები ვეყარეთ მაშინ
უფსკრულში მე და ჩემი იმედი.

გრძელ მაგიდებთან ვიჯექი ერთი,
სიცარიელეს გავუგე გემო,
მარტოობასთან მე ჯვარს ვიწერდი
და სიუცხოვე ქროდა გარშემო.

ულევი წვიმის მასხამდა თქეში,
ცეკვავდა ლოდი, მძიმე, ფრიალო,
მღეროდა ქარი, მცემდა სახეში
და მე ვაბამდი ლმურთთან დიალოგს.

ბანევეტინებდა ლოცვას ხმაური,
ხროვ-ხროვად მფლეოთდნენ ბილნი აფთრები...
მე ახლაც სხვა ცის ვარ მოგზაური
და სხვა სამყაროს ვეკელაპტრები.

9

ვით აღუპალი 18.01.2011.

თვალები გქონდა, ვით აღუბალი,
ღრუბელი იყო შენი მანდილი.
მე შენ გლოცავდი, როგორც უფალი,
შენ - გიქრებოდა ცამდე მანძილი.
ლოყები გიგავს სექტემბრის ატამს,
მე მიგავს ტემბრი სექტემბრის ქარებს,
შენს მზერას გული საფლავშიც მატანს
და სიკვდილისკენ ველტვი სიჩქარეს.
მწყურია ყარიბს ალერსი, სითბო,
ყინვას ამოვდებ ბრინჯაოს ლაგამს,
შენ კი პოეტი, ეული თითქოს
– მრავალ ცეცხლოვან ლექსში გაგაბამს!

გვ-პატიმარი

24.10.2010.

ვარ სამუდამოდ ავადმყოფი მუზის პოეტი
და ჩემში ლამეს მხოლოდ ავი გრძნობა არ ათევს,
იქ არის ჩემი მარტოობა და სათნოეთი,
მე იქ ვკითხულობ ყოველ დილით თოვლის ბარათებს.

ის მამოძრავებს მე – პატიმარს თავის ჯაჭვებით,
იქ იმართება ყოველ ლამით შავი ორგია,
მკვდარსაც არ მინდა ოქროს კუბო, მე იქ ჩავწევები,
ვიცი, რომ ჩემი ოცნებები დასაბორვია!

ფრონიდისტებო, გაგაგიუებთ! მოვკალი შიში,
ხვალ ჩემს საფლავში აყვავდება ყრუ აგრესია,
იგრაგნებიან სტრიქონები ყელში და პირში
და ახლა ჩემთვის ეს სიგიშუც უმაგრესია!

ნუ მეკითხებით, ცოლი თუ მყავს! მე გეტყვით: „დიახ!“
მე მაყრად მიძყავს შუალამის ვერცხლის ბინდები,
სტუმრად ვპატიუობ რთული ცნობის წალკოტის წიაღს
და მარად ბიჭი, თვითონ ლუქს ზე დავჭრონ ნინდები!

10

გვხელე!

26.06.2007.

შეხედე! ცაში მეტი ხიბლია,
ვიდრე იტევენ დღეები სოფლის,
წმიდაა იგი, როვორც ბიბლია
და სხივნათელი, როვორც მზერა ჩვენი ლვთისმშობლის.

შეხედე! ცაში მეტია გეში,
ვიდრე მიწისქვეშ გზები მრავალი,
კვლავ იხედება ციურ სარკეში
დილის მნათობი, ჩვენს სულებში ამომავალი.

ცა გადაშლილი თითქოს წიგნია,
„მოდი ვიძღვეროთ!“ – მითხრა აისძა,
ჯერ დუმილისთვის ვერ მიმიგნია,
რომ სიჩუმეში სიყვარულის უღერა გაისძა.

ძილი, სიზმარი მოლანდების და ზღვა რითმების, სადაც ზღვა ჩემს ფრთხებს მოუწოდებს: „მიდი, ამყევი,“ თუთოს და შავს შორის იქვე გადის საზღვარი მთების და ჩანჩერები ღრიალებებს კლდიდან ნარწყევი. იქ მატიანის ფერი საზღვრავს მომავლის დუღილს, იქ სადღეგრძელოს სიანკარე უთქვამს ძველ ქართლოსს, მძირავს ნარსულის ირონია – ღრჯენა მარწუხის და განთიად ზე გუშინდელის მზის შუქი სანთლობს, უარომატო მტრის ცხედრები აძლობებ ჰიდრებს, ტკაცანი, ხრჩოლვა კოცონების ფერფლავს სამყაროს, სარკე, ამაყი სინუვდიადით, გლოვობს სიმდიდრეს, რომ დაკარგული მატერია დაასაპყაროს.

ბრძოლა, ტყვეები, ჭრილობა ზე სიკვდილის კეთრი, ხმლების ჭახანი, მონატრება ტკბილი კერიის, ომში ერთმანეთს არ ტოვებენ შავი და თეთრი და განთიადებს სისხლი ღებავს სხვა არტერიის. ბრძოლის ველებზე ქალაახდილ გვამთა თარეში, მნარე ზეიმი, საიდანაც ამოსვლა უჭირს მზეს, ხმლით დაჩეხილს და დამწყვდეულს ბნელ სამარეში, ვისი სხივებიც ისტორიას არ ხდიან დუხშირს.

ცრემლი, ჭაობი ბოროტების და მკვდრის თვალები, დევნა ჩასვრილი ეშბაკების, დიდი რევანში, ზეცა, მტრის სისხლის შადრევნებით ნაკანკალები და ძველი ნარღვნის გაავება ცხელ შადრევანში, ტირილი, ზიდვა მძიმე ჯვარის, წყვლა, გოდება, ნასოფლარების კოცონებთან ხვევნა-ალერსი, უფსკრულის ფსკერზე დაცემულ მზეს ებოროტება სისხლი, დაღვრილი ბრძოლის ველზე მოღრიალესი! სისხლის ყივილი!... ძახილია ის ნინაპართა, რომელთა სუნთქვაც ჩემს გულისთქმას დღესაც განკარგავს, მათი ხმლის უდერა თითქოს უკვე ნარსულს ჩაბარდა და ამ დროებამ გადაკარგა გადასაკარგავს. მაგრამ ის ალი, დანთებული ველზე ხანძრებად, (დამეთანხმები ჩემო ფრთაო, არ ღირს კამათი) ან მეომარი, დღეს გმირად რომ მოიაზრება, შეშლილი ცხენის გაგულვება მტრის მისამართით,

ვერ იტყვის ვერც ცა ლირსეულად, ვერც მზე, ვერც მთვარე,
ვერც სადღეგრძელო, რახაც არც ეს ყანწი არ იტევს,
მაგრამ სასმისი მათ მნვერვალებს ააელვარებს;
„მაშ, გაუმარჯოს!“ – ხსოვნას ვიტყვი უჭეშმარიტესს.

ნევერვალი

04.08.2007.

ადგილს, სადაც დედამიწა ცახცახებს და თრთის,
ქვია თოვლის და ყინულის მონიშება დღეს,
ვაში აწვდილ მნვერვალებსაც ფერები აქვთ ფრთის
და სანთლების წმინდა შუქი ელანდება ტყეს.
აქ ჩვენს მინას სიამაყე გადაყურებს ღრმა,
სიამაყე, თვითონ მზის და ვარსკვლავების ხნის,
ალაპლაპებს მყინვარს სხივი, უსახრულო, ბრძა
და იღვიძებს განთიადი იმედის და ხსნის.
სიყვარულის მდინარე ჩანს და ოცნების ზღვა,
მოვეხვევი, თუნდაც დამწვას მხურვალებამ მზის,
კიძირები ცის სიღრმეში... რაღა მინდა სხვა?
მხოლოდ სუნთქვას ვნატრობ ბავშვის და ია-ვარდს გზის.

12

ნიღბების იმპერია

16.06.2008.

ზღვა სისხლის, ტახტი ბელზებელის... იქ არის ქარი
ავადმყოფური, იქ ცა არის შემლილი წვიმის,
იქ ცხელ უდაბნოს სულს უჯიჯვნის ცეცხლის ლაშქარი
და ზღვის კალაპოტს ცრემლი ავსებს ოქროს ბარძიმის.
იქ თეატრია... ყარს ოდესლაც დარგული ნერგი,
იქ დახვრუტილი ძლელვარება ნერვებს იღრღნიდა,
იქ გვამთა ძვლებში ყვავის სისხლის ფეიერვერკი
და ქვესკნელს არწყევს აღრენილი ხორხის სიღრმიდან.
ხმა განწირული!... „შველა!“ შველა?... აღბათ, შორია...
შველა მოკვდა და კვდება რწმენაც! მაინც იტყვიან:
„მეფე მოკვდა და გაუმარჯოს!“ ეიფორია!
დაივინყებულ სიცოცხლეში კეთილსიტყვიანს!
სისინებს გველი: „ცხოვრება გავს პროცესს ყომარის,
მეფე მაშინ ხარ, თუ სხეული ცოცხლად გალეშე,
შენია მინა, ცა, დრო, ფული!“ მაგრამ, ხომ არის,
კინც ორსახოვან მრევლს დატოვებს ნიღბის გარეშე?

ჩემში ძაგმაგებს მოგონება; დაბოლმა ზიზლმა
სულის მუხიკა; ხმა დამათრევს იქით და აქეთ,
მე აღარ ძესმის ციხმიერი ანგელოზის ხმა...
ის ხმა სად არის, პოეტებმა კალმით რომ კაქეთ?
ის, უდრტვინველად რასაც ითმენს მოწითალო ცა,
უნდა ვითმინოთ ჩვენც ეგება? არ გაეგება
სულს განაჩენი! ეს სიცოცხლე ღმერთმა დალოცა,
ნინ კი სიკვდილი აღმართულა აისბერგებად!
ჩემი ბავშვობა: ღამე, ფიქრი, თამაშობს შუქი,
ბუხრის ნინ ბავშვი ჩუმად უსმენს ლულლულს ზღაპართა,
თუ ჩემს სიბერეს სიყმანვილე ნინ უძლვის მუქი,
ზღაპრების გარეთ რა ხელი აქვს წყვდიადს ლამპართან?
თუ ეს ნამები მეგობრობენ დაკეტილ კართან,
რაა შედეგი? იტანჯება სული ლოდინით,
ის, რაც დღეს ყვავის, თუ ნარსულში მძორივით ყარდა,
ეს ყვავილუბიც გულზე ძადევს მძიმე ლოდივით!
დღეს ამაო ყველაფერი! მოველი ისევ
განცდილს, სიკვდილის შემდეგ რაც კი კვლავ იჩურჩულებს:
„აქ ქვის დუმილი აღამა ზებს უკვდავ დაისებს
და სტრიქონების ნმინდა შუქი აფრთოხბს ურჩხულებს“.

13

გვმო ცხრპრების

22.11.2007.

მე ჩამაგონებს დღევანდელი გემო ცხოვრების:
მწამდეს უფალი ცათა შინა – დრო არ მაქვს ეჭვის,
სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ნარსულს ვემასხსოვრები,
ჯერჯერობით კი მე მე დრო არ მაქვს სიკვდილის ღეჭვის!
ახლა ისე ვარ... მომიტანეთ! დაკვპნეუტ გორდებსაც,
კებრძი სატანას ჯვარით, კვერთხით, კალმით და ნიგნით!
მე რას დამაკლებს ხმა სიკვდილის, მაშინ, როდესაც
ის თუ ოდესმე ძაგმაგებდა, ვეკუქი შიგნით?!

ჩვმი ჯვარი

28.04.2011.

ღრუბლებიდან ცვივა, ცვივა წვიმის მწარე აკიდო
და დაღლილი მინა ხვდება ცრემლის წვიმის წვეთებს,

ღამებნელო, გინდა, მოხრილ ზურგს ლოდები აკიდო,
დილა ჩემთვის ლილეს სხივებს აღარ გაიძეტებს...
ამ ქვეყანას მინდა, შევრჩე ჩემი თეთრი ოცნებით,
თუმცა ტკბილი არის მინა – მცირე და პანია,
ნაპირები, ხელის ქნევა, სველი ცხვირსახოცები,
მარადია ჩემი სევდა, ჩემი აპათია...

მე სიკვდილი არ მსურს, არა! მაგრამ თეთრი ფურცლები
იქნებიან ხვალ ყვითელი, მომავალში – შავი...
ეს ცხოვრება ხდება ძუნნი, ავი, ხარბი, უძლები,
სტიქსის ტალღებს ვეღარ ებრძვის ჩემი მცირე ნავი...
გვვედრებით: მომიგონეთ!... მე ხომ თქვენთვის ვიყავი
ცხოვრებაში ხსოვნითა და მიტევებით სავსე,
მოგონება იყოს თქვენი ცის ნაპირზე მრიყავი;
ვარ გაკრული მარტოობის პოეზიის ჯვარზე!

ღამის იალალები

27.07.2011.

14

ახლოვდება საღამო, მზის სხივები ჩადიან,
ახლა მთვარე თბილია, გული – გრილი, მზე – ცივი,
მხოლოდ ღამის მწუხრია მუდამ ჩემი გადია,
ღამის იალალებზე დავჭრი ღამის მხეცივით.
ტყის და სიზმრის წამებით, მზის და წვიმის ნაზავით,
ცისარტყელის კარიბჭით – საზრდოობებ მუზები,
ვდნები, როგორც სანთელი, ვინწი ფარვანასავით
და მტრედისფერ კლდეებთან ჩუმად ავიტუზები.
შენს გარეშე არავინ არ ვარ და არც ვიქნები,
მხოლოდ შენთვის ვისუნთქო – ეს მეყოფა განდევნილს,
შენს გარშემო იწვიან ჩემი თეთრი ფიქრები,
არ მოაკლო ჩემს კოცონს შუქი შენი შადრევნის!...

ია, თოვლი და პოეზია

19.01.2011.

შენ ია გქვია. ყვავილივით ნაზს და საყვარელს
გეფერებიან თითები მიწის.
ეს თვალებია, ღრუბლებმა რომ წვიმა დაღვარეს,
ეს თვალებია, უფალმა იცის.

გეთამაშება გაზაფხულის უკვდავი მარში
და შენ იღიმი, იღიმი ია,
პეტელასავით მოფარფატეს გხედავ სიზმარში,
გიმდერის თოვლი და პოეზია.
დიდხანს გეძებდი სანთლით ხელში უცნობ მდელოზე,
დიდხანს ველოდი ღიმილს, ელვარებს,
უცებ ამაღლდი, ჩაკლულ რნმენას ეანგელოზე
და გამოხედე ციდან მწვერვალებს.
მე კვლავ მოგიძლვნი ქვეყნის რიურაუს, თუ ლამეს, ია,
მარად იბრნეინებს დედოფლის კალთა,
ხუ გამამტყუნებ, შენზე ფიქრი თუ დამესია
მწყურვალს, დაცემულს წალკოტის წყალთან!

გარამი

05.02.2011.

დედის პურო, ცხელ თონეში ჩაკრულო,
მწვანე ტყეო, ლურჯო ცამ, ნათელო,
შორ კოსმოსში გაფრენილო „ჩაკრულო“,
ქართლის დედავ, კვარცხლბეკზე რომ ფანტელობ,
მინდა შენი შვილი ვიყო მარადი,
შენი ტყვე და სამუდამო იარა,
ვნერო ცრუმლით გაუღენთილი ბარათი,
მარიამის ქვეყნად რომ გაღიარა!

15

ტკბილი და მნარი

21.04.2010.

მე მაგიურებენ შენი შუბლი, შენი ხელები,
ვის ვესაუბრო, შენზე ლექსებს ვემეტყველები,
თუნდაც მომიკვდნენ ქალის ფიცივით!

ყველგან დამდევენ ეგ ნატიფი შენი თვალები,
მზე რაღად მინდა, მზეც შენა ხარ, ვერ გემალები,
როგორ ვიცხოვრო ანდა სიცივით?

ვერ იბოგინებს სიძულვილი ვინმე ჰეროდეს,
დე, ჩემს ლექსებში შენი ტკბილი სუნთქვა მღეროდეს,
ჩვენთვის ენამა რადგან იესო!

შენშია სიტკიბო, არეული მნარე ნაზავით,
ციხესიმაგრეც და სინაზეც, დიდო ცასავით
და ყვავილივით უპანიესო!

უცხო

25.08.2009.

გამიშვით! რაა ცხოვრება ჩემი?
ვეტკიბოდე უცხოს, ვეძებდე ქაოსს,
ჩემში ცურავდეს უძირო გემი...
ღმერთს სურს, უცნობი მოთმინებით რომ შემაკაოს!
ჩემმა სულმა კი ასე ინება:
კლდე, ანარქია, შერყევა, ქარი,
მე ვეღარ მიტანს ვერც მოთმინება,
ეს მე აღვმართე ჩემს და სიკვდილს შორის ტიხარი!
მე არ ვუყვარვარ ღამის ფარვანებს
და გამირბიან, ეწვებათ ფრთები!
მე ძილში ხსოვნას მიიავნანებს
დილის სიცილი: „ღამევ, მძულხარ, გძულვარ და კრთები!”
თქვენ, ვინც დამცინით და ვინც მიშორებთ,
დრო მოვა, ანევთ ხსოვნის ფიალებს...
იმ დირიჟორის სიდირიჟორეს
ემორჩილებით, ვინც ნაწამებ სულს მიღრიალებს!
მე დავინუების შიში არ მტოვებს...
თქვით: „რად ხარ რთული ტკბილო მარწუხო?”
თქვით: „რატომ ვერ კლავ შენს სიძარტოვეს?”
ვარ სევდიანი, მარტოსული და უპასუხო!

16

მათხოვრის სიმღერა

08.11.2010.

მე აღარ მაქვს მოსვენება... აღარც ძილი,
დავწანწალებ ქუჩა-ქუჩა მაღლივით,
მე ვარ ერთი მათხოვარი დაძონძილი,
უსახური ცხოვრებისგან დაღლილი.
„დამებმარეთ!“ გამცლელს ვაბყრობ მძიმედ ხელებს,
„მიწყალობეთ!“ ვინცდი ხელებს კანკალით,
ავადმყოფ გულს მუდამ სევდა მიმეტყველებს
და ვლოცულობ, როგორც ღვთის მაჭანკალი.

ჩემს ხელებში ზიზღნარევი ხურდა ცვივა,
დაცემული არ ვუნდივარ არავის...
ცრემლებს ცოლად მიათხოვებს ლანვებს წვიმა
და ბინად მაქვს ჩუმი გლოვის კარავი.
მაგრამ ყრუა ეს ქვეყანა... ყრუა თითქოს,
რას შევასძენ სასახლეში განაძულს?
თქვენს ნეალობას განა კუჭი, გული ითხოვს,
მე სიყვარულს ვითხოვ თქვენგან, განა ფულს?!...
მდიდრის სახეს მხოლოდ ზიზღი ადევს მწარე,
მიყურებენ, როგორც ცხედარს მატლიანს,
„ნუთუ არ გსურთ სამოთხეში? დამებმარეთ!
ეს ტკივილი თქვენი მოსანათლია!“

გაუღინილი პარამი

26.05.2006.

1

სიყვარული ყინულის, უდაბნოში მარტო ვარ,
ცეცხლი მარადიული დრომ ჭაობში დატოვა,
საჩუქარზე ასპიტის უარს რად არ ამბობდი?
— რეალობა სასტიკი, ფუნჯი ბუონაროტის!
მაშინებდა, თვალს მჭრიდა სიქათქათე ხალათის,
რატომ გამომიგ ზავნე გაუღენილი ბარათი?
ეს რა ამინდებია, რაღა დროს ფარაონი?
აქ პირამიდებია, იქით — სასაფლაონი!
მთანჯავს გრძნობა ორმაგი, მოჩვენება ეული,
გლოვობს სული მბორგავი, ჩიხში გამომწყვდეული!

17

II

ყვავილობა ტკივილის, ცხელი ლოდის კატორდა,
უენობა კივილის — შემიყვარდი რატომლა?
მძულხარ, მაგრამ მიყვარხარ, გული ორად გაიყო,
იქვემდებდი მშვიდობას, სადაც ომი არ იყო.
კერცხლად შემომეყიდა ხილვა აუარება,
ვიდრე ნავალ ქვეყნიდან, დაგწერ მემუარებად.
მაოცებდა აბსურდი, სევდა და ირონია,
გულს ეგონა, არ სურდი, ახლა — ბაირონია.
კერა, კერ მოგიშორე ალით სავსე კალათო,
მე მძულს შენი სიშორე, ხად ხარ ჩემო ჯალათო?

18 სექტემბერი 19.09.2012.

ცა დაუყვითათ სკეპად გისოხებს,
ჯალათთა ხროვას საკანი იტევს,
პატიმრებს, როგორც ერეტიკოსებს,
ბნელი უძალავს დამტვრეულ თითებს.
ამას უყურებს ორმოცი თვალი,
ახლა ბილებ ხარხარს „კლუბინიკიც“ მოცხებს
და ბრბო, გვეღების ბახუსით მთვრალი,
კუთხეში ისვრის სისხლიან ცოცხებს.
ეჰ... აფთრებმაც ხომ ასე იციან,
უმწეო ნადავლს როცა ესხმიან...
დე, იქ დაიწვას ინკვიზიცია,
შურისძიების სადაც ცეცხლია!
ეს ბრბოც ნისლივით მზეში იშლება,
(სისხლის ცრემლები დაძლა ექცია)
დილა გათენდა და შავ ნისლებად
დაფლითა გველთა ინდულგენცია.

7 ნოემბერი 07.11.2007.

18

საიდან მოდის ნეტავ, შენი ხმა,
სისხლო, ქართველთა სარკედ ქცეული?
ლანვებზე ცრემლი რატომ შემახმა,
როცა ქუჩაში ხარ დანთხეული?
რატომ მოესწარ ასე მუავე დროს,
რატომ გაურბი საკუთარ ძარღვებს,
ლმერთს ჩემი ხალხი ვინ შეავედროს,
როცა შენი ზღვა სიცოცხლეს არღვევს?
რა დააშავა ამ ხალხმა ნეტა,
ვინ შეგაზავა შენ ქუჩის გუბეს,
ამ ჭირისათვის ვინ გაგვიძეტა,
უშენოდ ქართველს ვინა სცემს ნუგეშს?
შენ დამკუთი გყავს – მე ამ აზრზე უარ!
დაე, მოგვშორდი, ჩვენ ხომ უშენოდ
მაინც ის ვართ, ვინც ცად აგვარ ზევა
ლმერთმა, ლრუბლები რომ დავუმშვენოთ!
ნეეულიმც იყოს, ვინც შენი გზების
იყო შუქი და იყო ნიშანი,
მაინც დავრჩებით მთელი არსებით
საქართველოსთან გაუთიშვნი!

მყიფე გისოსი

30.09.2012.

მღვრიე ეზოში, ბნელ ქუჩაში ნეტავ, ვინ ელის
მუშტარს, რომელიც მახინჯია და საშინელი,
ან სულის სითბო გრძელ ღამეებს რატომ დანებდა,
ან რატომაა მეფე მწყრალად ჩვენს წმინდანებთან?!

თუ მეფე ტყვეა ბოროტების მყიფე გისოსის,
გაიზიაროს და ბედი ოიდიპოსის!

ხალხის ნაწილიც, მხგავსი ფარის, რემის, თუ კოლტის,
რატომ დუმს, როცა მოხრილ ზურგ ზე მოხვდება შოლტი...
ანდა უბედურს ოდითგანვე რატომ ღალატობ,
ცხოვრებავ მკვლელო, უცხვირპირო, ჩლუნგო ჯალათო?!

ნუთუ, დაგტოვებთ ჩვენი სისხლის სუნით დანათრობს?
აღარ ექნება სულის დატანჯულს შეელა არასდროს?!
ნუთუ, არასდროს ასრულდება ზოსიმეს სიტყვა?
ნუთუ, ჩვენივე განაჩენის მოგვინევს კითხვა?
ნუთუ, მოგვინევს სისხლიანი ცრემლების როველი?
ქართველის ტყვიას შეენიროს უნდა ქართველი?!

ახე არაა... გაიღვიძეთ! ღმერთი დიდია:
მგონი მიდიან ეშმაკები, მგონი მიდიან!

19

ის მაინც მოვა

12.08.2008.

მორჩა! დადუმდა ტყვია ურიცხვი,
ბრძა, ცხელი, მკვლელი, გონჯი ავი და
გამოჩნდა ფსკერი მაგიური ზღვის
და შავი კვამლი ცამდე ავიდა.

მაგრამ არ შეება თვალებზე ნესტი
ველ ზე სიკვდილის დაქრის თარეში,
იქ ხომ ახლაც ნევს რამდენი ნეშტი,
ცივ სამარეში და სიმწარეში.

ვმირო, მსუბუქად ინექ მდელოზე,
შენ აგამაღლებს ომის ქაოსი,
იმ ხსოვნის პატივს ეანგელოზე
და ხსოვნით დარჩი სააქაოსი!

მან, ვინც ბრძოლაში გაგზავნა შვილი,
როგორ ელოდა! „ის მაინც მოვა!“
ის ძილში ხედავს შვილს ფრთხებგაშლილი,
თუმცა, რიჭრაუზე მოულის გლოვა...

რით განუგეშო შვილმკვდარო დედავ,
რითი გახარო შავო თავშალო,
იძინე! ძილში თუ გაგიბედავ,
შენს შესახვედრად ფრთხები გავშალო!

პრიმილი

19.07.2007.

ლამე, ტკაცანი ბუხრის, დევნა, ნაქცევა, შიში,
მწუხარე გლოვა მწუხრის და ირონია გიუ.
ტყვია, ჭაობი, ალყა, ხაო ტრიალებს ბორბლის,
ძღვრიე მორუვის ტალღას აზიდებს ქაფი დორბლის.
იფრქვევა სტიქსი შეფად, მითრევს ქვეშეთის ძილი,
გვაწრავს კერძერის ყეფა და არც ხორცი მთმობს გრილი.
სადღაა გველო ნესტი, მდგარი თვალებში შველის?
თუ გსურს, ჭკუაზე შეცდი, ველარაფერი გ შველის!
ტკივილი უძლებს კერნას, კერნა ვერ უძლებს ტკივილს,
გესლავ საკუთარ ენას და შენში მტრობა კივის.
შენ ჩაინაცვლე ქვედა სართულში, როგორც ნეშო,
აი, გეწყება ბნედა, დაბადებიდან ლეშო!
მე კიცი, სული გარბის მკვდარი ხორციდან რატომ
– მოგაჯადოვა ხარბის ცივი თვალების ჯადომ!
სიტყვა, რომელიც ითქმის, თქმა კი არ უნდა ამას,
თვალებს აუხელს თითქმის უძღები შვილის მამას.
გველო, დევნილო, კენტო, როცა ხოხავდი მაშინ

რა ჯოჯოხეთი გენთო მოჯადოებულ ხმაში?!
ვინმე თუ აგხსნის ბორკილს – ნეკვლას, სიმყრალეს ანნლის?
გვამთა ორგია მორგის ალის კანეალზე გაგცვლის!
ხარ თვალიბილული და ბრძა, ყრუს თვით დუმილი გესმის,
აქ ინტრიგების გაბმა ამრობს სისველეს ფესვის!
ბალიდან დევნის ავტორს საით გახოხებს მსჯავრი,
რა ჩუმი კერნა გათრობს, რად არ გდლის ჩუმი ჯავრი?!
გნუურია ცეცხლი ძველი – შურისძიების კერპი,
იცოდე, გქვია გველი, შხამია შენი გერბი!

პარანოია

19.08.2010.

ოქტომბერი ულრან ტყე ში ნგრევა, თქე ში,
დავინახე უფრო მეტი, მინდა ვიდრე,
დავინახე ნარმოსახვა მე უხე ში,
დავინახე სიღარიბე და სიმდიდრე.

დავინახე თეთრი, შავი, კარგი, ავი,
დავინახე ქარიშხალი და ნიავი,

ჭუჩა, წვიმა, ვუძე ევდო ამ ვუძე ში
სილუეტი ავადმყოფი კაცის, უხმო.

მას არ ქონდა ცოცხალს შვება და ნუგე ში,
მან ცოცხალმა ჭუჩის სიკვდილს შვებად უხმო.

მე მყოფნიდა პოეზიის ერთი წვეთი,
რომ მეხილა საჭიროზე ბევრად მეტი.

გაანათე მზეო ბნელი!... მზე ყინია
იმ სიცოცხლის, რაც მინდა და რაც მაკლია,
ჩემი ფიქრის გაგრძელების მეშინია,
თავს ვარწმუნებ, რომ რაც ვნახე, სპექტაკლია,

21

მაგრამ არვინ იცის, ჩემთან როდის მოვა
– სული, ხსოვნა, დავინუება, შიში, გლოვა.

ელმირას

09.09.2010.

ვეალერსები ფიქრებს შენზე ძვირფასო ემი,
დღეს ჩემში ძალას იკრებს ყველა ოცნება ჩემი.
ატყვია გულის ფიცარს იარა ძველი ისრის,
შენს გულში ისევ ისარს ის სიყვარული ისვრის.
გული გაუძლებს ვეღარ... წვალობდა სიტყვა ყელში...
პოეტო, მუზის ტყვე ხარ, ფრთა არის შენი ელჩი!
არ იშლის ხილვა ნებას, ცაში გიხილოს ნიხლის,
მაგრამ ციური ვნება მე უშენობას მიშლის.
ლექსს გიკითხავდი; შავი სტიქარი მეცვა თალხად,
ვარ დაკარგული ნავი, შენ – ოკეანის ტალღა.
ალბათ, მაჩუქებ მაშინ ქვიშიან ნაპირს ემი...
– დაიღუბება ზღვაში ის დაკარგული გემი!

ყველგან, ყოველთვის გხედავ და მუხლმოყრილი გიცავ,
ანგელოზების დედავ, ზღვაო, ცაო და მიწავ!
მინდა ნაპირი ვრცელი, სადაც ფრთხებს გავშლი ცაში,
კურ შეგვიუბა ცელი და გაგვაქროლებს რაში!

მოხ უცის მოთხმა

12.11.2010.

ნავიდნენ წლები... მე მოვხუცდი, თბებში – ვერცხლია,
რა კარგი ვიყავ ბიჭობაში! იძედით სავხე...
ვგრძნობ, სიყმანვილის სურათები სიკვდილს ვერ ცვლიან,
ვგრძნობ, მაღვე იტყვის სული უარს ჩემს ბებერ გვამზე.
ვიყავი კაბამოფრიალუ ქალთა მდევარი,
ზამთრის პეიზაჟს დასცინოდა ჩემი არია,
ვჩეხავდი გულებს ბრძოლის ველზე, ვით სატევარია,
ჩემი ბევლელი კი ახლა სულ სხვა სატევარია!...
ახლა ბინდია ჩემს თვალებში, მუხლებში – ქარი,
ის დრო წავიდა, აღარ არის ძალა მკლავებში...
ახლა სხეული უმწეობით არის მაძღარი
და სიცოცხლისგან დრომოჭმული ფსკერზე დავეშვი.
ვარ მამაოსთან მისათრევი ორივე ყურით,
ღმერთო, შემინდე, თუ ვცურავდი დინების აღმა!..
პირზე თამაშობს ირთნია – ღიმი ბალაური;
გვიან მანახა თავის სიბრძე ცხოვრების ბაღმა...
მაგრამ ნუ განმსჯით, გვევდრებით; ჩემი სტიქია
ისე მმართავდა, როვორც ფოთოლს ტალღები ქარის,
გასამართლება, მე, რატომძაც, არ გამიგია
გამარჯვებულის, განწირულის, ღმერთის და მკვდარის!

თითრი ტრაგედია

28.01.2011.

ბაგე მინდა... მინდა, ვკოცნო შავი ბაგე,
საკოცნელი მინდა მარად ბაგედ ია,
ფანტაზის სივრცეებში დავიდაგე,
ისევ მკოცნის ჩემი თეთრი ტრაგედია,
ვარ უგულო; ვეტრფი წარღვნის გამო სხვა გულს,
ვეუფლები მარტოობის გამოქვაბულს.

გა ზაფხული. ქრება ნისლი და კვირტები
კვლავ ტირიან, ვით ბავშვები უდედებო,
ჩემს გარშემო ნათქვამ სიტყვებს ვაკვირდები...
და ე, მოკვდით ჩემთ ტვინის უჯრედებო,

ჩემი ნატვრა არის ცივი, უკარება...
ჩემი სახლი – უფანჯრო და უკარებო.

რა გსურთ, გითხრათ? სათქმელი მაქვს არაფერი,
მაგრამ დავწერ: მე პოეტი მენოდება...
გა ზაფხულმაც შეიცვალა ჩეარა ფერი,
მე მტირდება თვით ბარაბას შეცოდებაც!

რა სითბოა სულში! რადგან, იძედია,
მინის ტალღებს ამოხეთქავს მძიმედ ია.

ხილულს მიღმა თოვლისფერი ჰაერია,
რასაც ვხედავ, ის მატირებს და მა ზიდებს,
ჩემს სიცოცხლეს მისამართი აერია,
გაახარებს გული მინის პარაზიტებს...

23

მეხახის და მელოდება ჩემი ყუთი
და თამაშობს თეთრ ფურცლებზე მთვარის ნუთი.

ჩემი სამყაროს ივი

06.07.2007.

სემირამიდის ბაღო, ვერც შენ მაკვირვებ, ვერც ის,
რაც ახლა უნდა ვნახო და რქაა ოქროს ვერძის.
სუფრას დასცექრის მზერა, ვაშლის შიმშილი მორბის,
ვერ გავაოცებს, მჯერა ძიძგნის სურვილი ორბის.
ფეთქავს მახვილის ვადა, ძველია, როგორც ტაო,
ფრთაო, სადა ხარ, სადა, გამაგრდი ბატის ფრთაო!...
რა ისტორიებს ნერდი, სად ტევდი ლაუვარდ ზვავებს,
რად შეუშვირ მკერდი ლეშიჭამია სვავებს?
სადაა შენი ბინა, შავად ნაკვეთი კლდეში,
ნეტავ, ვინა ხარ, ვინა, რად ყარს სიკვდილის ლეში?
დუმს ეშმაკების ძენდი – ძიძგნის სურვილი ავი,
უკვდავებას რომ კენდი, რატომ გიფრთხოდა სვავი?

ვერ გაალალებს, ვერა, სიცოცხლის ნება ორბებს,
სამაგიეროდ, მჯერა – უფრთხის დუმილი ორფევსს.
ქრის ნამდვილი, თუ მითი, წყვდიადს დაეტყო დალლა,
სიოვ, შემახე თითი, რომ თრობად გიგრძნო ახლა!
სემირამიდის ბალი! სი ზმრების დევნა მიჭირს,
ჯერ კვლავ ედება ჯანღი ფიქრებს პატარა ბიჭის.
ის მიმღერის ნანა, მკოცნის სიცოცხლის თოვა,
რა გაათენებს, მანამ ჩემი აისი მოვა?
მესაუბრება ფუნჯი – მუნჯი, ში შველი მახა,
ნახა ოცნებამ ლურჯი ღამის უძირო ხახა.
შენსკენ მიტყუებ ქურდო ჩემი სიცოცხლის ტოტის!
დღეს მომენია ურდო ჩემი მდუმარე ნოტის.
ჩვენი ულრუბლო ბალის სიო შემახო თითმა,
მაჩვენე შენი დაღი, ვეღარ დაგიტევს რითმა!
მამწყვდევს ჯურლმულში დალლა – ჩემი სამყაროს იფი,
რატომ არ მრიყავს ახლა ნაპირზე ღამის რიფი?
მიჭირს ნარლვნების აღქმა, ტების მინდება კითხვა,
რა თქვას ღაწვების არხმა, რაც ჩვენს ნარსულში ითქვა?

24

ჩემი საგალოპელი

04.08.2007.

მხოლოდ ვერაგი შუალამე აჩოქებს დისკოს
და ბნელ სივრცეში ჩაძირული ტირის სოფელი,
ჩემი ფიქრები ცას სწვდებიან, ნატირებს თითქოს
და ციდან მესმის ჩემი მუნჯი საგალოპელი.
ვწყევლი ჩემს ფიქრებს, ამოფრქვეულს უმთვარო ბინდში;
– რითი ახარებს უძრაობა გემის კაპიტანს?
გთხოვ ჩემო თავო, მომისაჯე სასწრაფოდ ლინჩი,
თორემ ჩვენ მაღე ჩვენი სუნთქვაც ვეღარ აგვიტანს!

მგელი

19.10.2007.

ულრან ტყეებში, როცა ბინდი ნათელს ატირებს
და როცა ლამე მვლოციარე თავის ფრთებს გაშლის,
იდუმალება გაიტაცებს იმ მონადირეს,
ტყე რომ უძახის, როგორც უვას ცდუნება ვაშლის.

იქ, ბილიკებზე კენტად მავალს და ხელში თოფით,
ხმა ესმის, თითქოს ტყეებს ღრენა უმართავს მეჯლისს,
ჩერდება იგი, მონუსხული, ბურუსში მყოფი
და ბნელში ხვდება უსასტიკეს თვალებს მტაცებლის.
„მგელი! რა უნდა?“ მონადირებ თოფი შემართა,
მაგრამ შეჩერდა – არ ფიქრობდა მხეცი იერიშს,
მას თითქოს კაცთან, ცუცხლოთან, თოფთან, ან სატევართან
ემართა ვალი შიშის ზარის – მგლური იერის!

გაოგნდა კაცი... და ლეკვების ყეფა მოესმა,
„გაფრთხილებაა, ღრენა დედის,“ იფიქრა მაშინ,
უკან დახევა ხმამ ანიშნა, უსათხოესმა
და უნაზესი დედის გრძნობა იგრძნო მგლის ხმაში!
დგას მგელი, ასე დაუცველი, უყურებს საფრთხეს,
აცდის თოფიანს, რომ დაუშვას თოფი, ენდობა,
ის თვალებიდან უსასრულო მზადყოფნას ანთხევს
– ახლა ქვეყანას შეებება მისი დედობა!

ქვავდება კაცი და უყურებს ლეკვების თამაშს:
„მათ რა იციან შურის, მტრობის, სიკვდილის, გესლის?“

რა გადაწყვიტოს – ეუართს მხეცის აკლდამას,
თუ ნადირობის უინს მიენდოს, ჭკუიდან შეშლილს?
თოფს უშვებს კაცი, ჩუმბ, შერცხვენილს, ცივს და უცეცხლოს,
უკან დაიხევს – „ ზურგ შექცეულს მგელი არ დევნის,“
რომ თავის ლეკვებს საფეთქლები არ შეუვერცხლოს,
რომ არ დაშრიტოს ნაზი ცეკვა მათი შადრევნის!
იქ, სადაც მეფობს ულრან ტყეებს მხეცი პანია
და უმნეო შელის ნუკრს ყელს ღადრავს, ასე უძედოს,
სიკვდილმა იქაც რკინის ლულა დაბლა დანია,
რომ პანია მგლებს დაობლება ვერ გაუბედოს.

ვიცი, დრო მოდის

28.11.2007.

ვიცი: დრო მოდის, თვალებს ცისკენ ვაჩუქო გეზი!...

რა ლამა ზია: იქ ნარნარებს კოსმოსები და
მხიარულობები, ქორნილია თვითონ ნიკესი,
მოჩანს ვარსკვლავთა მაყრიონი შორი გ ზებიდან.
დღეს გამარჯვება ქვია ამ სულს!... თვალები მაღლა!
ვცხოვრობთ იქ, სადაც სიხარულით სიზმრებში ვკრთებით,
რეალობაში, რა აზრი აქვს, სადა ვართ ახლა?
სადღაც უფსკრულში უიღბლობას ჩეხავენ ფრთხებით!

თვრება სამყარო, გაჟივიან თავში აზრები,
არ ძჯერა გველის, ძჯერა ბალის. მე: „საით უვა?“
ვიდრე მე წავალ, თვითონ სიკვდილს დავებაზრები,
რას ვაქჩუვ სუნთქვას, ღამე ცრემლით თუ გაითუვა?

მე – მოარულის, რა?

22.09.2008.

მე – მოარულის, რა, თუ სიკვდილზე სიცოცხლე ითქმის,
ან, თუ ხსოვნაა სიცოცხლეზე უსაზღვროდ დიდი,
სულს უაღუშდლოს და მონებენილის, გარიყულს თითქმის,
თუ არ ელირსა დღეები მშვიდი?

ცილან ეჭვება ფარდა

08.04.2008.

მე ცამ დამწეულია ავმა. როგორ ბნელოდა მაშინ!
მე მჭამდა სულის ტრავმა და მგრძნობდა გლოვის მარში.
მე ახლაც მარტო ვარ და კუსმენ მაგიურ შობენს,
ციდან ეშვება ფარდა, ვიდრე შუქს თვალებს მოფენს.
ჩემი ხმა ჩუმად გოდებს, გულში მესობა პარჯად,
ვიგონებ გლოვის ნოტებს, სულში რომ მარად დარჩა.
ვერ მიგებს გულის ნადებს ვერც სხვა, ვერც შენ და ვერც ის,
რაც უხმო ტკივილს ბადებს და ზღვაა მნარე კერძის.
ისევ ეშვება ფარდა, ისმის ნამების ზარი,
იქ მოგონება ყარდა და უჩნდებოდა ბზარი!

ნეტავ, მეჩვენა, თუ მე მესმის ჩხავილი ყვავის?
სულში მზის ნაცვლად თურმე დღეს აგონია ყვავის!
ბოლმა ღავლავებს სადღაც, ცა ეცეკვება ბნელ ხმებს,
ვუსმენ ნერვების ფართხალს და ველოდები დელგებებს.
ნაპირზე მრიყავს დოგმა, ცა ზე მზეს ვხატავ სილით,
სადაც ეშმაკთა ჯოგმა გადაირბინა დილით!
არა, ეს ჩვენს ბალს არ გავს, ნაცვლად ჭაობი მერგო,
ვეღარ ვპოულობ ნარგავს... სადა ხარ ჩემო ნერგო?!
თუ მეღირსება ნეტა ოდესმე მშვიდი ძილი,
ალარ მსურს ღამის კვნეტა და ნიაღვარი თბილი!
მე ახლაც ვფიქრობ: ვინ ვარ, სული, ხორცი თუ მინა?
ძვლებს მიმსხვრევს თეთრი ყინვა, დავკარგე სულის ძია!
ალბათ, ესაა ბედი ჩემი და შენი კარგო,
მე გემი მინდა ყედი, რაღაც სხვა, ვიდრე „არგო“.
სადმე ნაცყვები ამ გემს, მეგონოს ის, რაც არის...
მე ვერ დავამსხვრევ ტანდებს, მე ველი წკრიალს ზარის!

პველიპი

26.12.2008.

მათ სადაც ბნელა, იქაც ელიან,
რაც არ იჭმევა, ისიც შეჭამეს,
მათში დასტების ეიფელია
და ულოკავენ ცხვირ-პირს ბენჯამენს.
გმირი ვიქნები, თუ ვიდექ მაგრად,
რამდენი ყრიხარო გზაზე გველები,
ვშველოდი ყველას, ყველაფერს, მაგრამ
თქვენს აღზევებას არ ვეშველები.
დაუ, ეს იყოს შენი ნუვეში,
თუ განუგებებს მყრალო მხოლოდ ეს,
წაგლეკოს ლოდმა! გველო, უძეში
გეხლის მნობეველი გველი გყოლოდებ!

დიდება იყოს!

09.03.2008.

ეს სადლეგრძელო იყოს ვარდის, იყოს ეს იის,
ზურ, ნკიმაც, ქარიც, მუსიკასთან ცდიან დიალოგი.
ხტის და გრიალებს საუკუნე Rock-პოეზიის,
რომ თეთრ ღრუბლებში იბოდიალოს!
მო, დაუკარით! ითამაშოს მუსიკამ მუდამ,
შესუფრებო, თქვენს სასმისებს დასწვდით ახლავე!
სიცოცხლის გამო დე, მოიკლას თავი იუდამ,
მე კი სიკვდილის ვარ მესაფლავე!
მოკლეა თუმცა ეს სიცოცხლე... დღე არის პეპლის,
დიდება იყოს! იღუზიაც გაგვიხდეს განძი,
დიდებას ვიტყვი ამ ნეკნების გამთერთმუტებლის,
ჩვენ კი სიცოცხლის დავცალოთ ყანნი!

27

ვადლებრძელოთ საქართველო ჩვენი

13.04.2008.

ჩვენს თამადას მიაწოდეთ თასი!
რამე თუა ამ საღამოს ფასი!
ავაუდეროთ სასმისებში ნეკნი,
ვადლებრძელოთ საქართველო ჩვენი!
ჩვენი არის აფხაზი, თუ თხი,
გვიდრები ვართ ჩვენ ამ მიდამოსი!

უარესიც ხომ გვინახავს, მაგრამ
ჩვენ ერთმანეთს მხარს ვედექით მაგრად!
იყო ომიც, სპარსელი, თუ მავრი,
ომი იყო ჩვენი თანამჯ ზავრი!
იყო ბრძოლა, იყო თევა ლამის,
ჩანჩქერებიც იყო ცხელი ნამის!
ხმლის უღრიალი თუ გვესმოდა ზარად,
ქართლის დედაც გვიფარავდა მარად!
კითხვაც იყო არყოფნის, თუ ყოფნის,
საამაყოდ ისტორიაც გვყოფნის!
კმარა ომი, სისხლი, ცრემლი, კმარა,
ჩვენ სიძულვილს უნდა ვუთხრათ „არა!“
გაბრწყინდება საქართველო, აბა
რას ცდილობდა ჩვენი ბრძენი საბა?!
ამისთვის ვართ ქართველებიც მარად,
ეს გალობა რომ გვესმოდეს ზარად!

დევნა

19.05.2012.

28

დამეჭიდეთ დევებო! შავო აზრო, შემები,
დაუ, უცხო გემები დაცურავდნენ ირგვლივ,
სულ მარტო ვარ ბინაში, გელი, ცხელი რკინაზე,
ახლა შენი სინაზის დაგადგამდი გვირგვინს.
მანთებს თეთრი ნათება, მდევნის, ვით ანათემა,
ისევ მეკამათება ლაბირინთში ძილი,
ღმუის თეთრი პლანეტა, ღმუის გული და ნეტა,
რატომ მეერთმანეთა მყინვარი და თბილი?
თავი ისევ ვუბრძე ფიქრებს, ვფიქრობ კუბოზე,
ჩადი დასაღუბო მზევ, სასტიკო და უნდო,
ზიზღიც ვერ მათამაშებს, ვდგები, ვიცვამ გამაშებს,
მდიეთ შავ აკლდამაში ყრუ ყორნების გუნდო!

პიიტს

29.09.2012.

ნეტავ, შენს საჩივარს ცაში ვინ აიტანს,
ან რატომ ულაპება შენს მინას ჯეჯილი?
ჯვარით მოდიოდა ქრისტე სინაიდან
და მრევლი შუაზე იყო გაგლეჯილი.

ირგვლივ სკიპტრიანი შავი ლანდებია,
 სულო, ოცნებები წამში აისრულე!
 ვიდრე შენს თეთრ თმებში ჩაიფანტებიან
 დრონი, ბედისნერის მშვილდით დაისრული.
 მინაში გილბება მდიდარი ფეხვები!
 ქვეყნის დასალიერს ვიდრე მოედები,
 მე ვიცი პოეტო, უფსკრულ ში ეშვები;
 ასე იქცევიან ყველა პოეტები!
 ვიცი, არ არსებობს შენში აისი და
 ვიცი, არ გექნება შველა არასოდეს,
 თითქოს, შენი სახე დაბლა ჩაიზიდა,
 თითქოს, შენს ბედ-ილბალს კარი ჩარაზოდეს.
 ვეღარ გაექცევი სიკვდილს ალერსიანს,
 შენ გახლავს ამალა, წყვდიადის ელიტა,
 შენი სუიციდი ქვა ზე ნალეხია
 და შავი გრიგალი განგრევს ქვესკნელიდან.
 სისხლო, მომიტანე კალათით ნობათი,
 მსურს, შენს მდინარეში კოცნა ვა ზიარო,
 ალბათ, გადავყლურნავს ვინძე ფსიქოპათი,
 ალბათ, უნდა გქონდეთ ძარლეი საზიარო.
 პოეტო, დემონთა ჯარები მიდიან,
 გქონდეს ბატის ფრთები, ოღონდ, ბალი – არა,
 შენს და ზეცას შორის მსხვრევადი ხიდია
 და შენც მარტოსულად ლექსმა გაღიარა!

29

შატილი

30.08.2012.

ეს არის ჩემი მზე და ჩემი წადილი:
 ვუყურო არაგვს და ვუყურო შატილს,
 ძველი კოშებიდან დაგვყურებს შატილი
 და მზე დასავლეთში ნელ-ნელა ჩადის.
 ვიარეთ, ვიარეთ, ვიარეთ, არ იყო
 იმ გზის დასასრული არასდროს, არსად,
 არღუნი გიუმაყი, მუცო უთარილო,
 ჩვენც, მაღლა, ჯიუტი ჯიხვების მსგავსად.
 ჩვენ ავალთ, დავზევერავთ მდინარეს და ხევებს,
 გავყვებით ბილიკებს, გავყვებით არაგვს,
 სადაც მთის სიმკაცრე ჩვენს მზერას ახევებს
 და გზას დასასრული არასდროს არ აქვს.

ლამაზი ქალის სამანდილო ცავ,
შენშია გულის ნამდვილი ფეთქვა,
ახლა მე იმ ჩემს სათქმელს გილოცავ,
ათასი წლის წინ რომ უნდა მეთქვა.
მე მაგ ისეფერ შუბლს დაგილოცავ!

რომ შენში ისმის ჭიკჭიკი მერცხლის,
(დღეს გაზაფხულმა ზამთარს აჯობა)
შენში იწვიან ენები ცეცხლის,
ჩემში – სიკვდილის უილაჯობა,
შენში ხომ ისმის ჭიკჭიკი მერცხლის!

შენ მანდილი ხარ ლამაზი ქალის,
შენი ღრუბლების მიყვარს კლდეები,
ჩემში ყვავიან ენები ალის,
შენში – სიცოცხლის ორქიდეები.
შენ მანდილი ხარ ქართველი ქალის!

30

თეთრი მარტლის ღამები 22.08.2008.

მახსოვს, როდესაც შევიცანი უდაბნოს ვარდი,
როგორ ვლააღობდი! გულს ენები ღოკავდნენ ალთა,
ან ჭინძეს განა შეუძლია რამე ზე დარდი,
თუ არის თავის საყვარელ ქალთან?
რა უცხო იყო ჩემთვის გლოვა! ის დღე არ მოვა...
(მე გთხოვ, უფაღო, დააფარე სიყვარულს კალთა)
განა შემეძლო, მყვარებოდა და თან მეგლოვა,
როცა ვიყავი თვით დედოფალთან?
რად არ ძეზრდებათ მოგონებებს ძკერდში თარეში,
იქ, სადაც ახლა გულის ნაცვლად კლდეა ფრიალო?
აქ სივრცე ტირის სინანულის ლურჯ სიწყნარეში,
რომ ნარსულ ნამებს ვეროიალო!
ახლაც ძდევნიან ღამები თეთრი მარტლის,
მათ დამიმსხვრიეს საოცნებო ჩემი ტიტული...
ხომ არ ძერდება თვით სიცოცხლე, ან სიყვარული,
ან სილამაზე ნეფერტიტული?

ანდერძი

22.07.2008.

არ მასვენებს შუალამით ფიქრის მოფარფატე ხმა,
მე რა ვუყო ჩემში ურვად შემოხეულ ურდოს?...
ქარი ქროდა... მიმატოვა ლურჯმა ლრუბლის ნატებმა,
უნდა ჩემი ნაწამები სული რომ გაქურდოს!
რაღაცას ვგრძნობ ახლა – სადღაც დელავს გიშრისფერი ზღვა,
მენატრება სიყვარულის დვთაებრივი განცდა,
მე ვერ ამცდა წყვვლა, დევნა, მე ვერ ამცდა შერისხვა
და ვერც მწარე მარტოობის იარები ამცდა!
მუდამ ყველგან ვხედავ ყინულს, ყველგან მწარე ეკალი,
ვიწვი, მიჰყორბს სინანული, მე სიკვდილს ვგრძნობ მკერდში,
მე მინდოდა, უშენობას ადრე არ მოვეკალი,
ხომ მომეკალი, მომიგონე, ხსოვნას რაღას ერჩი!
მე დავკარგვე სიხარული, უიღმობა მანვალებს,
თვალწინ მიდგას მე ნახევრად რწმენით სავსე ჭიქა,
ხომ მპირდები, მოაკითხავ ჩემს უბედურ საძვალეს,
მოეფერე საფლავს, გელი, მე იქა ვარ, იქა!

სიზმრის ლრუბლებში

05.05.2010.

31

შენ, შეგიძლია, მესაუბრო, ან დამრთო ნება,
შენ რომ გიცქირო ცხრა ზეცის გაღმა,
მითხარი სად ხარ, ამიხდინე შენი ზმანება,
დაე, მიგვიღოს ედემის ძალმა.
შენ შეგიძლია, მესაუბრო ძვირფასო, ანდა,
ცხრა ანგელოზის მასწავლო ენა!
გაქრი თუ გინდა, ხილულს მიღმა გიხილავ ლანდად,
სიზმრის ლრუბლებში მოგვიწევს ფრენა.
ან მზიან თვალებს თუ მომაბყრობ ნუთებში ძილის,
ან ხსოვნის კედლებს თუკი ედები,
შენი თითებით გამითბება თითები გრილი
და დამასველებს ცხელი წვეთები.
მე შემიძლია, რომ გიცქირო, არა ხარ თუკი
და დაგინახო, სადაც ნისლია,
მე შემიძლია, დავიბელო თვალების შუქი,
უშენობა კი... არ შემიძლია.

დრო მიზან

17.07.2010.

მახსოვს, ერთად ვსეირნობდით... იყავ მშვიდი,
ირგვლივ იყო არე, როგორც ლურჯი ნოტი,
მიყურებდი, მიმღეროდი, იცინოდი,
მე ვთვლიდი, რომ არახოდეს დამიშლიდი

– რომ მეცოცხლა, რომ მომეკლა ჩემი სევდა,
თეთრ ლამეებს შენი ხილვა რომ მითევდა.

ცას და მიწას შორის გაქრა მაშინ ხიდი
და ჩვენს შორის ეშვებოდა შავი ფარდა,
მე არასდროს არ გავყიდი, რაც მიყვარდა,
იმ სიცოცხლით სავსე დღეებს არ გავყიდი,

რომ დავლვარო სილატაკის გამო თქეში,
რომ მაძლიონ მე ადგილი სამოთხეში.

აღარა ხარ... დამანახე ზურგი, წადი,
დამატეხე იმედების თეთრი ფრთები,
მე – პატარა, მოხუცივით გავთეთრდები,
ისევ ვიხმე ჩემი შავი წელიწადი,

იგი უდრის საუკუნის ნალველს ისევ,
შენ წარსულის უხმო აფთრის ხროვებს მიხევ...

ფიქრებო და იმედებო – ჩემო მრევლო,
თქვენი რჩევით დასამოძღვრი ახლა მე ვარ,
თავს დამატყდეს უარყოფილს გადარევა,
შენ თუ არ ხარ, მე მოვავდე და დავიწყევლო,

მე ზღვაში ვარ, აღარ მიყავს გემს არავინ,
დრო მეფეა, უშენოდ კი... შემზარავი.

გარდაუვალობა

31.01.2011.

ცეცხლში ეხვევა გუმბათები, კედლები, ძირი
ვერცხლის სასახლეს, სისხლიანი ფულით ანაგებს,

ქალალდის ლტოლვა შეგვინრავს, ბილწი და ხშირი
და ჩვენს ძკვდარ სულებს ჯოჯოხეთში დააბანაკებს.

მემანინჯება დედამინა, ბილწი და მრუში,
თვითონ სიცოცხლეს ჩემს ცხედარში ჩალის ფასი აქვს...
მარად იმეფებს თვალზე ლიბრი, როგორც ბურუსი

და ააღ ზევებს ყვავილების დეგრადაციას.

მე დავუწვები მხოლოდ სიკედილს, რადგან იგია
ერთადერთი და შეუცვლელი პოზა მარადი,
მოდის და გვანგრევს, ვით ყრუ-მუნჯი ცეცლის სტიქია,
ვით კაცთა ცოდვის ბრძა ჯავშანი და მუზარადი.

დროებითია ყველაფერი... სადაც ჰანგია,
ის არის მხოლოდ გაელვება ბულბულის ჰანგია,
აგონის დროს დავყრით ფარ-ხმალს – გვირგვინს ფანგიანს,
რომ სპირიტს ისევ მოერიოს სპირიტის ჰანგი.

სიმახინჯეა კბილი მზე ზე! ხარხარებს შიში,
ძყრალი თეატრის ყველა კედელს სისხლად კედები
და ყველა ძარღვში დაიკივლებს შავი კლავიში,
რომ ვეღარასდროს იარსებებს ცრუ იმედები!
ნითლად შეღებავს ჩვენს სახის კანს ცეცხლი უალო,
მეობის ჭიშკარს კვლავ დალენავს ვერცხლის გინება,
როგორც ვამპირებს, მზე დაგვზაფრავს სარიტუალო
და წყვდიადივით ისევ დილა დაიკინება!

33

ჩვენი ულრულო მხარე 03.08.2008.

სადაც ავიდვი ენა, სადაც ვიხილე ზუცა,
სადაც ღრუბლებში ფრენა ლამაზ სიზმრებად მექცა,
სად შემიყვარდა ნერა, სადაც ვსუნთქავდი ფურცლით,
სადაც ყოველთვის ძჯერა, რომ ფერს სიბნელეს ვუცვლით,
სად უკვდავების ფასში ვპოვეთ არსება ჩვენი,
იქ, სადაც თიხის თასში არ იშრიტება ძღვენი,
სადაც სა ზღვრების იქით სიუცხოვეა მწარე,
მეგბო, დავლოცოთ მოდი, ჩვენი ულრუბლო მხარე!

გარები

10.06.2010.

ხები მესმის, თითქოს სადღაც ცაში რეკენ ზარები,
მათ ერთი ხმა გამოეყო, ჩემსკენ მოქრის ის ხმა,
სახე მიგავს ყინულს, გულით – ცრემლებს ვე ზიარები,
სამუდამოდ დამივინყოს რადგან ჩემთა ზი ზღმა...

მე ვტერდები, მოდის ლოდი, გამირბიან მე წლები,
ახლოვდება განკითხვის დღე, მეღარება სახე,
ნეტავ, ტანჯვით სავსე უფსკრულს როდის შემოვეცლები,
რომ მწერვალზე ავიყვანო, ის რაც შენში ვნახე!
– შენი სული, შენი თრთოლვა, ჩემში რომ არ პერდება,
შენი ცრემლი, შენი ხსოვნა, შენი ტკბილი სუნთქვა...
მე ვიქნები ბედნიერი, შენი გაქალღმერთება
ჩემი უცხო პოეზიის ყვავილობამ თუ თქვა.
მაგრამ წავალ... მე ავუღე ჩემს სიცოცოხლეს რევანში,
არაფერი აღარ დამრჩეს ამ ცოდვილი მინის,
ხომ დავრჩები და ვიცოცხლებ სიზმრის იმ შადრევანში,
განწირული სიყვარულის ტკივილმა რომ იცის...

პალრევანი

15.07.2010.

დილით ისევ დავინახე ჩემ სარკეში ნაღველი,
მინდა, სარკე დავამსხვრიო ყველა,
ვერც ხვალ დილით ვერ ვიქნები ჩემი ბედის მნახველი,
არ არსებობს ჩემი სულის შველა.
არ შორდება წარმოსახვას იმ ყვავილის ზმანება,
იგი მუდამ ყველა ბალში ყვავის,
კნირავ ყოველს იმ ყვავილის სუნთქვას, არ მენანება,
არ ვუნდივარ მაგრამ მე იმ ყვავილს...
მე მებაღე ვიყო მინდა, განვდევნიდი ამ დემონს,
რასაც სულში ეკლის ჩხვდეტა ქვია,
სევდით სავსე ლექსებს მინდა, იგი ედიადემოს,
აღარ მტოვებს მაგრამ სევდის ტყვია.
აღარ ჯერა ჩემს გულს ყოფნა იმ უა ზრო ოცნებით,
არყოფნაში გაიპაროს უნდა,
კნატრობ ზეცას, მე და იგი სადაც ავიტყორცნებით
და დაგვხვდება თეთრი ხსოვნის გუნდა.
ვტირი ჩუმად... დავიღალე მარტოობის დევნებით,
მდევნის ისევ მისი ირონია,
ვიტყორცნები ცრემლის ცაში ახლა ზღვა შადრევნებით
და ცრემლები ჩემი მირონია.
თავს ვგრძნობ ახლა ნირვანაში... ნეტა ვარ, თუ არა ვარ,
ნუთუ ისევ ვცოცხლობ, ან ეს მე ვარ?
მინდა, ავევ ვარსკვლავების მოკიაფე ქარავანს,
შემიყვარებს სადაც ღამის თევა!

დამე არის ვერცხლისფერი, გონჯი, მრუში,
მე ავდივარ მთის მწვერვალზე, ვიბრძი, ვწვალობ,
მე ავდივარ სადღაც მაღლა, ვიბრძი, ვწვალობ,
თითქოს მოვხვდი თვით სიკვდილის პირის ღრუში,
ვცდილობ, სახე სიცოცხლისთვის შევიცვალო.

მე მენვრევა ფეხევე მიწა, მაინც გავრბი,
მე ვლრიალებ, გავეჩევი ალბათ სიკვდილს,
სიცოცხლისკენ ნეტავ სული რატომ მიგვდის,
თუ გავს იგი სიკვდილს, როგორც ვერცხლი ჭარბი,
ან ვერცხლისკენ სული ნეტავ, რატომ მიგვდის?

მე წყვდიადშიც ხელში მქონდა კელაპტრები,
ლაბირინთში, შორს, მზის სხივი ამინთია,
მაგრამ წივის წარლვნა... ავი ამინდია,
მიქრობს სანთლებს... მე სინათლეს ვენატრები,
მაგრამ ირგვლივ ყრუ წყვდიადი და ბინდია.
მინდა წვიმა და სიკვდილის ვეძებ საფლავს,
გავრბი, მაგრამ ყვითელ ფურცლებს ვყავარ მძევლად,
გავრბი, გავრბი, მე მენვა კალმის წყველა,
ლექსი მტირის და ჩემს ცხედარს ლექსი დაფლავს,
მოსკდა წვიმა და თვალები ამიცრებლა.

35

თოვლის ველი

11.10.2012.

ნაბიჯებმა ზეცის კიბე აიარეს,
ღრუბლებიდან ჩანს მტრედების ბუდე ბრბოში.

მზე შემიხვევს ახლა სულის ნაიარევს;

მახსოვს ნინა ცხოვრებისგან ყრუ დებოში.

რადგან ახალ ცხოვრებაში მზე უხვია,

ალარ ვუხმებ, რას დამჩხავის ეს ყორანი,

ჩემმა ფიქრმა ახლა სხვაგან შეუხვია

და გაბრწყინდა, ვით მდიდრული რესტორანი.

მეფარე ვარ პოეზიის; მე დავიცავ

მას ბრბოსაგან, როგორც ხომალდს კაპიტანი,

მე შენთან ვარ თოვლის ველის დედამიწავ,

რომ მწვერვალზე შენი ჯვარი ავიტანო.

მაგრამ მესმის ქვითინის ხმა ამ დილიდან,

მე ვერ მშველის ვერც რიურაჟი, ვერც შენ, ვერც ის,

დღეს ყვითლდება ალუბლების მანდილი და
რეინებს ისვრის დღეს საწმისიც ოქროს ვერძის.
მაგრამ ხვალის იმედი მაქვს; ვიცი, ადრე
ნავალთ რძისფერ სამოთხეში... ნავალთ ერთად,
მომავალო, შენც მზესავით გაიბადრე,
თორებ ფიქრში ეს იმედიც დამიბერდა...

ნაწნავები

21.01.2011.

როდესაც ვიგონებ ნაწნავებს ტბების,
რომლებიც მიყვარდნენ ვუშინ,
მე ისევ სამოთხის ღრუბლებში ვთბები
და ისევ დარია გულში.
ლამით ვიხლართები მღვიმეში გიშრის,
რიურაუზე მატყვევებს მზერა...
შენ ქარი ისევ იმ ნაწნავებს გიშლის,
მე – თავს დამტრიალებს ძერა.
შავია ფრინველი, დაფრენს და ყივის,
მას უნდა ეს გული მკვდარი,
მე მგ ზავრი ვიყავი უცნობი ტივის,
მესხმოდა ფიქრების ჯარი.
მაგრამ დედოფალო, ვაჩუქოთ მოდი,
გული გულს, თითები – თითებს,
იცოდე, ეს გული არ არის ლოდი
და უთქმელ სიყვარულს იტევს.

36

ძვესპელები

25.03.2011.

თვალწინ თეთრი მთა და მწვანე მთისძირია,
ვეხტვეშ – შავი და პირლია ქვესკნელები,
მშვიდობისთვის მე იმდენად მიტირია,
რამდენადაც ახლა მტრედებს ვებკვლეულები.
დუმს ყოველი, მაგრამ მესმის კვნესა ძალლის,
უჯრედები აჩრდილებით შინდებიან,
ნარმოსახვას ვერაფერი ველარ დაღლის;
ვიცი, კუბოს ირგვლივ შავი შინდებია!
უკვე ხორბში მეჩხირება ალქაჯობა,
თოვს... მე რა ვქნა, თუ წვდიადიც თოვაშია?

რა ხარ ზვიად, თუ გრძნობებმა არ გაჯობა,
თუ ნერვებში ისევ ბლავის ოვაცია?!
არა, არ მსურს, ვიყო ჩუმად! მუხლებს ელით
მუდამ კულეფა-ფორთხიალი, თვალებს – თოში,
ხელებს ელით ბორკილები, მძიმე, სქელი,
შეჭედილი პოეზიის სამეფოში!

თემრი სინოტივე

06.05.2011.

ქალაქში ვუსმენდით ქალაქურ მოტივებს,
ვიყავით შენ და მე მხოლოდ,
შენს მწვანე თვალებში თეთრი სინოტივე
ყვაოდა, ქალღმერთის ტოლო.
სიზმარი: გემოსა ღრუბლების ფარჩები,
მეგონა, არასდროს წახვალ...
არასდროს ეყოფა, წახვალ, თუ დარჩები
სულს შენი ხატების ნახვა.
ვიქნები შენი გზა, შენ ოღონდ, იარე,
იღოცე, იცინე, შესვი
სიცოცხლის ფიალა, შენთვის მგლოვიარე
და ჩემი არსების ფეხვი.

37

ცეცხლი, ცერპერი, საძალლე

04.05.2012.

საღამოა, ხელს მომკიდებ მაჯაზე,
(მოფარფატებს ციდან წვიმის ბალეტი)
ჩემი სულის ჭერი ვერ გავაჩაზე,
ბრწყინავს ღამე სულ სხვა სიბრწყინვალეთი.
ყველგან ცეცხლი, ცერპერი და საძალლე,
მე ავიტან! დაუ, სული მტკიოდეს!
რაც მიყვარდა, იმას მივესაძაგლე,
ახლა ვგავარ წითურ ისკარიოტელს!
შევიშალო დაე თეთრი ღამეთი,
არ შეღირსოს აღარც სითბო ლილესი,
ჩემი ციფრი იყოს მხოლოდ ცამეტი,
არც სიცოცხლე მინდა უსიკვდილესი!

გამოქვაბულში სტალაგმიტის წვეთების ჩქამი
ხეთქავს ბარაბნებს, დუღს ქვესკნელში კულკანის ძაგმა,
ფეხზე დგებოდა და სიცოცხლეს დევნიდა გვამი,
ისე, ბაღიდან ვით განგვდევნა ადრე ეშმაკმა.

ციკი თითები მძინარეთა ტანზე დადიან,
თეთრ მოჩვენებებს ხრავენ ყები, ყრუ და უხეში,
კედლებს ემსხვრევა დევის სისხლით სავსე ბადია
სინა ზისა და პოროტების სიმარწუხეში.
ეს ყოველივე მოგვაგონებს მისტიურ თრილერს,
მაგრამ არ გვახსოვს, რომ მინა ზე, სადაც ნისლია,
კაცთა ოცნება იღუზით გულს რომ იგრილებს
და ჩვენი თავის მოტყუებაც რომ შეგვიძლია.

ტყის ტბა

08.07.2011.

(რუსთავი, სავადმყოფო)

38

ულრანი ტყე. ფოთლებს შორის აღწევს მთვარე,
ბილიკებზე ჩუმი ექი დადის ქარის,
ბილიკებზე დაფარფატებს ხმა სამარის,
დამნათიან ვარსკვლავები მოელვარე,

ნინ მივდივარ: შენ დაგეძებ, მაგრამ არ ხარ,
შენი სახე თითქოს მწუხრში დაიმარხა.

ხეებს ტოტებს ამტვრევს ქარი და ლივლივით
ცურავს მთვარე, ტყის ტბაზე კი გედებია,
ვიცი, ჩემი აჩრდილები გედებიან:
ულრან ტყეში ვლრიალებდი დაჭრილივით;

მე წავალ და დაგიტოვებ მხოლოდ კუბოს,
დაე, ცრემლმა ეგ თვალები დააგუბოს.

ვით გვიყვარდა ერთმანეთი და ვხარობდით!
ჩვენი ფიცის მოწმე იყო მა მინ მწუხრი,
ყოველ ღამით ფიცის მირაჟს თავებს ვუხრით,
ველარ ვხარობთ მაგრამ ავი სამყაროთი,

გვიანია ყველაფერი და სიცივით
იმოხება ის სიზმარიც, ამ ფიცივით.

მაგრამ გულში მაინც ძველი ღადარია,
მაინც გეძებ, ვერ გიპოვი თუმცა, ვიცი,
ისევ ფოთლებს შორის დაქრის ჩვენი ფიცი,
ჩემი სულიც მან შეძრა და გადარია,

ტბაზე ისევ წყვილი გედი... იქ არიან...
მაგრამ ჩემს და შენს გულს შორის ტიხარია.

თეთრ მინდვრებზე

11.08.2011.

თეთრ ღანკებზე მოთქრიალებს ახლა წყარო,
მაღლე კუბო გადააქცევს მიწად ოქროს,
შეღლის ტბაში ადულდება ეს სამყარო,
რომ კალამმა თეთრ მინდვრებზე იჯადოქროს.
თოვლის ქალი მომიმზადებს შხამის ვახშამს,
აქ ჩემი ხე გულგრილობის ნაყოფს ისხამს,
იქ ჩანჩქერი დავინუყბის შხამს დამასხამს,
ემსგავსება შუალამე ახლა სისხამს.
ჩემი გზები ხან დაღმაა, ხანაც აღმა,
მძიმედ მოქრის მარტოობის თეთრი მარში,
მე მიშვილა რთული ცნობის იალაღმა,
ვარ ქარიშხლის და წვიმების იალაღში.
ჩემს გარშემო უცხო ხილის ნერგებია,
მუდამ ქარის და ყინულის ღამე, თოში,
ტურ-აფთრებიც ახლა მდევრად მერგებიან
მოღრიალე ბოე ზიის სამეფოში!

39

ვენდეტა

04.07.2011.

ქალაქის კონტრასტი. მუხიკა ჯაზური
ანგრევდა ქალაქის კარიბჭეს.
ზეციდან ყვითელი ქვების აბაური
სალამოს სინათლეს ანიჭებს.

კოცონი, ტრიალი ველური ბოშების,
გაცოცხლდნენ მარსი და ეროსი,
ომობენ გიშრის და ქათქათა დროშები,
თავს იკლავს სიმწვანე მდელოსი,
ველი გადაივსო წყვდიადის კატებით,
გაისმის ურჩხულთა ქილიკი,
მიწა ზე ვერასდროს ვიპოვი დადებითს,
ღრუბლებში მაჩვენეთ ბილიკი!
მინდოდა, სხეული მეორედ მეთრია,
სიცოცხლეს მეორედ ვენდე და...
ვიცი, გავიმარჯვებთ! დღეს ჩვენი ხვედრია
სიკვდილ ზე სიცოცხლის ვენდეტა!

ჩემი საყდარი

30. 07.2011.

სქელ ბურუსში მიღრენებ წვიმისფერი ლანდები.
ნეტავ, ჩემვან რა უნდათ, რა განაჩენს ელიან?
ერთი მცირე მელექსე, გაუთლელი ვბრძანდები,
აღარ მტოვებს კოშბარი, სევდაც საშინელია.

40

იწვის გარეთ ქვეყანა, სული გრძნობდა თებერვალს,
თითქოს ყინავს, ველოდი ზამთრის სულის შებერვას.

ჩემს საყდარში შევედი, შუქს აკმევებ ხატები,
მინდა ცოდვის განდევნა, ახლა სული ხარბია,
შავ დაფებზე არასდროს აღარ დავიხატები,
ჩემი სევდა, ტკივილი, ახლა სადღაც გარბიან,

დაიჩოქა ზვიადი, შუბლი ფრესკებს მიადო...
აღარ არის წყვდიადი ახლა უგანთიადო.

ნითელი ლანდები!

30.07.2011.

ციხეში ვბრძანდები! ციხეში ვბრძანდები,
ზღვის ფოლიანტების მომწვანო კიაფი,
სასმისებს ქართულებს, ქეიფში გართულებს,
ეშმაკი ართულებს, ბილწი და იაფი.

გნიასი, ხმაური, ფოლადის ცხაური,
ხები უცნაური ანგრევებ აჩრდილებს,
ქვესკნელი, პადესი, გიხოსი ბადესი,
სახე უნაზესი ცხელ ღრუბლებს აგრილებს.
შავ კლდეთა კალთები, ძღვრიე ქალალდები,
ბნელს ველალადები, წყვდიადი გუგუნებს,
სახე ზე დამახმა ღრიალი, დამახმა,
მოვუხმე ამაყმა შეშლილ საუკუნეს!

პეპის პატრივნები

31.07.2011.

შევდივარ ციხესიმაგრეში. შიგნით ბინდია.
ავი დუმილის უკრავდა ბენდი.
ნათდება ისე, ჩირალდნებიც არ ამინთია,
მაგრამ გარშემო სიბნელეს ვკბენდი.
ახლოვდებიან აჩრდილები და ოციოდე
უკან მოყვება უჯიშო ლანდი,
თითქოს კოცონი ქვესკნელიდან ამოდიოდეს,
თითქოს ჩემს სხეულს ეკლებით ვბანდი.
აჲა, გარშემო ფანტაზიის ფანტანი ყეფდა
და მიკანრავდა ყელში იოგებს,
ვიყავი მსხვერპლი სასიკვდილო მდინარის შეფთა,
ყველა კერძერი მე მანიოკებს.
მეგონა საკეთ, ცარიელი აღმოჩნდა ჭიქა...
ჩემი მდევარის პირზე დუჟია,
მელიან ბნელი დერეფნები, მწყვლის გოთიკა
და ტუჩებს მიშვერს გიშრისტუშიანს.
გაქრა ყოველი, აისკეთა ზამთრის წყლულები,
გარშემო ვნების შადრევნებია,
გამირბის უამი, ჩემს თმებს ძელი ხელშეკრულებით
მხოლოდ რძისფერი ადევნებია.

41

ცეცხლის ყვავილები 4.08.2011.

უუმურ განთიადში მენვის იარები,
მალე აჩრდილები ცეკვით დათვრებიან,
სადაც აფთრებია, მეც იქვიარები,
სადაც ვიარები, იქც აფთრებია.

ახლა დედამიწის ქრება აბაური,
მალე აინთება კუპრის წყვდიადები,
მოძევს საიქიომ ტანჯვის საფასური,
თორემ ჩემს არყოფნას დავუგვიანდები.
გულში ანთებული, ალბათ, ბუხარია,
ხელებაპყრობილი ველი განთიადებს,
სულს კი უშენობა აღარ უხარია,
მაგრამ მარტოობა მაინც მადიადებს.
ბალი რომ მვონია, შენი ღანვებია,
სადღაც გამირბიან მძიმე მე ლოდები,
თუ არ გამიკარებ, შენთან დაწვებიან
ჩემი სურვილები, მე – დაგელოდები.
ყვითელ ნაპირებზე ვხედავ, ხეა მარტო,
ტირის მარტოსული ხე და ნაპირები,
ზვიად, ეგ ხელები, ნეტავ, ზეამართო
და მინა დატოვო დედანატირები.
ტბაზე მოძლეურალი თეთრი გედებია,
ყრია გაბნეული ვერცხლის მონეტები,
ცეცხლის ყვავილები სულში მედებიან,
მე კი შენს ყვავილებს ცეცხლად მოვედები.

42

მეზე ლირის პანტია

5.08.2011.

დარაძები გამიღეთ! იხრჩობიან ფილტვები,
უჟაერო სივრცეში სული ცრემლებს ისვრის,
მეფე ლირის მანტიით ჩემს მღვიმეში ვირთვები,
ახლა თავს ვერძნობ პინადრად ოთხი ძველი ფიცრის.
ჩემს გუბუებს ეკვრიან ახლა შავი ბაღები,
მინდა, გადავეხვიო ჰაეროვან მნათობს,
ყრუ-მუნჯ მარტოობაში აღარ დავიდალები,
აუსსნელი სივიჟის მოზღვავება მართობს.
ოკეანე დამბლავის, მოჭიქა ტატნობი,
აირია ხმელეთი, მოჭექს კლდეთა ხროვა,
ცრემლი კივის სულეთის საბადოში ნადნობი,
მე დრო არ მაქვს ძილისთვის, ძილში თვითონ დრო ვარ!
მოჭიქული ღრუბლების მე ვიქნები მოჭიქვა,
მე ვიქნები სიმძაფრე, ქარიშხალი, მეხი,
ახლა ლოდი ოქროა, ზურმუხტია გონჯი ქვა,
ილუზის ჯურლმულში მივარდება ფეხი.

გამირბიან ქაჯები, უხეში და ახმახი,
კებრძი სიზმრებს, სატანა ჩამჩურჩულებს ყურში,
ჯალათებო, მე აქვარ, შეაყენეთ ჩახმახი,
აღარ მინდა სიცოცხლე, მახინჯი და ურჩი!

ორბესტრი

09.08.2011.

დარბაზი, ჭალები, ორკესტრი სასულე,
სცენა ზე სინათლე დამნათის დირიჟორს,
ღმურთო, დუმილეთი რატომ შემაძულე,
რატომ გამიძევე მწვანე ნაპირი შორს?
ჰერი, ჰერი! ფილტვები ღმურიან,
ოფლში და სივრცეში ხელები დახტიან,
უფალო, მიხეები, ო, ალილუია,
ჩემს თავზე ძვირფასი სიკვდილის ტახტია!
ხმაური, ხმაური მძიძნის და მაგისებს,
დღეს ჩემმა სიკვდილმა წიოკი დაბადა,
ქვითინში გადავდგამ არითმულ ნაბიჯებს:
— მუსიკაზ ჩაიცვა ეკლების ლაბადა!
ლოუაში, ჩემს მაღლა, ცივი მხეცებია,
თავზე დამყურებენ ცინიზმის ანძები,
დღეს ჩემი მუხლებიც დაბლა ეცემიან...
ნავალ და არასდროს არ დავიტანჯები!

43

შავლვრობა

24.07.2011.

ზაფხულის ტყე, ღამეა. მოქრის ოქროს კარეტა,
ჩემს წინ ალაყაფია, იანუსი დარაჯობს,
სიზმრად ჩადგნენ თვალები რიგში მომთაბარეთა,
ვამსხვრევ ხუნდებს მწვერვალის, ჩემთვის ვრცელი შარა სჯობს,
საკუთარი სამყაროს მონარქი ვარ ძლიერი,
არ ჩანს წყალის, ხმელეთის, ზეცის დასალიერი.

ვეხეტები ამჭვეყნად ერთი მწირი პოეტი,
არ დავვეძებ არაფერს, ვეტრფი სულის ფორიაქს,
ერთ სხეულში ვარსებობთ მე, მზე და უცხოეთი,
ჩემს ქვეყანას საზღვრები უხილავი, შორი აქვს,

სხვა სამყაროს აუხსნელ, უცხო ქსელში გავები,
ჩემს ფიქრებში იწვიან შავი საღოცავები.

ეს სამყარო ქალივით ნატიფი და ნაზია,
მე ის მიყვარს უცნებოდ, როგორც სულის ყანები,
ჩემში გეიზერია, ცხელი, როგორც აზია,
საკუთარი სხეულის წრთობას ვეთაყვანები,

ვიხარშები წყაროში, ქრიან სხვა კარეტები,
სულო, ცნობის მღვიმებს უკვე აღარ ედები...

მინდა, ყველგან გადაწვდეს ჩემი თეთრი ოცნება,
მარტოობის კარიბჭეს ვარგებ ოქროს გახალებს,
ნაწამები სიზმარი ისევ მეჯადოსნება,
თავს ცხოვრება მონარქის წუთისოფლად ასაღებს,

მეძინება ტყის პირას, რომ დავხატო ნოტები
და ცხოვრების სიავეს კალმით ვებოროტები.

44

პილობანი

17.08.2011.

მოდის ძილი პირქუში, ქრიან მუავე შიშები,
ვიბადები, მოვდივარ, ვმეორდები მგონია,
ნინა სხეულს ახალი სულით გავეთიშები,
ჩემს ნინაშე ახალი დროის რუბიკონია,

ვჩეხავ ლამებს, მაზიდებს, ვემსგავსები მანიაკს,
ქვეყნად ყველას თავისი ნოეს კიდობანი აქვს.

კლდეთა ქარაფებიდან შავ ღრმულებში ვეშვები,
მივაცყარი ტეშვები ახლა დილას, ვნებიანს,
მიღობავენ ბილიკებს შავი მუზის ეშვები,
ჩემს ქათქათა ველებზეც ლექსთა ქარავნებია,

ჩემი კიდობანი და ჩემი სუნთქვა ეს არი,
მათ გარეშე ცხოვრება – უტყვი და აბეზარი.

პირჩევნია ფრთხები და მცირე პურის ნატეხი,
ვიდრე ვერცხლის სიმიმით ყრუ მიწაზე ვიარო,

მეუბნება ცხოვრება: „ჭამე, სცი და გაძეხი,
აღარასდროს გექნება რადგან სამკლოვიარო”.

უარვყავი მისი ხმა, სხვა ბილიკით წავედი
და მას შემდეგ გამეფდა ჩემს თვალებში შავეთი.

მე ამ ქვეყნად სიმშვიდის საძებნელად მოვედი,
„ის კი არსად არ სუჯევს!... რეკენ გლოვის ზარები...

მე მარტო ვარ! მიმიღეთ ჩემი სიმარტოვეთი
და არასდროს ჩემს სიკვდილს აღარ გავეკარები!

არ დამტოვოს მე მხოლოდ მცირე პურის ნატეხმა,
ჩემში მარად დაქროდეს მუზის მოფარფატე ხმა...

დეკა

23.08.2011.

კლდის ქარაფზე, სადაც ხარობს დეკის ფეხვი,
სველ ბილიკზე აირიე ამინდო,
კლდე დალენე, მზე მიირთვი, მთვარე შეხვი,
რომ სიცოცხლის ცეცხლი გულში ამინთო.
ნარღვნა მოდის, სულში ისევ ყრუ ხებია,
ასე ვხარობ და სიკვდილში კეჭვდები,
კვდება დილა და ფეხვები უხმებიან
და ბრწყინვავენ შუაღამის ბეჭდები.
დეკა ჩემი მცენარეა, ჩემი სახლი,
ვატერლოო და სამარე პირლია,
მიყვარს – ვლოცავ, მძულს – სიძულვილს პირში ვახლი,
ნანამები სული თუ შემირყია.

იგი ჩემგან ცრემლის წყაროს და რუს ელის,
ტკბილია და მნარე, როგორც ალოე,
უბრალოა, როგორც მე ზავრი კარუსელის
და ამაღლებს მისი სიუბრალოე.

45

(ცხალი) ცურავე ასედა

ანათება

11.09.2011.

დუმილი, ლამეა. ქუჩაში კაცია.
ხელში ულაპლაპებს ლითონი ცასავით.
ტუჩებზე თამაშობს ლიმილი პანია,
ლიმილი ბოროტი, სიცილში ნაზავი.

უყვირის სიცოცხლეს: „საიდან მოხვედი?!”
 კიოდა ჩაკლული რიურაჟის ნათება,
 მისთვის არ არსებობს მეტი ჯოჯოხეთი,
 მისთვის არ არსებობს მეტი ანათება!
 მიწა ბოროტია, სახტიკი, უნდო და
 უნდოდა, ჩაეგდო სიცოცხლე ტახტიდან,
 საით წავიდოდა, გაუგო, უნდოდა,
 თუკი საკუთარ თავს ის ქალას ახდიდა!
 ტრიალებს თვალებში სურათი: ჯვარცმიდან
 ჯვარცმა ელანდება, ძაგძაგებს, ღრიალებს:
 „მე არ მითხოვია სიცოცხლე, არც მიწდა,
 დამისხით, მე დავცლი სიკვდილის ფიალებს!“
 შედგა, გადატენა. გასროლა გაისძა.
 ბრძა კაცი, აფექტი! შენ იცი, ენდე ვის?!
 სული მოისხრაფა სიცოცხლის აისძა,
 გაისძა წყვდიადში ქვითინი ედების!
 ელდა და ტკივილი. სხეულის დაცემა.
 ცხედარზე სატანა ხარხარით კიოდა,
 ჩლიქებში ეჭირა სულის ანათება
 და ხროვას უხმობდა ყრუ საიქიოდან.

46

მთვარე

28.04.2012.

შენს ყვითელ კვირტებს ვარსკვლავიან ზეცას ვადარებ,
 შენს ყოველ ყვავილს ვეტრფი მიმოზავ,
 ტოტებს გიკოცნი, ზამთრის სუსხით ნაავადარებს,
 რტოებით შიშველ სულს რომ მიმოსავ.

ყლორტებს გიხეთქავს აპრილის მზე, თვითონ მზის მსგავსო,
 ახლა არც ზამთრის ყინვას ვუჩივით,
 მარად უჭკნობი სილამა ზით მიწდა აგავსო,
 ბაგე გაგიპო ქალის ტუჩივით.

არასდროს მოკვდე, თავი აღარც დაბლა დახარო,
 აპრილი იყოს შენში მარადი,
 შენს ყვითელ კვირტებს გავდეს ნეტავ მთელი სამყარო
 და აიტოტე ზეცის კარამდის!

თოვლის ასულო, გადმომხედვე ღრუბლის გემიდან,
შესვი უმანქო სიველურე, ჩამაცვი კვართი,
ჩემს პოეზიას უმფარველე, ვით არტემიდამ,
ნუ მიგულგრილებ, გაიხსენე, როგორ გიყვარდი,
თოვლის ასულო, გადმომხედვე ღრუბლის გემიდან.

სული და ხორცი შემირყი, მომტაცე მზერა,
მინა აკუნე სტრიქონებად, მუსიკა ჩადე,
ლურჯ მწვერვალებზე აფრინე რძისფერი ძერა,
ვერცხლის სიზმრებში დამაფარე ბაჯალლოს ბადე,
სული და ხორცი შემირყი, მომტაცე მზერა.

სირინო ზების ხმით მიმღერე, მომგვარე ძილი,
შეშლილს ლოცვები წამიკითხე, შემარგე ლამე,
მძინარე სულში ამიცვავე თითები გრილი,
ფიფქები ლვარე, მასმენინე ყინულის გამებს,
სირინო ზების ხმით მიმღერე, მომგვარე ძილი.

ხორბლის ნათესში აჯირითე ჩემი ტაიჭი,
სტუმრად მეწვიე... როგორ მიყვარს, როცა მნახულობ...
თვალი წამართვი და კელაპტრად მთვარე დაიჭი,
ბნელი რას გიზამს, გაზაფხულის მზით ჩასახულო,
ხორბლის ნათესში აჯირითე ჩემი ტაიჭი.

47

უფლის ვენახი მაკრეფინე, ზეცა დახურე,
ჩემში ერთმანეთს შეაბრძოლე რწმენა და შიში,
ნება მომეცი, გეამბორო და მიმსახურე,
ჩემი მუზა ხარ უსასრულო, სულის ჰაშიში,
უფლის ვენახი მაკრეფინე, ზეცა დახურე.

არასდროს მოკვდე, ისეირნე ქათქათა ტბაზე,
იარე მუდამ ღიმილებით, ნყალზე იარე,
შენ თუ მოკვდები, მეც მოკვდები, ვერ გავძლებ ასე,
რა თავში ვიხლო ოქროს, დავრჩი თუ მგლოვიარე?!...
არასდროს მოკვდე, ისეირნე ქათქათა ტბაზე...

კლდეებს ანათებს შუქი მთვარის. შუქი შავია.
 პატარა ბორცვზე დგანან ჯვრები. ბრწყინავს წალკოტი.
 ძილით ვეპრძოდი რეალობას, სადაც ძლავიან
 ბოროტი ხმები და დგას კაცთა ალიაქოთი.
 სკდება წყვდიადი, ღამე უხმობს მისტიურ წამებს,
 მკვდარი სულები ჯოჯოხეთში წივიან ერთხმად,
 თავს იკლავს მთვარე, პერზაუ ხუჭავს წამნამებს,
 დილა დაჩეხა ბრძოლის კელ ზე ეშმაკის კვერთხმა.
 ეს ვაება და ეს ღრიალი თვალებში აღწევს,
 გველის სიმშვიდე მკვდარი ნისლის ქსელში გაება,
 უბედურების პატარძალი იხოკავს ღანკებს,
 თითქოს ბრუნდება გარდაცვლილი ობის ღვთაება.
 მე მძინავს. სისხლის იღუზიებს ძილ ში ვედრები.
 ჩემს ნინააღმდეგ ალესილი ნაჯახებია,
 თეთრ იალაღ ზე გაპკივიან შავი მხედრები
 და ვხედავ, მათ ბედს უიღბლობა დაჯახებია.
 ანგელოზები ჩაიმუხლნენ სიბრძნის სანგრებთან,
 კლდეებს არღვევდა განწირული ბლავილი კრავთა,
 ეს ყველაფერი გადარეულ სიზმრებს ანგრევდა,
 დაქროდა ცაში და მებამულ კამარებს კრავდა.

ნვითს შადრევნები

07. 11. 2011.

ფეხზე ველარ ვდგები, ყველგან ზღვის ფსკერია,
 ჩემს ნინ დაირა ზნებ ყველა კლდეკარები,
 რასაც სიყვარულით ადრე მიცქერია,
 ახლა სიყვარულით ველარ ვეკარები.
 ფიდან მომიღვიან ნვიმის შადრევნები,
 გ ზები ქვესკნელ შია ახლა ჩამავალი,
 ფიქრებს გავექცევი ფიქრებს ნადევნები
 და შორს გაიღლვებს ღამის კარნავალი.
 ახლა ჩემი გული ცხელი კრატერია,
 ახლა ჩემი რწმენა უფსკრულ ში ეფლობა,
 ნეტავ, ჩემს სიყვარულს შხამი რად ერია,
 ნეტავ, რად მინდოდა გულ ზე მბრძანებლობა.

ჩემს და გრძნობებს შორის დიდი ჭიდოლია,
სულ ში მესახება ახლა ეს კადრები,
ქრება ის ბავშვობა, კვდება იდილია,
ჩემსკენ მოცურავენ ყვავთა ეს კადრები.
ქარმა დამიმსხვრია ტრფობის იმედები,
ახლა კოშმარები სადღაც მიგონებენ,
სადღაც მოვედები, სადღაც მივედები,
ოღონდ, გავამართლო ჩემი სტრიქონები!...

პლინარის პინდი

14.03.2012.

მდინარე თმების. ტალღებია ჩემი სანავე
და ნავის ფსკერზე ახლა ძინდია.
წითელი დილა ჩემს სიზმრებში ვერ ვაპანავე,
გიშრის თვალებში კუპრი მინთია.
ყრუ ლაბირინთში გავაგ ზავნი ხომალდს აფრიანს,
დაკვოცნი წყვდიადს, დავკლავ ალიონს,
შევცურავ ზღვაში, შეგრძნებები სადაც მძაფრია,
რომ ზღვის ლმუილმა ვეღარ დამღიოს.
ცას შევძრავ, ღამით ავაკივლებ შავ ბუებს უფრო,
მყრალი ტურები ვიდორე ყმუიან
და ჩემი სულის კალაპოტად გაგიხდი კუპრო;
ალილუია! ალილუია!

49

მარტოშა

29.07.2011.

ოცნება: მე წავალ მენამულ მხარეში,
ნამყვება ზეციურ სურვილთა ჯარი,
ლანვებზე იდინებს საკმევლის თარეში,
ტაძარში დარეკავს დაიხის ზარი.
გავყვები არნახულ მხარეში ხომალდებს,
ვიქნები ოცნების დინების მე ზავრი,
ვინატრებ, მდინარის დინება მომალდეს,
დამტოვებს ცხოვრების ნაცნობი მსჯავრი.
ჩემში აალდება დიდების აკვანი,
კუმღერებ დარიბთა ღიმილს და სურვილს,
ჩაკვდება სატანის ღრეჭა და ზაკვანი,
დრო აღარ მექნება დარდის და ურვის.

ფრთხებს გაშლის იმედი დევნილი არწივის,
მაგრამ ოცნებები არ არის მიწის...
ჩემი მარტოობა ქორივით დამზივის
და ჩემი გ ზაც მხოლოდ უფალმა იცის.

უპიდურის პალადი

14.07.2011.

უბედურების ნამი! რატომ ვარ მისი მკვიდრი?
სახეზე ნეტავ ლამით რატომ თამაშობს ფითრი?
რატომ იხარე ჩემში ავადმყოფობის ნერგო?
რატომ წვიმა და თქეში, სიმწარე რატომ მერგო?
სიკეთე რატომ ასცდა ნეტავ ცხოვრებას, რატომ?
რატომ დამტოვა განცდამ ჩემი აპრილი მარტო?
რატომ სიკვდილის სუნთქვამ გამომიწოდა ხელი?
ჩემს ზამთარს რატომ უთქვამს, რომ ზაფხულს აღარ ველი?
როდის იხილავს ნეტავ მტრედებს ფერძულთალი სახე?
სულ დამეს რატომ ვხედავ, ქვეყანა რატომ ვნახე?
სისხლი არ მკმარა, სისხლი! ვიღლები ავდრის გამო...
გლოვის ჩანჩქერო, ვის ღლი, რატომ არ მტოვებ ნამო?
რატომ ჩამარტყა მწარედ ლამის მხედარმა დეზი?
ჩემსკენ მარადმა მთვარემ რატომ აიღო გეზი?
რატომ არ მტოვებს წუთი ტრაგედიის და ნისლის?
სად არის ჩემი ყუთი, სიცოცხლეს რატომ მიშლის?
რატომ ამკიდა ბალმა ჯვარი, სიმძიმე ლოდის?
სტიქსის ტალღები გაღმა როდის გამიყვანს, როდის?
მე მაპატიეთ! კმარა! რატომ ვერ მხედავს ხალხი?!
აღარ მშორდება მარად უბედურების თალხი!

მალები

20.08.2011.

იდგა ამინდი ქუფრი, ფერი ეცვალა სისხამს,
დუღდა აჩრდილთა კუპრი, ლამე სანამდლავს მისხამს.
მასხამს ეკლების თქეში, ზეცა წააგავს ძეძავს,
ლურჯი ლანდების ტყეში ეშმაკი კალოს ლენავს.
ხორხში მასხამდა სპაზმა, ხმები ძკორტნიდნენ მჭახე,
უცებ მიპოვა ბრაზმა – მე ის ჩემს სულში ვნახე!
ტბაზე ვხედავდი გედებს და შუალამის ვერსალს,
სულო, სიმწარე გეძებს, ვერ ემაღლები ვერსალ!

მიმღერის გიშრის ნანა, ძლოვავს ორკაბა ენა,
აქ დუციფერმა ბრძანა მშიერი მგლების ღრჯენა!
მომინევს მათთან შებმა (ყარდა ვონების ლეში)
ისევ მომავნეს მგლებმა ჩემი უდაბნოს კლდეში.
ვუყურებ დორბლის შხეფებს, ხილვებს კბილები ხევდა,
ჩემი ნერვები ყეფენ, მჭამს გარიყულის სევდა.
ვიგრძენი გულის ფეთქვა, ვიგრძენი შუბლი სველი,
მინდოდა, ლოცვა მეთქვა და ასისინდა გველი.
ჩემს წინ მდინარეს ვუმზერ, მდინარეს ციხე აქრავს,
ვფიქრობდი წუთზე ჩუმზე, ვუკრავდი რწმენის საკრავს.
გამოჩენდა ლოცვის სხივი, იელვა რწმენის შუქმა,
ვიტან აუხსნელ ტკიფილს – რომ მგლების გავხდე ლუკმა!
მომაჯადოვა მრუში სიცოცხლის მრუშმა ჯადომ;
„მხეცების პირის ღრუში მე უნდა მოვხვდე რატომ?!
„ახლა მჭირდება შველა, მიშველოს თუხდაც ქაჯმა,
თუნდ მომინიოს ყველა მგლის, ტურის, აფთოის დაჭმა!
ბიჯი გადმოდგეს ჩემსკენ მგლებმა, შავმა და რუხმა,
ვხედავ მაცხოვრის ფრესკებს, მისკენ მიბიძებს ყრუ ხმა.
მტკივა გული და ღვიძლი, ცეცხლი ვიგრძენი შლევმა,
ყინვისთვის ვეღარ ვიცლი, მინდა ვულკანის დელგმა!
როგორც სტექტაკლის დადგმას, ისე ვუყურებ ბალებს,
მკერდში სიცოცხლე დატკა – ვიღაც ალაყაფს აღებს!
სივრცე მანახა ბაღმა, ვსწავლობდი ღმერთის ანბანს,
სული სხეულში გახმა და მაღე ცრემლში განპანს.
ვებრძეი სატანის მხედარს, ვხედავ უცოდველ კრავებს,
მტრედების გუნდი მხედავს – ცაში კამარებს კრავენ.
საშველად გიხმოთ ბარტყება ჩემსკენ, მტრედების გუნდო,
შედევი? – სილის გარტყება, ღიმილი მწვავე, უნდო...
მოშორებით კი ერთი უდელტეხილი ჩანდა,
ისევ ფსალმუნებს ვნერდი, საკუთარ წყევლას ანდა.
არ ვიცი... ტყავში ვძვრები... „ზვიად, ვიღა ხარ, ვიღა?!”
მე დავინახე ჯვრების მარადიული ჯილა!

გემოდგომის პეიზაჟი

28.10.2011.

ვდგავარ ღია სარკმელთან, ვიმზირები გარეთ
და ვუყურებ პაერში მოლივლივე ფოთოლს,
ვგრძნობ, სველი მაქვს ღანკვები; ის ცოდოს, ცოდო...
ახლა ჩემში იღვიძებს მირაჟების მხარე,

შემოდგომის პეიზაჟს დანანებით ვუმზერ,
ვფიქრობ გასულ ზაფხულ ზე, გამქრალ ზე და ჩუმზე.

მეც გავყვები ზაფხულის მიძინებულ სიზმარს,
შუბლ ზე ლარებს გამიჩენს შემოდგომის ხედი,
ახლა უკანასკნელად ამღერდება გედი,
შემანჯლრია ბავშვობამ, ლამაზმა და ვიუმა,

მაგონდება აპრილის აყვავება ლურჯი,
ალარ მტოვებს ბავშვობა, მღიმარე და ურჩი.

იმ ფოთოლში მე ვხედავ მოფარფატე სუვდას,
ის ფოთოლი მე მასობს გულში უგრძეს ლახვარს,
მენატრება იმ ფოთლის ისევ მწვანედ ნახვა,
მენატრება დრო, როცა თვალებს შუქი სდევდა.

ეს ფიქრები ჩემს ყოფას შემოდგომას არქმევს...
ნეტა, იმ აპრილისკენ ვინ გამიღებს სარცმელს?

52

ტიხარი

24.04.2011.

წითელ კაბადონზე შუბლ ზე დილა მაზის,
უკან მხოლოდ თეთრი ფერი მივატოვე,
მეგონა, ვიყავი მსხვერპლი სილამაზის,
მაგრამ მე ვყოფილვარ თვითონ სიმარტოვე.
ნების და ჩემს ფანჯრებთან სველი ჭადარია,
ჩემს და სხივებს შორის რკინის ტიხარია,
ჩემი სმენაც ქარის ღრენამ ვადარია
და ახლა სიცოცხლეც ალარ მიხარია!
ვიცი, ჩემგან ცრემლის წყაროს და რუს ელი,
მაგრამ ვერ იხილავ ვერასდროს სატანავ,
ცხოვრება ყოფილა მხოლოდ კარუსელი
და მხრებით ზეცამდე ლოდების ატანა.
რაც მიყვარს, არ არის! მხოლოდ ეს ფობია:
ირგვლივ აღქაჯები, სიკვდილის რევანში,
მიშველეთ, მიშველეთ! თორემ მესპობიან
ჩემი იძედები სისხლის შადრევანში!

სიკვდილმა სატრფო მომტაცა, დამტოვა გლოვის ნინაშე,
მას შემდეგ კტირი, ვოცნებობ ასულზე, პანაწინაზე,
უნუგეშოა ქვეყანა, უიმედოა ცხოვრება,
სითბოთი სავსე თვალები მე მუდამ მემახსოვრება,
მას შემდეგ ცოცხალ სხეულში სიკვდილმა დაიძუდა ოა,
მე მელანდება საფლავი, კუშტო და თეთრი სუდარა,
მასთან ყოფნა მსურს სიკვდილო, მასთან ყოფნა მსურს უფალო,
ვკოცნი მის აჩრდილს, არ მინდა სხვა ბაგე სააღუბალო,
სულში გლოვა და ლანვებზე ცრემლის წყაროა ულევი,
ვტრფობდი, მტრფობდა და კხარობდით ერთურთის სიყვარულებით,
სიკვდილო, მეც წამიყვან, ჩამასე შენი ლახვრები,
სიზმრებში ვხედავ, ჭიუხებს ჩანჩქერად ვენიალვრები,
არავის ესმის ჩემი ხმა, ჩემი ხვეწნა და მუდარა,
მომიხდეს იქნებ სამოსად სატრფოს ქათქათა სუდარა,
მას შემდეგ მე ჩემს საფლავზე არნივებს ვხედავ ასაფრენს,
მას შემდეგ მდევნის სიკვდილი, ყველგან მოციქულს ასაფრებს,
მიიღე სააქამდან მიჯნურო ჩემი ბარათი:
„თუმცა დავშორდით, ჩვენ ერთად დავრჩებით მაინც მარადის!“

სიცილის ძეპნაში

15.10.2011.

თენდება. უკრავენ სხივები ლილები,
უკრავენ გრიგალის ბენდები.
დილამ დაამსხვრია ლამე უგრილები,
დრო გადის, დრო გადის, ვბერდები.
პატარა გოგონას სიცილი ისმოდა,
არ ვიცი, არ ვიცი, საიდან...
იგი დროს გაუძლებს და მარადისობას
მიწიდან ლრუბლებში აიგანს.
დავძრნივარ კლდე-ლრეში, დავეძებ ნადირებს,
ძალლივით მიყეფდა სტომაქი,
პატარა გოგონას სიცილი მატირებს,
ის არის სიცოცხლის ქომაგი.
მისტირის მისტიურ ტირიფებს ტირილი,
მჭირდება სიცოცხლის რეცეპტი,
მაგრამ მე დავძრნოდი ტყეში ნადირივით
და ბავშვის სიცოცხლეს ვეძებდი.

იქ, სადაც დაღვრილი ლურჯი სიხელებია
 და სული სიშიშვლეს ეძებდა,
 მხეცთა აჩრდილები ცეკვით იღლებიან,
 მღერიან კუპრის ტბის გედებთან.
 ჩემი მოსამართლე ახლა იქნოა,
 (ცოდვაზ ტბის სილრმეში შეცურა)
 მწვანე პორიზონტი ზეცას მიექსოვა,
 ღრუბელი ღრიალებს მხეცურად.
 ღმუსის ქარი, ახლა გულშიც კრატერია,
 (ნეტავ, სულს გადია ყოლოდა)
 წყალს მოაქვს რძისფერი ვერცხლის მატერია
 წითელი მდინარის ბოლოდან.

გლვის პალადი

28.08.2012.

54

საღამოა. დაისის ფონზე ღმუსის შავი ზღვა,
 ზეცა იღებს ტყვიისფერს, ბორგავს, ბორგავს, ღრიალებს,
 მინდა, თეთრი თევ ზების იარაღი ავისხა
 და მორევში გადავყვე ქვეყნის ორომტრიალებს.
 არ მორჩილებ არავის და მეფე ხარ გიშერთა,
 შენს ნათლიას აფერუმ, თითქოს ანგრევ ნაპირებს,
 კაცს ეი არა, საფლავში ფრონდს გააგიუებდა
 ევ ტალღები, ნკიმაში ქარიშხალს რომ აპირებს!
 ღამით ულრმეს კალაპოტს ანჯლრევ, თითქოს ყუთია,
 შენს თავს კითხე ბოროტო, დასვენება თუ იცის,
 შენ იმ დედას არ გავხარ, ღამე რომ გაუთია
 ავადმყოფ შვილს, ლოგინად რომ აპირებს სუიციდს!
 განისვენებს შენს ფსკერზე სასაფლაო გემების,
 ქვესენელიდან გაისმის ეშმაკების რევანში,
 შენში ვცურავ ყოველდამ, მაგ ტალღებით შემები,
 რომ ფობიაც ჩაძებრჩოს სიხელის ღრმა შადრევანში!
 იქნებ, შეუმსუბუქო ზღვაო ტვირთი მეფე ლირს,
 ჩამოართვი გარიყულს მარტოობის მანტია,
 შეახალე ჯოჯოხეთს ქარიშხლები ბებერი
 და ის გ ზა გამინათე, სადაც შუქი ანთია!

აზოარი

21.12.2006.

შენში გრგვინავენ დახოცილი ღამის გვამები.
გასათუთება რად გჩვევია ყველა ძალების?
მზად იყავ, რომ შენც ჩემთან ერთად დაიშნამები,
თუ მომიჯ ზავნი ხიბლს და სიტკებოს საწამლავების.
შენში იბრძვიან მექამბოხე სისხლის არხები,
ჩანჩქერი მძაფრი, გამყინავი ხმებით ხრიალებს,
იცოდე, რომ შენც ჩემთან ერთად დაიმარხები,
თუ მზის სინათლეს მოანატრებ ნამარხ იარებს.
გიმზერს აფთარი, როგორც თავის მუდმივ საკბილოს,
შენსკენ ილტვიან მარტოობის გრძელი დინგები,
სიკვდილს ნადირის მძუღვარებით სურს, რომ დაგკბინოს,
დახარის ცხედარს, მის მოციქულს თუ ურიგდები.

მაგრამ გაქრება მოხარხარე აფთრების ხროვა
და ის დღეც მოვა, დრომ შენში რომ მოაოქროვა.

მოხარხა სიპრცე

14.03.2007.

55

კედლის სივრცეში დაბოლმილი ციხის ცხაური
ცრემლდება, როგორც ნიაგარა უხილავ სეტყვის,
წყვილ წრეს ასკდება გისოსების აურზაური,
რომ ჩაკლას, რასაც ცხაურს მიღმა ხმაური ეტყვის.
ცა, დაყოფილი მრავალ ციცქნა ოთხუთხედებად,
ნვეთ-ნვეთად ავსებს პატიმრობის დაგეხლილ პარიმბ,
დღე სინანულით გისოსებში ღრმად იხედება,
რომ მზის სხივებით შეიმოხოს სიშავე განძის.
ჭაობის გვამში ჩასახული ცხელი გრიგალი
დაბორკილ გლოვად, წყველად ერწყმის მუქშავ საღამოს,
ის მზეებსაც კლავს, როგორც ღამე ნაინტრიგალი,
თვისუფლება ხუნდის ლოკვით რომ გადაშნამოს.

აქ ის ფიქრები, ყოველ ღამით რომ აღდებიან,
ოცნების ზღვაში ჩამირული ხომალდებია.

მახსოვრებელი იმ თეთრი ღამეების შორი ალექსი, როცა გული გულს დაეძებდა, ხელები ხელებს, ჩვენ ვგავდიოთ ძველი აღთქმის მკვიდრებს – პირველ ბალეტებს და არ გვტოვებდა ჰანგი სულის სინკრიალესი. როგორ გვიყვარდა ერთმანეთი! ვტკბებოდით მზერით, ჩვენ ვუყურებდით ერთმანეთს და თვალებით ვბანდით, არ გვშორდებოდა შუალამის შეხვედრის ლანდი, სულებს გვინთებდა ანდა შენი ღიმილის ფერი.

ახლა კი... ახლა... ჩამქრალია წარსულის ფეთქვა, შენ თუ აქ არ ხარ, არც მე ვარ აქ! ამოვალ ცაში, რომ კიდევ გნახო... იქნებ შენთვის რა უნდა მეთქვა?

რომ „კვლავ მიყვარხარ, როგორც ადრე მიყვარდი, “ანდა „უცხო წალკოტში რომ გაგვაფრენს ციური რაში, კვლავ მოვიგონოთ, სული სულს რომ სხივებით ბანდა!“

56 უმაყვავილეობა

05.10.2009.

ცხელი სიზმარი არ მასუნებს! ვდგები და ვიცვამ, გავდივარ, რადგან მოვიშორო ლამაზი ხახე, სულის სარკეში რომ ვხედავდი! დამღალა რისხვამ, ვერ მხედავს მე ის face, ღამით ცოცხლად რომ ვნახე! გავრბივარ, მავრამ ვერ ვიშორებ! ნინ მხვდება ორმო, უნორმო, როგორც ოკეანე, ჯოჯოხეთი, ან: „შტორმო, განმძანე!“ – ვლრიალებ და ორმო უნორმო არ მინდობს, მყლაპავს, სულში იწყებს ჯოჯო ხეტიალს.

მსურდა, ვესუნთქე ანგელოზებს, ვიყავი ბავშვი, ვეძებდი ყვავილს და ვიპოვე ჩხავილი თავში... „ჩემს სიზმრებს რატომ აღარ ტოვებ, ყვავის ჩხავილო?!”

გზეს ვეძებ სახეგაყინული ჩემი დაღუბვით, ვსურვარ ჩემს წარსულს, მე კი არ მსურს და ღაპალუბით მომდის ცრემლები, რადგან დავრჩი უიმყვავილოდ...

მარადი თოვა

16.02.2010.

მე მანვალებენ მისტიციზმის შავი ხედები.

შენ აღრენილი დე სადების არმიას მისევ,

ისევ უძირო ცის სიღრმეში ჩავიხედები

და ზიზღიანი მოვონება დამტანჯავს ისევ.

ისევ ვიგონებ იმ სტრიქონებს, მა შინ რომ მწერდი

და ნესტიანი სინაული დამიყვლეფს მუხლებს,

მინდა, საკუთარ სულის გვემას დავუთმო მკერდი

და ჩემს უდაბნოს შევეხი ზნო, მკაცრს და დაუღლეს.

მე გამათეთრებს უშენობის მარადი თოვა,

ვგრძნობ, მაკანკალებს მარტოობის ჩუმი გენია,

მე მუდამ დამდევს ცერძერების უჯიშო ხროვა

და ვეგებები, რადგან სხვა გზა არ დამრჩნია.

ახლა სიცივით ლილისფერი ვწევარ და ვიწვი,
ისევ ღრძიალებს დაღმეჭილი თვალწინ ჰადესი
და სხეულს მიჩვლეტს ცივი ზამთრის უგრძესი ნინვი.

ვარ და ვიქნები ტყვე უშენო სიწყვდიადესი
და თუმცა, არ მაქვს მოთმინება ძველი იობის,
მე უბოლოოდ მჯერა შენი ღვთაებრიობის.

57

ვიდრე მე წავალ უბედური ამა ქვეყნიდან,

ვიდრე ჩემს სიკვდილს უშენობა გახდის უდაოს,

ვიდრე უდაბნო ედემობას დაიკვებნიდა,

ვიდრე სიყვარულს უნდა, თავი აიუდაოს,

ვიდრე ჯერ კიდევ შემიძლია სუნთქვა უგონო,

ვიდრე ღრუბლებში სული ჩემი კიდევ იფლობა,

ვიდრე არ მინდა, მწუხარებას რომ გავუგონო,

ვიდრე დამდეჭავს უღმერთობა და უიღბლობა,

ვიდრე გახდება ყველაფერი ჩემში უფერო,

ვიდრე ირწევა გაზაფხულის ჩემში აკვანი,

ვიდრე ჯერ მინდა, ჩემს სიცოცხლეს რომ დავუჯერო,

ვიდრე კიდევ ვარ ჭაობიდან ამოსაყვანი,

ჩემსენ გამოწვდილს ვეღი ხელებს, შენს ხელებს ვეღი,
ამომიყვანე ჭაობიდან, მომეცი ხელი.

სატანა

06.05.2010.

უგანთიადო შუალამის წამები ბნელი.
სარდაფი. ქალის თვალებიდან სიბრძავე მოქრის.
თეთრ, გამხდარ ხელებს ულოკავდა ბორკილი სქელი,
მისი ცხოვრება ნება იყო შავი ჯადოქრის.
სარდაფის მიღმა თეთრი სივრცე ნეკვლიდა ამას
და ჭრიალებდა კარი დღეში ორჯერ – აქ ითქმის:
უჭირა კარის სახელური იმ ქალის მამას,
სახემოცინარს და დაღმეჭილს, სატანას თითქმის!

იყო არაფრის ყველაფერი. იყო უდაბნო.
ღრენდა სარდაფში დამწყვდეული სიცოცხლის ლეში
და ხარხარებდა სარეცელი, ცივი, უსაბნო.

სარეცელზე კი იწვა იგი მხაფრ სიმყრალეში
ამ ყველაფერის არაფერი – თვითონ სატანა,
ვინც გვამზადებდა ამ სცენების გადასატანად.

58 გვლის სიმღერა 21.05.2010.

საშიშ მტაცებლად დაბადებულს მიწოდეს მგელი,
მე იქვარ, სადაც სიკვდილის და სისხლის უინია,
ყველგან ცხელ ტყვიებს, ყველგან რკინის ხაფანგებს ველი
და არც სიცივის, არც მიმშილის არ მეშინია.
მე ცნობილი ვარ სისახტიკით, მგლური იერით,
მაგრამ ვერასდროს ვერ გარდამემნი კაცის სურვილო,
ვერ ვიარსებებ ადამის ძის „სიმშვენიერით“,
ვერ იარსებებს ვით სატანა უსიძულვილო.

ღმერთის შვილებად ითვლებიან ადამის ძენი,
მე კი სისხლისმემელ ნადირად მთვლის ბრიყვი, თუ ბრძენი,
მე სიყვარული არ მჭირდება და არც მოველი.

მე უნიღბო ვარ, არ მჩვევია რამე თამაში
და ნაძირლებიც ვერ მბაძავენ რადგან ამაში,
ირონიაა: ის კაცია, მე კი – ცხოველი.

აჰა, მიტირეთ! მკვდარი ვარ და ავდგები ვეღარ,
 მე მესობიან რთული ცნობის შავი კლანჭები,
 ადამიანო, საბოლოოდ სიკვდილის ტყვე ხარ,
 სისხლით და ცრემლით იბადები და იტანჯები.
 შეუცვლელია მხოლოდ პოზა, რომელშიც ვკვდებით,
 მას შეძევე, როცა გულში გვიყრის ისრებს ამური,
 ჩვენ ბოლოს სიკვდილს გამოვსახავთ ჩვენი ნაკვთებით
 და გვეფინება მკვდარ სახეზე ფერი გვამური.
 როცა შორდება სული სხეულს, როცა მარაო
 ნასვლისას ნიავს დაგვიტერავს, ტკივილს გვიამებს,
 ჩვენ გველის ზეცის, ან ქვესკელის სააშვარაო
 და კილებთ სასჯელს, ან ოცნებებს ვიხდენთ გვიანებს.
 მაშინ ჩვენს სხეულს შეეხება უხეში ცელი,
 ნაგვიყვანს ღმერთი, არ დაგვტოვებს ალბათ სულ ისე,
 გადაგვეშლება ჯოჯობეთი, ან ბალი ვრცელი,
 ან იბოვინებს სული ზღვებზე, როგორც ულისე.

აღარაფერი არ არსებობს... სადაც მივედი,
 მე მკვდრები დამხვდნენ სიყვარული, მზე და იმედი.

59

ჩალი და ფანტაზია

14.09.2010.

მოგონებებში აღმიდგება შუბლი ნათელი,
 თმა ჩამოშლილი ჩანჩქერებად, თვალები თბილი,
 ხმაურობს გული, მაგიდაზე ვით კამათელი
 და ღვთის მუხლებთან დაჩრიქილი უძლები შვილი.
 მე დავინახავ ძვირ ვარსკვლავებს უცხო მხარეში
 და სიბნელეში აეხდება სინაზეს ფარდა,
 მიცქერი ღაწვებშეფაკლული და „შენს გარეშე...
 არაფერია, რაც მინახავს და რაც მიყვარდა!“
 ვიქნები ვიუი, შევებრალო თვითონ მათხოვრებს,
 მე კი ვამეფებ ნირვანაში მომღერალ გედებს
 და ფანტაზიის ერთ უჯრედში სული აცხოვრებს
 მძაფრი სიგიფის ლაბირინთს და ნალკოგის ხედებს.

რეალობაში თუ არ მტოვებს ყინულის უუთი,
 ფანტაზიაში ბედნიერი მაინც ვარ წუთით.

შავი სივრცეა დედამიწა, ოთახი ერთი,
ცენტრში დგას კაცი კაბიშონით. იყო სპირიტი.
უზარმა ზარი ბატის ფრთხებით ფსალმუნებს ვწერდი,
აკანკალებდა თავის ქალას ჯადოს ჯირითი.
ვცადე ძევვირა, მაგრამ ჩაკვდა სხეულში ბოლმა,
ენა დამება, ვერ ვშველოდი ყელში იოგებს,
მაშინ ვიხილე ჩემი ტანის მუხლებზე ღოლვა,
ახლაც ვიხსენებ და ის სცენა სულს მიწიოკებს.
რა სიცოცხლეა, მაგრამ მძინავს. ტვინში იხობა
კოცნა კოცონის და ფილტვებშიც თითქოს ბანგია,
ჯაჭვით დავაბი დრო, სივრცე და მარადისობა
და ასულს ღოლვა წავუკითხე თეთრპერანგიანს.

მეც განვიცადე უნდობლობა და ირონია,
ის მანერინებს, ის ახალი ბაირონია.

ვანო

11.10.2010.

(ვანო ცინცაძეს)

60

ტოროლასავით უდარდელი ჩანხარ გარედან
რუსთავ-ქალაქის ბოჭემური ცხოვრების მკვიდრი,
ხარ სიბრძელეში ნაპერწკალი მოელვარე და
სოლომონივით ბრძენს და მდიდარს არ გწამს სიმდიდრის.
შენ – მხიარული კრიტიკოსი უუმურ ნავაზთა,
იბრძვი კალმით და ამ ცხოვრების ჭაობს დასცინი,
(ფსევდონიმისთვის ბოდიშს ვიხდი, მე – ახალგაზრდა)
ვანელი ვანო ცნობილი ხარ, როგორც ვან-ცინი.
ტყვიისფერ სახეს სულ სიცილის ცრემლებს ადენდი,
ირგვლივ დალენე დაღონების ყველა გიხოსი,
ვართ პოეტები ამ ქალაქის; მე – დეკადენტი,
შენ – კვლავ პოეტი, მწერალი და სატირიკოსი.

იყავი დიდი ამფიბიის წევრი უცვლელი,
ხარ სუფრის ხიბლი და სუფრაზე მოწყების მტერი,
ასე იბრძოლე, კვლავ აცინე თეთრი ფურცელი,
კვლავ აამაღლე სატირული სიმაღლის ჭერი.

არ დაგვიტოვო შენს მეგობრებს იარა ღია,
ბატის ფრთხები ხომ შენი მძლავრი იარაღია.

მიმოქიანული

29.08.2011.

კარეტები მიმოქიანული ცაში ნელი,
ჩემი არსი მზის და მთვარის ჭიდილია,
მეუფლება გრძნობა ცივი, საშინელი
და გამირბის წარმოსახვის იდილია.

მე ვერ ჩავნები ღვთის განაჩენს, დასჯას ველი,
ერთი არის ეს ცხოვრება და სასჯელი.

ბოროტი შობს ბოროტებას და სიკეთეს
შობს სიკეთე, მხოლოდ ცხედარს არ ყავს მტერი,
ვტირი, როცა ჩემში მტრები სახლს იკეთებს
და როდესაც მეტირება, მაშინ ვძლევრი.

ველზე ისევ ყვავთა შავი ბენდებია,
ლამები აღარასდროს თენდებიან.

ნეტავ, როდის მომირჩება ეს იარა,
ლამეს როდის მოშორდება ფერი თოვლის,
დღეს სიკვდილმა ილოცა და ეზიარა
და ჩამახობს ახლა კლანჭებს, ნაზს და მოვლილს.

61

რა ვქნა, თუკი უფლის ქსელში არ გავები,
თუკი ბალში მიხმებიან ნარგავები.

ჩემში მარად ლაბირინთის ბინდებია,
არ მიშვებენ გარეთ ძაცრი კლდეკარები,
ჩირალდნები კუბოს ირგვლივ ინთებიან,
რაც მიყვარდა, ველარაფერს ვეკარები,

მაგრამ მჯერა: ვიდრე ცრემლით ვიმოსები,
ჩემს საფლავზე იხარებენ მიმოზები.

განცდა

28.08.2007.

ჩემს მწუხარებას დაჩოქილი შევჩივლებ ხატებს
და გამიქრება ნანამები სულის იარა,
განდეგილობას ლურჯი ხილვა მიანდამატებს,
ულრუბლო ბალის საიდუმლოს რომ მაზიარა!

მე მელოდება მოლანდების უგრძესი მღვიმე,
მიუწვდომელი, როგორც მთვარე, სავსე განცდებით,
ხმა მეუბნება: „ნამოდექი და გაიღიმე,
მე შეუ გპირდები, მუქ და წყეულ ნარსულს გავცდებით!“

განცდა

8.01.2012.

(სალომეს)

ვიდექი ქუჩაში, გეძებდი, გისმენდი,
გელოდი წვიმაში, ქარში...
ჩვენს ზემოთ, ზეცაში უკრავდა ცის ბენდი,
დაქროდა ზღვისფერი რაში.
მოხვედი, მოხვედი!... გითხარი: „არასდროს
დამტოვო, სულ ჩემთან დარჩი“...
ჩემს მტირალ სულს უნდა, სიკვდილი მანატროს,
თუ არ ხარ ჩემს გვერდით, მაშინ.
არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი, სადა ვარ,
საერთოდ, მე ვარ, თუ არ ვარ,
სალამოს მზე ცხრა მთას და ცხრა ზღვას გადავა,
ჩაქრება სიცოცხლის ქარვა.
სიცოცხლე მოკლეა! ვაიმე უფალო,
მიწიდან მივდივართ რატომ?
არ არის ცოდვები უკვალო, უკალო,
მოგვნუსხა ეშმაკის ჯადომ.
მე მძინავს, მე მძინავს, მე მძინავს და ისიც
მოვიდა, მე ვისაც ვუხმობ...
ღრუბლებში ამღერდა წითელი დაიხიც,
აქამდე მუნჯი და უხმო.
დღეს მისი არსება ჩემს სიზმრებს ანა ზებს,
ძილუში არ მტოვებს ურჩი,
მხოლოდ მე და ის ვართ ახლა ქვეყანა ზე,
რწმენა ჩამჩურჩულებს ყურში.
როდესაც მზე ცხრა მთას და ცხრა ზღვას გაცდება
და ისევ გიპოვი ქარში,
შენ ისევ შემოხვალ ჩემს გულში განცდებად
და გეტყვი: „სულ ჩემთან დარჩი“.

ლექს უმის ასული

3.02.2012.

(სალომება)

შენში მოვალ ადრიან ზამთრის დილას ლეჩხუმი,
რომ ვინილო ქათქათა, აზიდული მთები,
რომ სიცოცხლის ნათებას აღარასდროს ვეჩხუმი
და ლრუბლების ძდელოზე რომ გავშალო ფრთები.
შენში დავდევ ფეხდაფეხ ცივ რუებს და წყაროებს,
მიჯნური ვარ, ასული შემიყვარდა შენი,
მე სიძლერებს გაჩუქებ, შენ კი მესამყაროე,
რომ ნოტებით ავაგო ჩემი კართაგენი.

ტყის და მდელოს სიმწვანით, მზით და წვიმის წვეთებით,
თეთრი ლრუბლის გუნდებით თავს მოიკლავს მთვარე,
გავეჩევით წყვდიადებს, დილას შვეფეთებით,
ამდერდება ტაძარში ზარი მოზანზარე.
იყოს ისევ ზამთარი, ანათებდეს მზე ჩუმი,
გიზგიზებდეს ბჟუხარში დამის ცეცხლის ენა,
ვიცი, ისევ მოძელის თოვლიანი ლეჩხუმი,
ის და მისი ასული და ლრუბლებში ფრენა!

63

პრინჩარის ტბაში

23.02.2012.

(სალომება)

ტყეა. ირგვლივ შენი ცეცხლის ტბებია.
ხელები მაქვს მთვარესავით შიშველი.
ბრძა ფიქრები შენს გარშემო თბებიან;
შენ თუ წახვალ, ვერაფერი მიშველის!
გრძელ ნაწნავებს თბილი ქარი გიშლიდა,
იმზირები, მონუსხული დამეში,
გეტრფი, რადგან შეიქმენი ნისლიდან;
ნეკნებიდან ნეტავ, სულ არ ვამე შვი!...
მიმზერ მე – ქმარს. შენს თვალებში ცეცხლია.
ვდგავართ ფხერზე სიყვარულის მდინარის,
სულს უარყოფ, სამათეულვერცხლიანს,
კივის ქარი, ყრუ და დაუძინარი!
გვლოკავს წვიმა, ბოლმიანი, უხეში,
ეგ ღანკვები ბორცვებივით გატყვია,
ვარ ყორნისფერ თოვლის სიმსუბუქეში
და წყვდიადში ჩემსკენ მოქრის ბრძა ტყვია!

გეყინება მაგრამ მზერა... პრუნდები,
ნითელ შორეთს უმზერ, გარძი გიუკვით,
შენ მოგდევენ ლამის ყორნის გუნდები,
მთვრალი ვნების შემზარავი უივივით!
და ჩერდები! ჩვენ შეხება გვაკლია,
ჩემი სული შენი ტრფობით ივსება,
რაც ლირსება იყო, ახლა ნაკლია,
ნაკლი ხდება ახლა ჩვენი ლირსება.
აღარ აკრავს სხვა სიჩქარის ზღვარი გულს,
ბაგე ბაგეს პოულობს და თვალი – თვალს,
მე შენს გარდა ხელს ვერ ვკიდებ სხვა რიკულს,
и чувствует меня только молитва!...
„თქვენ იძოვეთ ერთმანეთი სანთლებით”,
– ლალადებენ ჩვენზე ჩვენი წიგნები,
ჩვენ ბრინჯაოს ტბაში მოვინათლებით
და სხვა სამყაროშიც ერთად ვიქნებით!

სიშორე და დირიჟორი 21.05.2012.

(სალომეს)

64

ვიცი, რატომ მკლავდა შენი სიშორე,
მარტოობას რატომ ვედირიჟორე:
აკლდი ჩემს გულს, ვით ბალს თეთრი აისი,
ვით ფრიალო კლდეებს – ედელვაისი.
როგორ ვმარტოობდი! ახლა ჩემი და
გახდა დილის ნამი ქრიზანთემიდან.
ჩემი ხილვაც ახლა გახდა ფერადი,
რადგან ახლა გეტრფი გადარევამდის!
ახლა ვიცი, რომ შორსაა სიშორე
და ოცნებებს ისევ ვედირიჟორე.

მომენატრები 8.06.2012.

(სალომეს)

მომენატრები შემდეგ ნახვამდე,
ასე ძვირფასი, ასე ნაზი და
პროწეულივით მინდა აყვავდე
და არასოდეს გადახვიდე ფიანდა ზიდან.

დაუხატიხარ შენ თითქოს მანებს,
რადგან დედოფლის გადევს ფასი და
ყველგან გეძებდი, იცოდა მან ეს ...
ანგელოზებიც ტაშს კიკრავენ ცის დარბაზიდან!

სტროფების ცეკვა 30.07.2012.
(სალომები)

მე შეგხვდი, სულ მარტო იყავი,
ხელებში შეგნიშნე ფლეიტა.
ეს შენ ხარ უთქმელი იგავი,
შენ სულში სიმშვიდეს შეიტან.
მე გეტრფი ცხოვრების პოლომდე,
ეს შენ ხარ ცხოვრების მიზანი,
მე მიყვარს, მე მიყვარს, მხოლოდ მე,
თვალები, მთვარის და მზისანი.
მე თმების ჩანჩქერი მაგიუებს,
შენ სტროფთა ცეკვაში ჩაები,
გადადგამს არითმულ ნაბიჯებს
შენს თმებში შეშლილი ტაები.
არ ითმენს ეს გული, არ ითმენს,
მე მახრჩობს ნაწნავთა კლიტული,
შეგიქმნი სხვა სიტყვებს, სხვა რითმებს,
არ მინდა სხვა მეფის ტიტული!

65

გენი თითქვი 21.08.2012.
(სალომები)

შენი თითები, ვარდისფერი ნეკერის მხგავსი,
დაფარფატებენ თოვლივით ჩემში,
მე მათ დავკოცნი მოწინებით, სითბოთი სავსე,
როგორც გვაღვიან იალაღს თქეში.

არ მინდა გზები, მე – მძინარე, თითებზე ვივლი,
ისინი მუდამ მირნევენ აკვანს,
ვიქნები მუდამ ბედნიერი თითების ხილვით,
მათი ამბორი მე გულში ჩამყა.

მე და სამყაროს აგვიშენე თითების ჩიდი,
სუნთქვა მაჩუქე, ღამეს რომ მითევს,
კვლავ გავიხსენოთ, წყვდიადისგან ნათელს რომ ქმნიდი,
რომ ვეამბორო შენს ნატიფ თითებს.

ამბობი

17.07.2011.

ორმო ვარ, მავი დღეები ჩემში ცვივიან, ინვიან,
ტვინში უკალი მესობა – ღამის უცრძესი ნინვია,
ჩემს ცხოვრებაში მარადი უკუნეთი და მწუხრია,
სულით ჯუჯები მეფობენ, დიდები თავებს უხრიან,
ჩემს მარტოობას უფალმა ოდესებე თუ კვლავ მოხედა,
ქვეყანას გავყოფ შუა ზე, სამოთხედ და ჯოჯოხეთად,
მაგრამ ამყამად მოუცავს ბრელს ჩემი მინა და ნყალი,
ქათამი ცაში დაფრინავს, არწივი არის საწყალი,
ხეტიალობენ ჩემს სულში ვიღაც ძინძური ლანდები,
გული გაძვავდა, არასდროს, არასდროს დავიშანთები,
ახლა ხეს ვგავარ, ქუხილით დაცემულსა და ნამეხარს,
სუნთქვით ფილტვები დამისცდა, ლრიალით პირი გამეხა,
ლამეც თეორია, ნყვდიადებს ჩემს აღმონაზე სულ ვეღი,
აღარ ვარ აღარც სინათლის, აღარც სიცოცხლის მსურველი.
მახინჯი არის ქვეყანა, როგორც ეშმაკის ნახატი,
მე არ ვიცოდი, სიმშვიდეს თუკი ქაოსში ვნახავდი,
ვუყურებ, მაგრამ ვერ ვხვდები, ქვეყანა რაღამ დაბოლმა,
დაე, წაგლეურო ქაჯებო პატარა კაცის ამბობმა,
უნდა გავიქცე! აღარ მსურს, თქვენ რომ გიყუროთ ვირებო,
ჩემი ქვეყანა მესახის, ლალი და უნაბირებო!

ხმა კელილან

10.08.2011.

(დედა ნისიძეს)

ტაძრის ეზოში, სადღაც ბოლოში, განმარტოებით იდგა კელია,
ვინწრო საკანში ცხოვრობდა სული, სადაც მფრედების სამყოფელია
და ამ სულს ქონდა ვოგონას სახე და მარიამის აფრქვევდა სითბოს,
რომ ლოცულობდა, ზეციდან ნეაროს ჩუმი ჩურჩული ისმოდა თითქოს,
მხოლოდ ის იყო ამ სამყაროში! მხოლოდ ის იყო, ძეტი არავინ,
კლდეებს არყვედა გალობა მისი და იდგა მისი ლოცვის კარავი,
მე მისმენია ბულბულისათვის, გულს ჩამოლია მისი სინა ზე,
მინახავს, როგორ ეხეთქებოდა ჩიტი შეჭირხლულ ფანჯრის მინა ზე,

მაგრამ არასდროს შეუძრავს სული ქვეყნად არავის, ძლიერად ასე, ჯერ არ კყოფილვარ ლოცვა-გალობის შთაბეჭდილებით ასეთი სავხე...
იმ კელიაში თითქოს ძენამუდ კიოლინოთა გუნდი ტიროდა...
და მე შევჩერდი, გზად მომავალი ანგელოზების სანაპიროდან!

უცხო მღვიმები

14.08.2011.

მთათა მწვერვალებს, სადაც ჟარშანდელ ქათქათა საბერებს დილა უტევდა,
მე შევცემოდი და ვმეცობრობდი დასასრულების დებიუტებთან.
ვიყავი ციხის მარადი მკვიდრი და დალენილი ფრთები არწივის,
კვლავ დუღდა შუბლზე ნიავის სუნთქვა და კვლავ წიოდა ძვლებში ქარცივი.
მე იმას ვუსმენ, რაც უკვდავია და რაც ჩემს სმენას უფრო ავიუებს,
რაც იბადება პოეტის სულში და რაც მუდამ დგამს ცისკენ ნაბიჯებს,
ვერ გაიხარებს ჩემში სიავე, ვუმღვრი მხოლოდ სხივებს, ფაქტზებს,
მე მეამბოხეს ვებრძვი ანგელოზს და ეს ჩემს ყოფას ადრამატიზებს.
აკვანს დაკურნევ ციდან მომავალ ანგელოზების რძისფერ ერთობას;:
(რად მინდა ხორცი, თუ ჩემი სული ცარიელ ტანში ხტის და ერთობა?!)
მე ვესტუმრები უცხო მღვიმებს, მოვუსმენ სულ სხვა ზღვათა ნიუარებს,
შევებრძოლები ქავების ხროვას, ძყრალებს, საძაგლებს და ნაგიუარებს,
ნუ მათქმევინებ ოლონდ უფალო: „ ჩემი ცხოვრება იყო ამაო...“
ნუ ვამინბილებ ოლონდ იმედებს და შემიფარე ნმინდა მამაო!

67

სიცოცხლის მიღება

27.04.2012.

დედამიწაზე ხარობს ყოველი, მხოლოდ ცნობადის ნერგი გადახმა,
ცხოვრება არის სიცოცხლის მიღმა – უძედურების მთების გადაღმა,
მე შორს განვდევნე სიკვდილის შიში და შევითვისე ყოფნის ფოტია,
ისე დამეტყო სულში სიძერე, ჯერ სიყმანვილე არ დამტყობია,
ვნახე ყოველი, არაფერს ვნატრობ, მხოლოდ კლდეებთან მინდება შებმა
და მომიგონონ მინდა სიტყვებმა, ჩემმა რითმებმა, ჩემმა პწერებმა,
უარყოფ ყოველს, რაც კი ანათებს, ზიზლს ინვევს თვითონ დილის ნათება,
ყოველი წვეთი ძდევნის შადრუების, შავი კოშმარი მუჯალათება,
არ მინდა აღარც ლამაზთა მოდგმა, მათში ხომ გულმა სიკვდილი ნახა,
არ მინდა აღარც აკვნის დანახვა, ტირილის სმენაც აღარ მსურს, აღარ!
მოვუსმენ მხოლოდ ქარიშხლის ლმუილს, მხოლოდ არყოფნის ბადეს კუდები,
კმარა! მძულს დაძე, დღე, მთვარე, მზე, ცა, ქარი, სიო და წვიმის წვეთები!
მაგრამ დრო მოვა, მე მოვალ თქვენთან შავ გარეკანზე, კალამით ხელში,
რომ გავხდე ისევ ლრიალა ლექსის, სიყვარულის და სიკვდილის ელჩი,
მე მოვალ ისევ დღისით და ღამით, იანვრისა და ივლისის უქო,
რომ დავეუფლო თეთრ უკვდავებას და დავიწყება რომ დავაჭლექ!

სანთლად ოქცა
 ხევლი სული,
 იბრიალა,
 იკაშვაშა,
 ენთო ერთხანს,
 დადნა, მაგრამ
 არ ჩამქვრალა
 ალი მისი.
 არ ჩამქვრალა
 მისი სუნთქვის
 ცეცხლოვანი
 ჩირალდანი,
 შეეთქვიფა
 დროს და სივრცეს,
 სადღაც დარჩა
 სიტყბო ხსოვნის!
 გამოისხა
 თეთრი ფრთები,
 აიზიდა
 ლურჯ ზეცაში,
 შეეკედლა
 სავსე ჭიქას
 და ეწოდა
 მუდმივობა.

ვოგოვ ანკარა... ტუჩებო ტკბილო,
 შუბლო ნათელო,
 უძვირფასესო, ლურჯ მზერვალ ზე დავანებულო,
 ხარ ანგელოზთა დედოფალი
 და დედამიწის საყვარელი მანათობელი.
 იცოცხლე ჩემზე ბევრად მეტი,
 რადგან მე ვიყო
 უამაყესი ნასულთა შორის,
 რადგან შევძელი ჩემი ხსოვნის შენარჩუნება
 ლმერთამდე ანგდილ შენს გონებაში.

მაინტერვესტს

15.08.2008.

მაინტერესებს, რას დაწერენ ჩემზე ასი, ან
თუნდაც ათასი წლის ჩავლის შეძევებს.
მაინტერესებს, ეს ცხოვრება თუ რის ფასია,
ან თუ რაიმეს მოიტანს შედევს.

ერთნი იტყვიან: „ის ნერდაო გაბოროტებას,
ზღვას სიმახინჯის, მწარე ჩანჩქერს! აღმათ მას სულში
აღარ გააჩნდა დადებითი!“ ბეორენი კი
აიმაღლებენ ხმას, იტყვიან: „ნუთუ ლექსებში
რომელიც იყო დანერილი მის მიერ, ხედავთ
რაიმე უმსგავსს, ეშმაკეულს? ან რად ივიწყებთ
მის ლექსებს, სხივით გაუდენთილებს და სიყვარულით?“
აი, კამათი კლავს სიმართლეს. დიალოგია
ჭეშმარიტების ჭეშმარიტი სამჯედლო მხოლოდ.

შპობი

18.08.2008.

ჩვენ ჭაობში ვართ განდევნილნი. როგორ მოგვბეზრდა
ეს ლამაზი და მოსახუენი მწვანე სიმყრალე!
რა ლამაზია ეს ჭაობი! ჩვენ ორნი ვართ – ის, მე, მე და ის.
ვიძირებით და ვიძეორებთ: რა ლამაზია! როგორ გვინდოდა
რომ გვეცოცხლა ამ სიმწვანეში და ამავე სიმწვანის გარეთ!
და ჩაძირვის დროს ჩვენ ვიგრძენით: ვხუნთქავთ ერთმანეთს.
ნეტავ, არ ვიყოთ ამ სამყაროში და თუნდაც ვიგრძნოთ
გიშრისფერ ყვავთა ავი ჩჩავილი მუსიკასავით.
ხელშესახები ხდება ახლა: ჩვენი სულები დღეს მდიდრდებიან
ერთმანეთით და ჩაძირვამდე ერთი წამით ადრე ვიგრძენით,
თუ რა საჭირო ყოფილა ჩვენთვის სულ სხვა სამყაროს ჭაობის ფსკერი:
ჩვენ ხომ განვიცდით რაღაც ზეციურს, არაბუნებრივს,
ამოუცნობს, ღვთიურს, პოეტურს.
და ჩავიძირეთ ერთი რწმენით, რომ გვყვარებია
თურმე სიცოცხლე და ერთმანეთი:
ჩვენ ხომ ერთმანეთს ვუერთმანეთეთ.

69

რომაბი სიცხე

04.12.2008.

ორიათასრვა. აგვისტო. სიცხე ორმაგი.
დასერილია ქართული ცა რკინის ჩიტებით,
მძიმეა ზეცა, კით სარკოფაგი,
ვართ ერი მცირე და ძლიერი – მტერს ვედიდებით.

იმუქრებოდნენ ჩრდილოელი ქონდრისადათვები.

ერთი საზღვარი არის აქ, იქ, ყველგან და არსად.

მშვიდობას უდგას კრიზისი მძიმე, სულს დაფავს იგი კეთროვანივით.

იდგა გნიასი ქალაქებში, მწვანე სოფლებში, სულში, ძარღვებში, უჯრედებში, ხორცსა და ძვლებში. აღარსადა მოძრაობა ჰაეროვანი, ლალი და ნაზი. გახრიოკებულ არტერიებს ნეუროდათ სისხლი;

მისი ჩანჩქერის მოლოდინში ფეთქვდნენ მაშინ.

ადამიანს კლავს ადამიანი. აქეთ და იქთვი ვეცემით ჩვენ, თვენ, დაუცემიან სადღაც ისინი. სისინი ისმის საიდანლაც და ჩვენ კი, ჩვენ კი,

თავები ძალლა გვაქვს აპყრობილი

და მკერდგამსკადარი ჯარისკაცი ეცემა სადღაც.

ის ასწრებს ჩურჩულს: „მე ვარ ქართველი და თუ მოვკვდები, მიხარია, რომ მოვკვდები ასე“.

თავის სიცოცხლეს საქართველოს და გაუკვდავებას ჩუქნიან ასე.

ღმერთო, რამდენი გვყოლია გმირი და ვერ ვამჩნევდით.

მაგრამ არიან ყორლანებიც – სადღაც, ხოროში კანკალებენ გათიშულები, იმეორებენ უბოლოდ სიტყვას ორადორს:

„ჩემი სიცოცხლე, ჩემი სიცოცხლე,“

მაგრამ, არ მესმის, რა სიცოცხლე ზე ლაპარაკობენ ახლა ისინი,

რადგან, ისინი მკვდრები არიან.

როცა ისინი ერთად არიან, იქაურობა მომავნებს კრემატორიუმს.

საქართველოა, გვამთსაცავი კი არა, გესმით?!...

70 მაგრამ ამჯერად აქ ომია და ზუზუნებენ მკვლელი ტყვიები ცხელი ქარივით. სადღაც ზიდავენ პიკაპები დასისხლულ ცხედრებს.

ყველა მათგანში საქართველო იყო ყოველთვის.

საქართველოსთვის ყველა მათგანი სინონიმია არდავინყების.

და, მოგონებებს გამალებით უცემთ გულები; იდგა აგვისტო.

განშორება

25.01.2009.

მაშინ ძვირფასო, (რა დამავინყებს)

როცა ერთმანეთს კუპირებდით ჩვენ განშორებას,

ჩვენ... ჩვენ ერთმანეთს კუყურებდით მტირალ თვალებში.

მე არა, არა... შენს სიმაღლე ზე უზროდ მყოფი მე კუყურებდი

ლურჯ სამყაროში მონარნარე ნევილ ტბებს ცერიალებს

და ცისარტყელის ფერები როგორც დაამძიმებენ ხოლმე მზის სხივებს, ისე ტიროდნენ შენი თვალები.

ჩემი თვალები, ოვალური, ყინულის მსგავსი,

მშრალად იტანდნენ აუხსნელ ტანჯვას.

მე ახლა ვიცი: იმაღლებოდა!

რამდენი რამე იმაღლებოდა ამ ჩვენს მზერაში!

იყო მოგენტი, როცა სიტყვა ამბობს არაფერს.

შენ შეტრიალდი და წახვედი!...

მეც შეტრიალდი ცარიელი ოთახისაკენ,
რომ დაცენახე კუთხეში მდგარ საკრალურ საკრავს.
მე გავითიშვე, არაფერი აღარ მახსოვდა.

მივუახლოვდი, ხელში ავიღე და დავუკარი ისეთი გრძნობით,
რომ აღრიალდნენ კუდლები ირგვლივ.

და როცა მივხვდი, დარჩენილი მარტო ვიყავი
მარტოსულ თავთან, მეც ავლორიალდი მაშინ პავშვივით.

ტიროდა ჩემთან ერთად საკრავი, იმეორებდა ჩემს უთქმელ სიტყვებს:
— „სად ხარ ძირფახო?“

ტიროდა ჩემთან ერთად საკრავი, ბანს მაძლევდა:

— დო, რე, მი, ფა, ხოლ.

ნაპირზაღი

31.01.2009.

მე წაგიკითხავ წიგნს რომელსაც არ კითხულობენ
რომელიც არა არ იწერება

მე ვნახავ სიზმარს რომლის მსგავსი არც კი უხილავს
ქვეყნად არავის და ვერც იხილავს

მშვიდად იყავი მშვიდად მშვიდად მეუბნებოდა ჩემი თავი
როცა მივხვდი რომ ეს იყო ასე

71

რა დამამშვიდებს მშვიდად არიან
მიცვალებულნი მხოლოდ და მხოლოდ
დღეს ქაოსია ჩემი სიმბოლო

მე კი ვაპირებ ასი წელი რომ იყოს ასე
არა ათასი ათიათასი

მე როცა ჭირმა რუსთავიდან გადამისროლა
დაახლოებით ხუთას, ანუ მეტ კილომეტრზე

სადღაც სამხრეთ აღმოსავლეთით
მაშინ მე ერთად დავინახე მრავალი შავი ადამიანი
ცხრაჯერ ჩავიდა და ამოვიდა მნათობი დილის

ჯიბე გამიხმა ყეფდა სტომაქი

მაშინ ვიგრძენი რა ძნელია უსამშობლობა

მაშინ ტიროდა სული ჩემი მე კი ვიდექი

გაქვავებული უცხო ძეგლივით სადღაც ქუჩაში

ის კი ტაბიძის ქუჩა იყო და ეს მიკვირდა

მე ვაპირებდი ფეხით მევლო ყველაზე მეტი ვიდრე მივლია
იყო ზამთარი ნათლისელების ტყვიისფერი ცა

ცრემლით ძლოცავდა მეჩეთის გვერდზე

არსებობს ყველა ყველაფერი რაც კი უღვივებს

გაჭირვებულს მბჟუტავ ნაპერწკალს
მაგრამ თვალების გახელაა მეტად საჭირო

დმერთო იქ შევხვდი სხვა ქართველებს
სხვებს მოყავდათ ისინი ჩემთან
უფრო სამხრეთის კიდევ უფრო ოღონსავლეთის
კიდერე ტბა არის კასპიისა
ჩვენ გავიხარეთ ერთმანეთის დანახვით ჩვენ ხომ
მეორედ შევხვდით იმ დღეებში უცხო ადგილას
მეორედ უკვე შორს სამშობლოდან
მაგრამ მე აღბათ გამიხარდა უფრო ძალიან
მე მჭირდებოდნენ იმიტომ რომ ისინი მეტად
გაჩუძდნენ ჩვენი სტომაქები აღარ გვიყეფდნენ
მართკუთხედი და თეთრწითელი ყუთი მიგორავს
მიგორავს უკვე სადღაც ჩრდილო დასავლეთისკენ
გაჩერდა იგი ჩამოვედით შევედით სადღაც
რამდენი ჩაი ცოტა არაყიც
გავედი გვერდზე მოვიხედე და აღარ იყო მართკუთხა ყუთი
და რას ჭხედავდი
ქუჩებს აყუჩებს ღამის ბალლამი
სახლს მამორებდა კილომეტრი რვა ათეული
16 საათში სახლში ვიყავი მაგრამ მანამდე
მე გავაოცე შავგვრებანი მესაზღვრუები
მათ არ სჯეროდათ თუკი კაცი ფეხით გადადის იმათ საზღვარზე
მე კი ვიყავი გამოხაკლისი
მე წავიკითხავ წიგნს რომელსაც არ კითხულობენ
არ ინერება რომელიც არსად
მე ვნახავ სიზმრებს
რომლის მხვავი არ უხილავს ქვეყნად არავის
ამ სტრიქონებს კი ახსოვთ ახსოვთ ეს ყველაფერი

72

თუ თვალს გავახელ

12.02.2009.

თუ თვალს გავახელ და შევხედავ ჩემს თავზე ქალის
გადმოხრილ სახეს თმაგანებრილს და მცლოვიარეს
თუ მე ბურანში შევიგრძენი სინითლე ალის
შენი ლოყების
მე რაღა მოქვდავს მომაგონდება
ძველი დღეები სიახლოვე და განშორება
შემდეგ ტირილი უცრებლებო და ისევ ისევ
გათენებამდე ერთმანეთის ანუკეტილი სხა
რომ მივუძღვებით სიყვარული მაშინ ერთმანეთს
როგორც თილისმა უმომავლო როგორც თილისმა
მე ახლაც ვტირი უცრებლებოდ და ვხვდები მაშინ
ვიმყოფებოდით ლურჯ მწვერვალზე ბედნიერების

იყო ქათქათა თოვლისფერ მთათა თითების თეთრი თამაში
 ახლა კი ახლა მე მე მხოლოდ
 ვაღმერთებ ძველ დროს აღმერთებდა როგორც ედგარი
 ვირჯინია პოს
 და მჯერა ძველ ზღვას უახლესი სისხლის მედგარი
 ტალღა მიაპობს
 რომ მაგომდება ნატიფ სხეულს არ შეუძლია
 იყოს ნატიფი სამარადისოდ
 რომ მაგონდება დროის შემდეგ რომ შენი სახლი ცივი ყუთია
 მაშინაც ვტირი ოღონდ უკვე მახლავს ცრუმდები
 დაწვები ჩემი სველია უკვე ოღონდ როდესაც
 ვარ დარჩენილი საკუთარი თავის ნინაშე
 როგორც მინდორში მარტოსული ხმელი წიფელი
 და უბოლოდ ვიძეორებ რომ შენი სახლი
 დროის შემდეგ ცივი ყუთია
 და მიხარია რადგან მე მახსოვს
 ნვიმისფერ თვალებს ერთ დროს ჩემთვის უსათუთია
 აიხტერგივით ვჩანვარ მაგრამ არ არის ასე

მე-სიზმარი

05.03.2009.

73
 მე სიზმარი ვარ არარსებული სამყაროდან სტუმრად მოსული
 პატარა არ ვარ შემისრულდა გასულ წელს *theory*
 ვარ უსასრულო გამოგონილ ქვეყნის სიღრმეში
 ვიდრე ჩვენთან არს
 ვიდრე ჩვენთან არს
 ვიდრე ჩვენთან არს უფალი ღმერთი
 მე სიზმარი ვარ თავის ქალაში ვიბადები ადამიანის
 როცა ღრმად არის ძილში წასული
 და მორცეუსის სუნთქვით არსებობს
 პატარა არ ვარ პატარა ვარ მაგრამ მზესავით
 კაცი რომ უმზერს მინის ჭრელი ზედაპირიდან
 არავინ იცის რისტვის საიდან რატომ მოვედი
 არავინ იცის კესტუმრები რომელი ღამით
 არავინ იცის რადგის წავალ ან საით გავჩევ
 არავინ იცის რამდენი ხანი გაუგრძელდება ჩემი სტუმრობა
 არავინ იცის სამყაროში ჩემი ფუნქცია
 მხოლოდ მაშინდა მიხვდებიან როდესაც ნაკალ მოულოდნელად
 თეთრი ხილვები ვიდრე ცოცხლობენ
 მათი არსების დანიშნულება გართობა არის მინიერ კაცთა
 სიმოვნების მინიჭება ესთეტიური
 როცა მიდიან თავიანთი მასპინძლებისგან

ისინი ტკბილად იგონებენ ჯერ კვლავ ნახევრად
 ბურუსში მყოფნი წუხანდელ სტუმარს
 და ენატრებათ სიზმარი ივი თუმცა ახლადა წავიდა მათვან
 მეც მენატრებით ჩემთ კარგებო
 მერე რა რომ ახლა დაგროვეთ
 რომ ახლა იშვა ნათელი დილა ჩვენს ცხოვრებაში
 ჩვენს პანაშინა ბრძა სამყაროში
 მომენატრებით მუდამ ვიდრე არ ვარ თქვენს გვერდით
 ან არ იქნებით ჩემს გვერდით ვიდრე
 მე სიზმარი ვარ
 ახლა როდესაც იშვა დილა
 და არ ვარ თქვენთან უფრო სწორად აღარ ვარ თქვენთან
 დაგელოდებით თვალხილულნო
 თქვენ თვალხილულნი როდის მიხილავთ
 და შემდეგ გეტყვით
Welcome ჭეშმარიტ სამყაროში პა ჩემი ხელი
 ახლა კი თქვენ ხართ ჩემი სტუმრები
 მე სიზმარი ვარ თოვლისფერი
 სიცოცხლეში ამოუცნობი
 მიუწვდომელი თეთრი სიზმარი

ორად იყოფა ეს სამყარო
 მე და სამყარო
 მე დავილალე უცხოობით საკუთარ და მეორე მესთან
 თქვენს სამყაროსთან
 მე დავილალე იმის გამო რომ მინოდებენ უცხოპლანეტელს
 უჩვეულოა მოელი ჩემი უბედურება
 ყველა მიმიკა მოპყრობილი ჩემსკენ ამბობს რომ
 უცხო ხარ უცხო შენა ხარ თვითონ უჩვეულობა
 მე რა კენა თუ არ შემიძლია ვისუნთქო ვიგრძნო
 კნახო სიზრები განვიცადო ჩვეულებრივად
 სამაგიეროდ შემიძლია ვიზილო თვითონ უხილაობა
 მაგრამ მე არ ვარ ძედინერი თავს ვუმეორებ
 ასეთი ყოფა მოკალი რათა დარჩე ცოცხალი
 დაბადებიდან ვფიქრობ მისმინეთ
 ვინმემ ინება დაკნინება ამ ვისოსების
 ჩემი თვალების სიღრმეში რომ გა ზაფხულობენ
 დღეს მხოლოდ მე ვარ პატიმარი ამ ვისოსების
 ვაწყდები კედლებს სად გავიქცე რა პატარაა ეს დედამინა
 მე გეკითხები ირონიავ
 ჩვეულებრივ ზე ჩვეულებრივ რიტმო ცხოვრების

მე შემიძლია შენნაირი რომ ვიყო ახლა ხვალ ან ოდესმე
ან თუ შემძლო შენნაირი ვყოფილიყავი
არ ვყოფილიყავ რადგან ახლა ასე უბედო
ადამიანნო მე მინდა რომ თქვენ ჩამოგვავდეთ ცოტათი მაინც

ის ტირის

14.03.2009.

ვინგეს გინახავთ ლექსი, როგორც სუნთქვა სიცოცხლის?
ის ხომ ისეთი სინათლეა, ჰაეროვანი,
განუწყვეტილი, გამჭვირვალე, მარადიული!
როცა კითხულობ, უხარია, მაშინ ცოცხლდება,
ფერხორცს შეისხამს, ფრთებს შლის, დაქრის, ძღერის, ზანზარებს
და ირგვლივ კედლებს აზანზარებს ნერიალი მისი!
მინახავს მისი მორონდენა, ხანდახან ტირის,
ხანდახან ყვება სიამაყით უკვდავ გმირებზე,
ან უიბედო, მიტოვებულ, მკვდარ სიყვარულზე!...
მაშინ კი ტირის, ტირის, როგორც ბავშვი უდედო.
თქვენც იცით: ლექსის მირონდენა მე ხომ მინახავს.

შიშის პპრაპი

04.04.2009.

75

ვიდექი გვირაბში, რომელსაც არა აქვს საწყისი და ბოლო.
ბნელოდა, ისე რომ ვვრძნობ აისტერგების სიცივეს მე მხოლოდ.
ისმის ელექტროგიტარების მძაფრი უდარუნი
და გვირაბიდან უბორიშოდ მოქრის კოცონი.
კფიქრობ გაქცევას, მაგრამ ვხვდები
– ასე უაზროდ არასოდეს არ მიფიქრია.
აღარასოდეს იარსებებს კარგი, რომლისაც ასე მჯეროდა!
უურებში წიგის ურჩხულების ღრენა მოსისხლე.
შიშის სურნელი ტანზე მაყრის,
მესობა მისი გრძელი ვეღები, ხმას ვეღარ ვიღებ!
ეს არის შიში მარტოობის. უსაზღვროდ ისმის,
ისმის ელექტროგიტარების მძაფრი უდარუნი!
ისმის გალობაც – რეალობის სავი დაციხვა.
მე დავიბადე იმისათვის, რომ ვმდგარიყავი,
რომ ვმდგარიყავი, უნუგეშოდ და უბოლოოდ
იმ ბნელ გვირაბში, რომელსაც ქვია
მარტოობის და თეთრი შიშის მწარე სიბნელე.

შე მძველ მუკარხარო!

06.09.2009.

ოჳ, ქეთი, მაკა, ლიზი, ნინი, სოფი, შორენა,
ლილე, თამუნა, ინგა, ელენე,
რამდენ უილბლოს გაუჩენდით სიცოცხლის წყურვილს,
რამდენ უბედურს გადაარჩენდით
სუიციდს თქვენი ღიმილით, ანდა,
თქვენი ნაზი ხმით წარმოითქმული ამა სიტყვებით:
„მე თანახმა ვარ“
თქვე აზიური მენტალობის ლამაზო მსხვერპლნო,
კაცთა ოცნების უკარება და ეკლიანო მნარე ისრებო,
თქვე ედემიდან გამომგდებნო,
თვითონ ედემის აკრძალულო უცხო ხილებო,
უნაყოფობის უარყოფნო და ტკბილი ნაყოფის ნაყოფებო,
მე თქვენ მიუვარხარო!...“

ილუზია

16.07.2010.

მე მძინავს ახლა აგ ზნებული ბავშვის ზმანებით.
არ ნაიკითხოთ ეს ნაჩმახი, ის სიგიურა.
მე მინდა ვიყო, ვინც ვარ უკვე, მაგრამ ვერასდროს კედაარ ვიქნები.
ამბობენ, თურმე უკნებელი არის ოცნება,
მაგრამ ეს ვიდრე ილუზიად გადაიქცევა.
ის ვარ, ვინც არ ვარ და ის ვიქნები, ვინც არ ვიქნები.
მე ვინც ვიყავი, მართლა ვიყავი, მაგრამ მომბეზრდა ჩემად ყოფნა,
მელნით გავავსე რვეულები და შევებრძოლე სხვა აზროვნებას,
მე გადავფრინდი სხვა გალაქტიკის, სხვა პლანეტის სხვა დროებაში,
გ ზავ გავუყენ სიცილი და სიყალბე ერთად,
უფსკერო ხრამში მოვისროლე ყოფილი მიწის კეთილგანწყობა,
ვიზილე დრამა,
დავუმევობრდი მარტოობას და შევიშალე.

ნიმუში ტყე

05.02.2011.

ტყეა შემოდგომის. ქარი ქრის უჯიშო,
მახინჯი, ბოროტი, ძვლების გამთოშვი.
შავ ხეებს ასხიათ წითელი ფოთლები.
კადრი ფოთოლცვენის – სიკვდილიანობა.
ხიდან მოწყვეტილი ყოველი ფოთოლი
ნააგავს მომაკვდავ, ცოდვილ ადამიანს,
რომელიც გახდება სარჩო დედამიწის.
ის გადაიქცევა გახრწნილ ხემობალად
და ვეღარასოდეს ვერ მოევლინება ღვთის შექმნილ ქვეყანას.

ჩემი სიმღერა კედლებს არღვევს და თქვენ მოგეხმით
ხმა დაცემული მდუმარებისა
ნეტავი რატომ ვიყავი ჩუმად
როცა მინდოდა მესაუბრა ხატის წინაშე
კვნესის დაირა მელანდება თეთრი მტრედები
ოლონდ არ ვიცი რუბმა მტრედმა რა დააშვა
რატომ არსებობს განხსნავება კანის ფერებში
მე ვა ზაფხულზე ჩამელვრება სითბო სხეულში
დამიხუთავენ სულს ზაფხულის ცხელი დღეები
შემოდგომა ზე არემარე გაიძარცვება
ზამთარში ისევ იძაგძაგებს ხორცი და ძვალი
და არასოდეს არ დამტოვებს ძველი სურვილი
რომ კვლავ ვიმღერო
რომ კვლავ ვიხილო თეთრი მტრედები
და მთელ სამყაროს მოვასმენინ ხმა დაცემული მდუმარებისა
აზრი არა აქვს სხეული ივლის
თუ განისვენებს სამუდამო სასთუმლის ფსკერზე
სულს ძუდამ უნდა
იმღეროს თქვენთვის
მოგასმენინოთ რადგან სიმღერა დამარცხებული მდუმარებისა

77

დარჩი და იპრძლე!?

07.06.2011.

დარჩი და იპრძლე, დარჩი და იპრძლე!
იარე, იშრომე, იცინე, ილოცე,
აკოცე საკოცნელოს,
მიანდე ცხოვრება უფლის მოწყალებას,
უბრალოდ, იცხოვრე,
ოლონდაც არასდროს იფიქრო სიკვდილზე!...
უბრალოდ, იცხოვრე... რისთვის? ცხოვრებისთვის.

დუნაის სიმღერა

06.08.2011.

დულავს შავი ზღვა. ბნელა. თვალთან თითს ვერ მიიტან.
ანგელოზები ლოცულობენ შენს სულში ახლა!
მე სტუმარი ვარ ივერიიდან,
არ ვიცი, სად ვარ, მაგრამ ვიცი: მღერის დუნაი.
აღმოსავლეთით ზღვის ტალღები ეხეთქებიან
ნესტიან კლდეებს, მე ვდგავარ მარტო,

ვარ ცისკენ ხელებაპყრობილი, ვუყურებ სივრცეს,
წვიმისფერ ღრუბლებს და ვყვირი: „სად ხარ?“
რა მუსიკა: „ვალერია!“ ვიდექი მარტო...
ანგელოზები დაიბადნენ შენი სულიდან!
ლელავს შავი ზღვა... სტუმარი ვარ ივერიიდან,
მე მიძღვნდა შენზე დუნაი
და მოისმოდა ანგელოზის საგალობელი.

არ ნამიკითხეული

28.09.2009.

მკითხველი, რატომ გადაწყვიტე ნაკითხვა ჩემი?
ეს დღიურია – წიგნია, თუ რვეული რაღაც.
ჩემი სული დევს ამ ფურცლებში – გაურკვევლობა,
ცოდვილი, უცხო! მეტიც – ზიზღი გაუცხოების!
ტვირთის სიმძიმე ამ ცხოვრების, ჭაობი მყრალი
და ამ ჭაობის სილამაზე, სიტკბო და შხამი!
უცნობი სუნთქვა – მკვლელი ხილვა უხილაობის.
გვონი, ფიქრობ, რომ შეშლილი ვარ! მაშინ ჯანდაბას
ეგ შენი თავი ცარიელი! დახურე წიგნი!
ახლავე! მიდი, დაუბრუნდი შენს ყოველდღიურს,
მახინჯ, უაზრო ამ ცხოვრებას! ხელი გამიშვი!
ახლავე წადი და არასდროს აღარ მოხვიდე!
ახლა ზარია სული ჩემი; მე ვირევები.

78

სტრიმზიპის ტრია 23.05–27.05.2012.

საუკუნე გეძებდი გადაპტიონ ყვირილით!
არ ყოფილა საუფლო შენთვის თურმე დაბლა,
მოვიწვიოთ მთაწმინდის მთვარეც, ვარდით, გვირილით,
ჩამო, იქნებ ჩაგვედგა დღეს რიონში ტაბლა.
იქნებ, ნისლის ნაპირის მოუღვარე თარეში
მერიქიფედ გვეწვიოს, დაგვიმშვენოს გვერდი,
იქნებ, გვეიავნანოს ღამის ღურჯ სიწყნარეში,
რასაც სიმწუხარეში ძღვროდი და წერდი.
იქნებ, ისევ მოვიდეს ხილვა თეთრი ეშვებით,
უფსკრულების კოშკები დაენარცხოს ფერხთით,
იქნებ, მინა ვიპოვოთ, ციდან რომ დავეშვებით,
ანდა, დემონს შევებათ, ედემში რომ შევხვდით.
სულ ტყუილად წყურია სულს საზღვარი პოეტო,
არ გაქვს სულის სავანე, არც სიმშვიდის ბალი,
მხოლოდ ის შევიძლია, გვირგვინს ემარტოეთო
და უსაზღვროდ ათრით მარტოობის დაღი!

შენ დაღუპვას უხმობდი, დააჩოქე სიბერე,
მიწა გეპატარავა, დაგეძებდა ელდა,
ფრენას ეანგელოზე, სიკვდილს ელუციფერე
და რძისფერი წყვდიადი ცრემლით დაგისველდა.
დავიწყება მკვდარია! გრძნობდეს სული იდეალს,
იქით, სადაც კიდევა ხეივნების მარში,
როცა ძლვრიე კოშმარებს ესვრი თეთრ ორქიდეას
და ფოთლები კივიან ძდუმარების ქარში.
როგორც უხვი მემკვიდრე, შენ ამტანი იყავი
მწუხრის მწვერვალებამდე ატანილი ტანტის,
შეფის შარავანდედი გედგა გაურიყავი,
სადაც შიშის დარბაზის ბალერინა დახტის!
აჰა! შენს სამყაროში ნაგვიყვანოს სინათლებ,
აგვიყოლოს ღრუბლებში ღურჯა ცხენთა დოღმა,
ატეხილმა ლერნებება სული თუ მოგინათლებ,
ვან დეკის ლანდივით თუ გამწვანდა ბოღმა!
შენ მოგიხმობს მინისქვეშ აჩრდილების ვაება,
მაგრამ არ ეკარები, არ მიდიხარ ახლო,
- არ იციან ფრენა, რომ შენს ფერხულში ჩაებან
და სატანას მიმართავ ღრუბლებიდან : „ძაღლო!“
პოეზია უშენოდ შეიმოსა შავებით,
შენს შემდეგაც წყვდიადის პროცესია მოდის,
ვიცი, ლექსის ხმაურში სად და როდის ჩავებით,
კუპრის ტბაში შევხვდებით მაგრამ ნეტავ როდის?
ანდა, როდის შევხვდებით, სადაც ისვრის ნაფოტებს
სპლინი - უხმო ჯალათი, ძირფასი და მხარე?
დაუ, წუთი სიცხი ზლის გახდეს საეშაფოტე
იქით, სადაც ხარხარებს მისტიცი ზმის მხარე!
სადაც გაუგებარი ისმის მთვარის მაგია,
სადაც სული ბუტბუტებს უკვდავ გამებს ბნელში,
სადაც ტყის და ყინულის ვერცხლისფერი ბაგეა
და ზეციდან ეშვება დედამიწის ელჩი!
არ გეცალო უბრალო ხმისთვის, სადაც ეფლობა
აუხსნელი გუგუნი, განწირული წყლული,
ქვეყნად შენ გააღვიძე ლექსის უბერებლობა,
ლექსში შენ მიაძინე ავონია სრული!
თუნდაც, ისევ მოისხი მეფე ლირის მანტია,
შენ არა ხარ ეული, არ გაქვს შავი ფარდა,
შევხვდეთ ერთურთს იქ, სადაც სული დარდიმანდია,
არაფერი გვახსოვდეს პოეზიის გარდა!
ახლა დროა პოეტო, კვლავ დავშორდეთ ერთმანეთს,
გავიხსენოთ ჩვენ-ჩვენი სტრიქონების ტროა,
კვლავ ჩავეფლოთ სიციურის ჭაობებში ღმერთმანი,
ახლა დროა სიცოცხლის, ახლა ტაშის დროა!

მწირი, რომელიც მარტო ცხოვრობს საკანში, ყრუში,
არავის უყვარს და მეგობრობს ყოფას, ნაღვლიანს,
როგორ ანგალებს ეს ცხოვრება, მყრალი და მრუში...
ლმერთო, უკერცხლოდ ეს ცხოვრება ავი ძალია!
მე ვვავდი იმ მწირს, ვისაც არ აქვს სულის ბალები
და გაურბიან, ვით გაურბის მთვარე ალიონს,
„აღარ მოხვიდეთ! აღარავის დავენახები,
დე, საკუთარმა მარტობის სევდაძ დაძლიოს!“
მაშინ გამოჩნდი. ჩემი ყოფაც ნაღმა ნავიდა.
თვალებში ჩადგა შენი შუქი. ყინვაც განვდევნე.
შენ შეიქმენი მამა ლმერთის ნაძერწავიდან
და ლრუბლებიდან ჩამოყვავი ნვიმის შადრევნებს!
მაშინ ვიპოვე შენში სული. ალუბლის მანდილს
რისისფერი დილა განიჭებდა, ლამე ბლაოდა,
ნარსულის კერძებს მარგალიტის ცრემლებში ბანდი
და გეშლებოდა თვალწინ უცხო სანახაობა!
ეგ შენი თმები ჩამოშლილი, მხვავხი გიშრისა,
თუნდაც მახრიხობდნენ, არ მეთმობა მე შენი ნახვა
და არ ვინახებ, ტრფობაზ გული თუ გამისრისა,
მე არ გაგიშვებ არასოდეს და თუკი ნახვალ,
პასუხს არ ვაგებ არაფერზე, მე მინდა მხოლოდ
გავხდე უული ბინადარი უგველო ბალთა,
არ წავალ, სულში ვარდისფერი რიურაჟის მყოლო,
თუკი ეს გრძნობა ჩემი ტანჯვის მიზეზი გახდა.
გაყვევები ბილიკს, სადაც მზეა, სადაც იმედი,
სადაც რჩმენა და სიყვარულის ტალღის რიტმია,
დავთმე ყოველი, სადაც შენ ხარ, მე იქ მივედი,
მაგრამ შენს ცაში სულის ფრენა არ დამითმია!
ვდგავართ ხომალდზე. ის ირწევა, როგორც აკვანი,
მხურს, შევაცურო შუა ზღვაში ჩვენი ხომალდი,
დედამინაზე ზეციდან ხარ ჩამოსაყვანი,
რომ გვერდით მყავდე მარად, სულის ამოხდომამდის!
ლრუბლებზე დაგნერ მაშინ სისხლის შავი ნევთებით,
გაიცვლებიან ერთმანეთში ბარათი ორი,
შენს მზისფერ ჩრდილთან ჩუმ დარაჯად ავისვეტები,
ვით სიყვარულის ჯურლმულების მარადიორი.
ყინულისფერი შენი შუბლი, შენი თითები,
დილის მანვდიან უკვდავების უტკბეს საქმეველს,
საღამოს ცაზე მთვარესავით აიზიდები
და შუაღამის ვარსკვლავები მზეს დაგარექმევენ.

რადგან მოხვედი, არ წახვიდე, იყავი ჩემში,
უცხო ფერებით დაგიხატავ უხატავ ნახატს,
ღამე უსაზღვროდ გაიღიმებს, იძლერებს თქეში
და დილის სარკე საკუთარ თავს შენს თმებში ნახავს.
ვერ ვთმობ შენს სურვილს, დარდს, სიხარულს, ღიმილს და ცეკრას,
შენთვის სიცოცხლეს, შენთვის სიკვდილს ვერა და ვერ ვთმობ,
როცა გიყურებ, მუდამ მესმის სულის სიმღერა
და შეაღამის სიჩრდეში გრძელებულებ: „ღმერთო“...
შენ მარტოობის სამრეკლოზე მსხვერპლს თუ მიიტან
და ცისკენ მზერას აგიტყორცნის ოქროს სასახლე,
გამიგებს მხოლოდ შენი ლოცვის ხმა კელიიდან,
რომ შენი სული ყვავილებით ვერ დავასახლე.
ტირის ფლეიტა. ეს ტირილი ლოცვას მავონებს,
უკრავს ორკესტრი ნაღვლიანად, მამუჯვებს, მაბევვს,
ჩემთან მოყავნარ მენტაშული ღრუბლის ვაგონებს
და მზე გაფარებს ყვავილების ურბილეს საბნებს.
იქვევდე, სადაც მარტოობის კლდეა შიშველი,
მზის ქარაფები და რითმების შადრევნებია,
მე მინდა ფრენა! ვერაფერი ველარ მიშველის,
სულს შენი გრძნობა დღემდე თუ არ ადევნებია!
ოცნების ფრთხებით ვენერდეთ გრიგალს, უმაღესს
და ვარსკვლავები ჩამოვრეკოთ მინა ზე ციდან!
გვერდით მეყოლე, მავრამ მუდამ მეიდუმალე,
ლოცვას მიენდე, შენს სულში რომ სამოთხეს ქმნიდა!
ღამე, ნაგდები მკერდის ფსკერზე, მაგარი, ვით ქვა,
დასახლებული დრაკულებით, სავსე ბუებით,
იყო შებლილი! ვყვირი ისე, სულს ძლივსლა ვითქვამ:
მე უშენობას ვერასოდეს შევეგუები!
დავდევდი სხივებს, ტბის წყვდიადებს რომ ამარიდა,
მე ავაყვავე შენი ბალი და ვენახები,
ჩემი სხეული ამოვნიერ ღრმა სამარიდან
და დაცემული აღარავის დავენახები!
ისევ რიურაჟი. ია ზონის სილუეტს სხებენ
მხეცთა კბილები, აიეტის ხელით ნათესი,
ბავშვთა ჩრდილები სამსხვერპლოდან ისვრიან შეფებს
ვერცხლის წყვდიადში და წყვდიადის სიქათქათები.
დველო ქალაქო! არსებულა თურმე ზღაპრეთი,
აჰა! ნათდება სტიქსის ფსკერზე შავი კაბარე,
თმები მახრინებენ სხვა სინაზით, სხვა სიმძაფრეთი
და შენი თმების დარაჯი ვარ მე მომთაბარე.

მე მოგიყვებით, თუ ჭრილობა ოდესშე დაცხრა:
საქართველოა. აპა, რეკავს გლოვის საათი.

დაგვავიწყდება ნუთუ ნელი ჩვენ 89,
ან მოგვირჩება 1990?

მახსოვს აპრილი. ლურჯი? არა. მწვანე? ნითელი.

ცხედართა შორის დავდიოდით! ცრემლებო, ვის ღლით?

შემდეგ კი ნლები დიდთვალება, მშიერ-ტიტველი,
ცა მენამული, მერცხვენილი ქართული სისხლით!

ჰე ქუჩავ, ჩვენი მატიანის სახევ უხეშო,

არასდროს ტოვებს თვალების ფსკერს შენი ნახატი,

მახსოვს შენი ხმა, უიმედო და უნუგეშო,

რომელსაც დამფრთხალ უჯრედებში შავად სახავდი.

შე, ამაღთეას განბანილი, ვიყავი ღეში

ძველი ჰაერის და ალდგომის მქონდა მცდელობა,

ოლიმპოს თავზე კარგად ჩანდა მუქ სილურჯეში
სიმართლის ცოდვა და ცოდვების უცოდველობა.

მესმოდა ღრჯენა დემონების – ისინი შიგნით,

სხეულში მესხდნენ და მეანრავდნენ გრძელი კბილებით,

მე კი ზრდებოდი ილუზის უკვდავი ჯიქნით;

82

ვკვდებით და ვცოცხლობთ! რეალობას არ ვეტვბილებით!
მახსოვს ის, რაც კი ნაღველს, შიშს მგვრის. უნდა მახსოვდეს?
იმ მოგონებებს რაღა ვუყო, თავში რომ ზიან?

მეხსიერებას არ ვინაფრებ აღარასოდეს,

მე ვნატრობ ჩემს თავს ბრძას, ყრუს, უგრძნობს და სკლერო ზიანს!

ხელს ჩავიქწევდით: „არაფერი! ასე იხეა!“

ჩვენ შიგნით გვჭამდა ნაღველი და როვორც ყრუები,

ვეგუებოდით უიღბლობის შავ ოდისეას,

მაგრამ სიყრუეს ვერასოდეს შევეგუებით!

ბავშვის ბავშვობა იქ ქრებოდა და როვორც ბოლმა,

ხაოდა ხორბში დაგრებილი შავი ნათება,

ვხვდები, რა მომცა ნანამებმა სულის ამბობმა:

– ჩვენი წარსულის უმომავლო დასურათება!

უარესობას ველოდებით? ეინ იცის... ვხედავ.

თვითონ სიცოცხლეს ულურჯდება სისხლის სადენი...

აქვიდაც გიურ და ხვლიკივით გამხდარი დედა

გაძვალტყავებულ ძეძუს მკვდარ ჩვილს პირში ატენის!

მეც მახსოვს ქუჩის უღიმდამ სუნთქვა და ღამით

ის უბოლოო შხამი მისი, სულს რომ ლოკავდა!

ნუ ავხებ დროო ცრემლს ჩანჩქერით, ღამეს – ბალდამით

და ხმაც კი აღარ გამაგონო ბენდ კილოკავთა!

ქუჩა სავსეა ხარახურით – ბომფი, მეძავი,
ან ძე ადამის – მას სასწაულს არქეგენ მერვეს,
მზერა აქვს ამ კაცს ქოფაკივით მოუხეშავი,
ნერვებით კბილებდაკრეჭილი აყეფებს ნერვებს!
დღეს რა აზრი აქვს, რისგან არის შექმნილი მიწა,
ანდა პირველად მზე რამ ნახა, ჩიტმა, თუ კვერცხმა?
ვერ ვხედავ სითბოს? იქნებ მისგან სიცივე მიცავს?
ხომ ვნახე თეთრის და წყვდიადის ურლვევი შერწყმა?!
ან გული მარცხნივ რატომ არის? მე მახსოვს ჯერაც:
მარცხნივ ხომ ძევლი ტკივილია, გრძნობა უგონო,
მჯერა გონების, მჯერა გრძნობის, ოცნების მჯერა,
მაგრამ მე მინდა, უგონობას რომ გავუგონო!
ჩემში ვხედავდი მივიწყებულ ციხის ეზოებს,
ქვეწარმავლები შერევიან სადაც არწივებს,
ვეფერებოდი სავსე მთვარის შავ-თეთრ თეძოებს;
მე ის ძნელ ღამეს და რთულ სიზმრებს გამიმარტივებს.
ვიცი, რას ნიშავს, იცოცხლო და, უბრალოდ, რომ თქვა:
„მე ვცოცხლობ“... ნუთუ, ყველაფერი ამით მთავრდება?
რა პატარაა ეს ცხოვრება! ან ჩვენი მოდგმა
სად მიდის ღმერთო? მიწაში, თუ ცაში ფარდებად?
ირგვლივ რამდენი ნიღბებია! ან როგორ ისმის:
„ღმერთო, ერთნი ვართ, დაგვიფარე!“ როგორ ტირიან!

83

ეს სიცილია ტირილისა – ნება ცინიზმის,
ამდენ გმირებში ყველა გმირი განა გმირია!
არ ჩერდებოდა ეკლესის გუმბათზე ზარი
და სიჩუმეში ხაფი ხეგბით ხილვა კიოდა;
დღეს რატომ ცდილობს ხორცი ცხელი და აბეზარი
ვულკანის გავლით ამოხტომას საიქიოდან?!
ვხედავ, ირგებენ მტაცებლები ბატქნების როლებს,
ახლაც ვკრძნობ, ახლაც მაკანეალებს; როგორ ყმუიან!
სიკვდილის სურნელს ვისუნთქავდი, სულს რომ აყროლებს,
ცხედარში თეთრად მიწიოდა: „ალილუია!“
მკლავს უარყოფა უარყოფის. ტიროდა ზეცა.
(ზამინ ჩემს ტვინში საიდუმლო იყო სერობა)
მე, როცა ქრისტეს გავექცი, მაშინვე მეცა
ქრისტეს გაცემა და იუდას ლუციფერობა.
მე ვკრძნობდი, როგორ ასედებოდა შავ ლრძულებს ნესტი,
მგლეჯდნენ განცდები, ხმა ჩამიწყდა და როგორც სისხამ
დილით მახარებს ხოლმე სხივი – ახლა მზის ნეშტი,
ცარიელ ჭიქას ვიზებ, ვცლი და კვლავ ლვინოს ვისხაბ.
მეც ამ ცხოვრების ნაწილი ვარ, მე ვკრძნობ, თუ რატომ
გამოყოფს გული სიკეთის და სიავის ნაზავს,
ვცადე მიმეგნო ხხვა ხილვებში სხვა ელდორადოს
და რა ვიბოვე? ლამე ლანცებს ცრემლებით ხაზავს!

არაა სახლი ეს კედლები! ქუჩებმა მიხმეს,
უნდა გავიქცე! ბურუსს, ალბათ, გავაღწევ ძედად...
მე, განდევნილი, ჩემს თავს კუძლვნი ქუჩების სიღრმეს,
მის ბინძურ ყოფას საკუთარი თვალებით ვხედავ:
სადღაც, ქუჩაში ტანს მიათრევს ძონების გროვა.

შიგნით კაცია, უსიცოცხლო თვალები უჩანს,
უნდა სიცოცხლე. ნვალობს, ცდილობს, თუ დრომ ადროვა,
თუ არ ადროვა, დროზე ადრე დატოვებს ქუჩას.
თვალებს აცეცებს უბოვარი. ეძებს ნამცეცებს,
უყეფს სტომაქი: „არ მსურს რწმენა, მომე სხვა რამე!“
კაცი ნინი იშვერს ავადყოფურ ხორცის საცეცებს,
არა ნამცეცებს, რესტორნის კარს ხედავს არამედ!
დახუნძლულიყო სუფრა ღვინით, პურით, საცივით,
„გაჭირვებულებს გაუმარჯოს!“ ამბობდა ვიღაც,
თავი ამაყად აენია მაღლა კაცივით
და მისი მზერა სადღეგრძელოს უმსხვრევდა ჯილას!
მე, ამ ყველაფრის ცოცხლად მნახველს, გული მა ზიდებს,
ჩემს სიკვდილამდე ეს სურათი გულში იდება,
ქვეყნად რა მოლევს ნილბიანებს და პარაზიტებს,
გველის მტრედობას და მტრედების გაასპიტებას?

ერთხელ, ღამის ულრანში (მოვარის შუქი ანათებს)
შევდიოდი სიღრმეში, მივათრევდი მძიმე თოფს,
მივათრევდი ზურგჩანთით ხაფანგს და კაკანათებს,
არ ველოდი არც შვებას, არც იმედი იმედობს,
არც სულში არ ველოდი მცირე რწმენის ბარათებს.

უცებ ცნობიერებას იპყრობს რაღაც ხმაური,
რაღაც შუქი და რაღაც ხმები, მძიმე, უხეში,
მივლის ძვლებში სიცივე, ძჭახე, არაქაური,
თითქოს შიშმა გამრიყა, როგორც ბავშვი კუთხეში,
აღიმართა ჩემს თვალწინ თითქოს რკინის ცხაური.

მაინც მივუახლოვდი (ინტერესმა დამძლია)
დავინახე, ეშმაკი კოცონს შემს უკეთებს,
ყარდა ირგვლივ ყოველი, თითქოს ტყეში ანნლია,
გავიფიქრე: „ვერასდროს ვეღარ ვნახავ უკეთესს,“
ხელებს მივრეხს ფობია, ზეაღმართულს, სანთლიანს.

შემამჩნია სატანაშ, მითხრა: „აქ მო პატარა,
ჩემნაირი არა ხარ? ზომაშია ხევაობა.”
ამ სიტყვებმა ამრია, უკლის ხიდზე მატარა,
მხოლოდ ახლა ვიხილე უცხო სანახაობა,
ვერ ვხვდებოდი, რა იყო, სად ვიყავი, სად – არა.

„თვითონ მოდი რქიანო!” – უდარდელად ვუთხარი,
თითქოს არ მეშინოდეს (მაგრამ გული ძლალატობს)
დანთებული ვიხილე ბრაზით წყვილი ბუხარი,
გავაგრძელე: „რა იყო ცოდვილების ჯალათო,
შენ ხომ მუდამ ხარხარებ, რა გაქვს შენ საწუხარი?”

მიბასუხა: „ევას ძევ, მხოლოდ მაშინ ვიცინი,
როცა ჯერათ, მისმენენ, ჩემთან თხოვნით მოდიან,
როცა უკრავს მუსიკად მხოლოდ გველის სისინი,
ვინც პატივს მცემს, ქვეყანა მათვის ოქროს ზოდია,
მევე დავასაჩუქრე ფუფუნებით ისინი!

შენ კი ვინ ხარ, რომ მებრძვი, რას მიბედავ თავხედო?
არასოდეს ახსენო ავად ჩემი არსება,
მხოლოდ მე შემიძლია, ზეცას რისხვით ავხედო,
თუ სურვილი მექნება, ბედიც დაგეთარსება,
არასოდეს ეცადო ჩემთან ბრძოლას თავხედო!”

85

გავიცინე: „რას მიზამ? ხარ ცოდვილთა ვაება,
არ არსებობ, ხარ მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი,
მე ღმერთის მნაშე იცოდე, ურწმუნოთა ღვთაებავ,
მერე თუ დაგინახავ უურებამდე კმაყოფილს,
ჩემში მარხვა და ლოცვა რწმენას თუ გადაება?”

„ერთსაც ასე ეგონა, დღეს კი ჩემი ელჩია
ნყვდიადიდან რძისფერში... თუ გსურს, აზრით შემები,
ის მიხვდა, რომ ზეცაში ყოფნას ჩემთან ერჩია,
მხოლოდ იქ დაცურავენ სტიქში სავსე გემები,
რადგან სასუფეველი მხოლოდ ღრმა ქვესკნელშია.”

„რითი სავსე სატანავ? ცოდვითა და წამებით?
შენ რომ შეგიცდებია, ის საბრალო ვინ არი?
შენ სავსე ხარ ტკივილით, სისხლითა და გვამებით,
მფარველობას მთავაზობ მტერი დაუძინარი,
მაგრამ შენი ცდუნებით მე არ დავიშხამები!”

„დოქტორია საწყალი, ბერიკაცი ასეთი...
ნუთუ უფრო ჭვიანი შენ ხარ, ვიდრე ფაუსტი?!
ჩვენთან მოიხიბლები ვერცხლის სიაღმასეთი,
თუ მიწაზე არნახულ „სასუფეველს” დაუცდი?!

ჯოჯონეთში ნამოდი, სამოთხეა ასეთი!“

„ვიცი, მართლა არსებობ ეშმავ... მომწონს იდეა,
რომ შორს ძავდე!... ასე რომ, წადი, მომწყდი თავიდან!
ვერცხლის გარდა მიწაზე სილამაზე კიდეა,
ტანჯვაც სილამაზეა, ყველა ტანჯვას ავიტან,
თუ ის ღვთისმიერია... ვერცხლში სილარიზეა!“

„გეყო ბოდვა, მომენდე, ჩემზე დიდი ვით არი
შენი ღმერთი? არა თქვა: „ცოდვა არ მაქვს,” ჯიუტო!
ნუთუ, არ გსურს, რომ გახდე მონარქივით მდიდარი
და მიწაზე ახალი სიტყვით იდებიუტო?
ჩემზე აღმატებული შენი ღმერთი რით არი?!”

„თვითონ გეყოს სატანავ! თუ შემაცდენ გგონია?
ენას იღლი ტყუილად, სულ ტყუილად ირჯები,
შემაყვარებ ვერასძროს შენს ცხოვრებას, ქონიანს,
მხოლოდ გამოგყვებიან ბილწნი და მახინჯები,
ჩემს ნინაშე ჯერ უცხო ბალის მარათონია!

წადი, აღარ მოხვიდე, არ მჭირდები, გითხარი,
ჩემგან რა გსურს, არ ვიცი, შენ ნააგე დუელი,
ღვთის სიტყვიდან შენამდე თვით აღმართე ტიხარი,
თავს უშველე იცოდე, შენყალებას ნუ ელი,
გამოგყვება შენ მხოლოდ ბილწი და საზიზლარი!“

უცებ გამოვერკვიე, ჩემი სული მხნედ არი,
მხოლოდ არღვევს სიჩუმეს ირგვლივ მთვარის ხონატა,
არ ყოფილა სხეული თურმე მხოლოდ ცხედარი,
ღმერთმა სული ჩაგვიდგა, სული ქრისტეს მონათა,
რომ მიწაზე გვეხილა ჩვენი ხამოქმედარი!

I

შუაღამის ალერსი... ხილვა ქვაზე ნალესი,
 სიზმრის სინკრისალეში მოჩანს სახე, ვხედავ,
 მონარნარებს მდინარე, მოდის წყალზე მძინარე
 ანგელოზი... ვინ არის ეს ფერია ნეტავ?
 იგი იყო! ვიცანი ჩემი ნატვრა, მიზანი,
 აღარ უნდა მისანი ჩემს მომავალს ახლა!
 შეუძლია განა დროს, რომ სიკვდილი მანატროს,
 არ ექნება არასდროს სულს ნამებულს დაღლა!
 „გენაცვალე – მივმართო – ჩემთ თვალის სინათლევა,
 ახლა შენსკენ მიმათრევ ქვესკნელიდან თუკი,
 სად იყავი აქამდე, მიპასუხე, გამანდე,
 რომ არასდროს დალამდეს ჩემს თვალებში შუქი!
 ისევ გულში იალე, ნუ დამიმსხვრევ ფიალებს
 და ისევ მეტრიფალე, დაივანე მკერდში...
 იქ ავაფრენთ არნივებს, დავცლით ოქროს ბარძიმებს,
 შენი მზერა მამძიმებს, მტირალს რაღას მერჩი?
 ახლაც მიდგას თვალებში შენი ქროლვა-თარეში,
 მარად ღამის მხარეში მომკლა თავის ზიზღმა,
 მომე ძველი სტიქარი, ნუ აღმართე ტიხარი,
 ადრე ფიცი მითხარი, სად წავიდა ის ხმა?
 ახლა ვეტრიფი სამარეს, ხილვა განარამარებს,
 მინივრო, კამარებს როგორ კრავდი ცაში?
 დამიბრუნე ბალლამო ისევ ტკბილი საღამო,
 გველის დაუსაბამო ზეცის თეთრი რაში.

II

ქარებს თუ ენერდი შორს გაფრენილს, ფიქრებით,
 სიყვარულის ღვთაებას რატომ მოსდის ცრემლი?
 ვიცი, ვიცი, დრო მოვა და კვლავ ერთად ვიქნებით,
 ყველა ღამე უშენოდ მანამებს და მწყევლის!
 სად წახვდი ახე შორს? შენთან რატომ არა ვარ?
 ნუთუ, ასე ავია ამა ქვეყნის კრედო?
 გამოვყვები ზეცაში ანგელოზთა ქარავანს,
 რადგან ისევ ვიყვარდე გაფრენილო მტრედო!
 თუ მარადის შენი ხმა სულში ქროდა მზესავით,
 ახლა რატომ ხმას არ ძრებ, რატომ დუმხარ, რატომ?
 ისევ გახდი ჩვენს ველზე სიყვარულის მთესავი,
 შველებურად ვიყვარდე, არ დამტოვო მარტო...
 შენ ის არ ხარ... შენ სხვა ხარ, მას ვუყვარდი, იცოდა,
 გრძნობით როგორ ავენთე, როგორც ცეცხლი ალით,
 არ ჩაკვდება მკერდს მიღმა დრო და მარადისობა,
 არ გაქრება ის სითბო, თუნდაც უკვე მკრთალი...

ახლაც მჯერა, გახდება ის დღუები მარადი;
ჩვენს წინაშე იშლება სასუფევლის ბალი,
გევედრები, მიიღო სიყვარულის ბარათი
და დამასვი სიკეთის სამუდამო დაღი!
მე ბჯეროდა ამ დაღის გადაქცევა ოცნებით
ამჭვეუნიურ სამოთხედ, მაგრამ იგი არის
დამხსერული სასახლე, ფრთხებდაჭრილი ფრთოსნები,
რეალობა ბოროტი, ცივი შუქი მთვარის!...

III

არ გაძქრალა მნათობი! ცის თაღს ვიღა ანათებს,
ან კინ დაღვრის მწუხრის ფაძლს თეთრ დაწვებზე წვეთებს?
ნამიყვანებ! კვლავ მოგწერ სცელი ცეცხლის ბარათებს,
მინა ჩემთვის სიცოცხლეს აღარ გაიმუტებს!
მზეო, რას შეგედრება უწმინდესი განძები?
ნუთუ, ჩემი ძახები არ გილახავს მანდილს?
მიგალობე, ტირილით აღარ დავიქანცები,
აღარასდროს ვიქწები მწუხარების ლანდი!
შხოლოდ შენ შეგიძლია გადარჩენა მითების,
შხოლოდ შენ შეგიძლია გადარჩენა ჩემიც,
მოდი, მკერდზე დამადე შენი თლილი თითები,
ნახე, როგორ ვძაგმაგებ მკვდარი გულის ცემით!

ჩემს ორეულს ყვავილო, შენ ჩააცვი ძახები;
არ დამტოვებს არასდროს შენი სუხთქვის კდება,
ყოველ ღამით გიყურებ კრძალვით და გატაცებით,
ყოველ დილით მემხსერევა ხილვის დიადება.

ნარსულისგან ღრულვილო, თუ კვლავ ერთად ვიქწებით,
ეგ თვალები მე ისევ თუ შენს გვერდზე მხედავს,
ვიძარადებთ ხსოვნაში სიყვარულის ნიგნებით
და სიცოცხლეს ჩაუდგამ ჩემს მოარულ ცხედარს.
ხმა გამეცი ძვირფასო! რატომ აღარ მოისმის
შენზე ნანახ სიზმრებში შენი ტკბილი ძლერა?
შენში არ დევს ნამცეციც მტრობის და ეგოიზმის,
არ დამტოვებ მწუხარეს უნუგეშოდ, მჯერა!...

IV

შემომხედა ასულმა, გამისწორა თვალები:
„ახე ნუ გამიმეტებ.. რაა ჩემი ბრალი?
მეც ვტირი, მეც, ჩემს თვალებს მეც ვენიაგარები,
აქაც მინდა, რომ ვიყო შენთან ყოფნით მთვრალი!
შენთან ისევ მწადია, ისევ შენთან მწადია,
მე ნინ როგორ აღვუდგე მაგრამ ღმერთის ნებას?
მოდი, სადაც უფლის და ღვთისმმობელის ხატია,
შხოლოდ მათში იპოვი რადგან სულის შვებას.

ნამოგცები! მითხარი, სად ბინადრობ, სადა ხარ? ერთურთისტვის შექმნილნი თუ გაგვყარა ბედმა,
 უშენობამ ეს გული შენზე ლოცვით დადაღა,
 რადგან აგცდეს დაცემულს ჯოჯოხეთთან შებმა!”
 „არა! სააქაოში თუ ვსუნთქვდით დიდებით,
 ეს აქ იყო... დარჩი მანდ, კით უმანკო ბავშვი,
 მარტოობას, ძვირფასო, ისევ შევეჭიდები,
 რომ არასდროს წაგართვა სასუფევლის საშვი!
 ბედნიერი იყავი!... სულს ცრებლები ერევა,
 თვალებს – ლამა, გულს – ხსოვნა, ქვითინს – სავსე ჭიქა,
 მხოლოდ, შევთხოვ, ნამართვას უფალს მებსიერება,
 რომ არასდროს მახსოვდეს, რომ იქა ხარ, იქა!”
 ეს კუთხარი და გაქრა იდუმალი ზმანება,
 გაქრა სიზმრის ალერსი, აღარ კელი ბარათს,
 მაგრამ მისი სიმღერა მარად მენანავება
 და ზემოდან მიგალობს მისი ხატი მარად.

XXI საბიუთო 23.06.-02.07.2006.

ქუჩა, კვლავ ქუჩა, ბოლომდე ქუჩა.
 აქ ხალხმა უამი ქაოსს აჩუქა.
 აქ ყველაფერი პეიზაჟია და ფანტაზია.
 აქ კივილებმა არე შეზარეს.
 რა უნდა კუთხრა შემზარავ ზარებს, ბობოქარ ქარებს?
 „ვიძარებ ბოთლებს!”, „ყველანი გარეთ!“
 ვიღაცას უკვირს, მაგრამ ნუ უკვირს
 – საქართველოა, ეს ხომ ახლაც საქართველოა.
 დახშულ ტვინებში, ტელეეკრანზე მოჩანს შეშლილი სახის შერყევა,
 იქერს უკრედებს – მებადურია, შემდევ კი ფანტავს შადრევანივით.
 ნითელჯვარსახა, ნედ-უმადური მებადურების ხმა ჩაწყვეტილი.
 იმიტაცია რეკოლეციების, ლუციიფერი, დინგი სიკვდილის;
 რა ფერის რეკოლუციიფერია?
 და ქალბატონი მის გვერდით მდგომი.
 სკოლის დირექტორს გავს ქალბატონი.
 იმპერია მზის, მოქმედებები, ბევრი ნაწილი ერთი სპექტაკლის,
 სრული დასია, თასიც სრულია და უფსკრულია.
 ხალხი, აქცია, თალხი, სანქცია, ჩვენ, რეაქცია,
 კაცი კი არა, არის მაქცია,
 თავში აკლია, თუ სპექტაკლია?!
 დიდი ხანია, რაც აღარ არის მშვიდი აქციის პრეზენტაცია.
 და თუ აქ ვარდამ კედარ ივარდა, მაშინ ყვავილიც დარჩება დარჩად.
 იქ ფუთფუთებენ, ბუტბუტებენ და ჩურჩულებენ სხვადასხვა ფერის სახეები;

იქ უკურებენ ერთმანეთს ეჭვით.

ცა კი თეთრია ცელოფანივით, რომ შეახრულა ფუნქცია ქუდის
— მათ აღარ უნდათ, გაუდენთილები რომ იყვნენ, აღარ!

ჰა, ერთი კაცი იქ უკურადღებას იქცევს თავისი ამაზრზენობით
და გამხდარია კაცი ხვლიკივით, კიდევ — სკუნსივით არომატული.
(ქუჩის კუთხეში მუსიკალურად ყეფდა, ყეფდა და ყეფდა ქოფაკი)
კაცის კინკრიხოს ამშვენებს ექვსი გაზეპილი თბა, კეფა კი უგავს
ნამარხულევ უდაბნოს ხასხს. კაცია სახედაკენკილი და უცნაური.

იგი კაცია? კაცი ვერ იგებს, თუ რა ნაცია,

გამოხედვა აქვს დემონებისა,

გაურკვეველი ეროვნებისა.

მან არც აცხელა და არც აცია — „20 თეთრი არა ვაააააქვთ?!”

მას დაუჩირდა და გაუჩერდა ღვიძლი, ფილტვები,

კიდევ ყოველი, გარდა ნებისა: „სპირტი!“ არტისტი!

უცაკუუმო სტექტაკლები მიაბიჯებენ

ხალხის თვალებში ანშლავებით, ტაშით, ლრიალით.

დედაქალაქი ტერმიტივით აქტიურია.

იქნებ, მითია რეალური ეს ყველაფერი?

ერთი პარტია ანდამატია, დანარჩენები ყარან სკუნსივით.

იქნებ, ანვალოს ერთმა კითხვამ ასი წლის შემდეგ

ჩვენი სულების საშინელი სიცარიელე:

„შთამომავლობამ თუ გვაპატია?“

90

მოთხოვნილება — მიდის გმობანი. არარატია, კიდობანი
ძველი ნოესი. რა სიზმარია? იქნებ, ბოდვაა ეს ყველაფერი?

ცხოვრება. ჟე, ყველაფერი მასში ეტევა. შერყევა თვითონ...

აქ: შეჯგუდული ხალხი ქუჩაში. მიდის შეტევა ულამაზეს ნაგებობაზე.

არ არის ტევა., „ხალხია ეს, თუ მანქანა ხორცის?!

ვიღაც დედაბერს შეუწებდა ბებერი გული.

„მას აქ რა უნდა? თოხმოცდაჩვიდეტს მაინც იქნება გადაცდენილი!“

— ხალხის თვალებში იწვის ნიშანი კითხვა-ძახილის.

აქ განევაა და გამოწევა, რომ მათუსალას

აღარ შევეხო რამდენიმე ზედმეტი გოჯი.

„ვაიმე, გველავენ!“ — ისმის კივილი, ყველგან ტკივილი,

ლიმილი აღარ, სიკვდილი — ცოცხლად.

„ლამის სანქციამ დაგვაქცია, გვაქცია ცოცხალ გვამად მაქციამ!“

სიტყვა უტყვია, არ შეუტყვია ახალი ვიდრე:

„შევა“ ისაა, ვინც უკვე შევა ისტორიაში, შევიდა უკვე

და შევა, როგორც უდიდებულეს გვამთა ელიტა.

ვინ მოერიდა ერიდას ვაშლებს, თავსხმად ნამოსულს?

მექორწილენის ბნელ სულებში რად ყრია ქვები?

უსაქმურია (მე ხომ ვიცი) ყველა ქვა, გარდა საფლავის ქვისა!

რაში კი ფრთხება გერბზე, ხარხარებს, სანსლავს ლაშქარებს,
ახარებს მხოლოდ ჯოჯოხეთის ურიცხვ ლაშქარებს, ბახალებს ყორნის.

არ ტოვებს აღარც ნაქალაქარებს, ახალ ცხოვრებას ახათაბალებს.
თუ ქაოტური მოვა დღეები,
დედაქალაქის ძებალეები გამეფდებიან
და მომავლის შიშს და ზაფრულ სახის გალერეები
და შავ-წითელი ლელეები მოადგებიან.
და ეფარება ბეკრი ფარები ქუჩას. საჭირო რაში? არ ვიცი.
არავინ იცის! „ტაში, გვირგვინი ეშმაკის სიცილს!”
ჸა!... ვილაცები ამბობებ თურმე. ვიზე? არ ვიცი!
საიდუმლო! ვინ აურია ქართველების სისხლში ურია?
სპონტანურია, თუ უცნაური თურმე ავტორი იმა სცენარის,
ქრელია თურმე ტვინი ჩლუბების, რევოლუცია ნიბელუნგების.
ხალხი და თალხი. რა ახლო არის ერთმანეთთან ეს ორი სიტყვა!
გვამთა გუნდია? ვის შეუნდია ბუნტი ახალი სახახლეების?
აქ ყველგან უნდათ გაშლა კარავის, აქ მოდუნება უნდა არავის.
არავის უნდა მუშაობა, სანარმოები ჩერდებიან ამაოების!
გადაყამირდნენ და დაიბზარნენ მიწები შავი, უხნავ-უთეხი.
უსათუთესი განა მხოლოდ მომავალია?
სული ნარსული? მას ვეტყვით რაღას?
ბრძო დათარეშობს! ერბო და ქილა ნუთუ გლეხკაცის დაიჯერება?
საგიუვთია ეს ადგილი, აქ უამრავი უჯრედები დახტუნაობენ!
გერბი კერპია? არ დაერბია ეგება ახალს ძელი გაგება?
ალორინიება – ნება დინების, მოხადინება მუ ეშმაკის მოლოგინების.
ბილნი და ტვინში განბილებული სურვილი ხალხის,
იგი ოთხუთხა სივრცეში არ ხვრეტს ხალხს და უფლებებს,
არც გისოსებში თავისუფლებებს.
აქ აღარცხება არც ცხოვრება ციხის ცხაურის:
„მინდა ლრიადი, გნიასი და აურზაური!”
პირდაპირ დღისით, მზისით. თბილისი:
იგი სატახტო ქალაქია საქართველოსი, ხომ არ მეშენება?
ქველია იგი და საყვარელი, მაგრამ ხანდახან მისი არია საზიზღარია.
როცა სიმღერა გინდა, ნუ გვიყეფ, ჯობია, ჩუმად იყო მუნჯივით.
იქ, სადაც ძალის თავი მარხია, ყველგან ქაოსი და ანარქია.
იყურებიან მხოლოდ ზევიდან ელიტა გვამთა. ლოდინი ლამის,
ბუნავიდან სანადიროდ გამოსასვლელად, ანდა ლოდინი
დამის, რომ ეგებ სახლში შეასწრობ დაღმეჭილ წყვდიადს,
ის ხომ არაფერს მათ არ პირდება. წითლდება ლამე – სისხლი, ასფალტი,
ფეიერვერკი, რომლებსაც თურმე რა უხარიათ, იცის არავინ.
რა ზღაპარია, აბატ ფარიას ექებებ აქაც, მოუპარია მაგრამ დროს ბედი.
ყველას იოლი გამდიდრება უნდა, აპა რა, თვით „ნმინდანებსაც”.
ხალხი აომდა, ქუჩა გაზომდბა, აშმორდა მინა, სურნელი მყრალი,
სულ დაჭაობდა! რამდენი ხალხი დაობლდა და კვდება რამდენი,
ოცნებებიც ხომ დაომდა და კვდება რაობა,
პური, კბილები, სანახაობა, ეს ყველაფერი არარაობა!

ყველა ლომია, ყველგან ომია, ორმო უნორმო და მე მცონია,
აგონია თქვლეფს უგონობას, ხუნდს კვნეტს მონობა.

სველი ნოემბრის კონტურები:

ადამიანთა საცხოვრისი ქუჩის გუბეა!

ზღვის დონებზე ტვინთა კიდევები გადმოამსხვრია და ემუქრება
გადალეჭვით კაცობრიობას, ვიდრე დროული ზარი დარეკავს, ვიდრე
იგრძნობენ თავებს იობად. აქ ყველა იცის ყველაფერი, ბრიყვი
ბრძენია, ბრძენი დამზნჯდა, აქ ბრიყვს საუნჯე თავში გაუჯდა. დრომ
ყველა გაააინშტაინა, ხვალ რა იქნება, ეთი თაინა. ბავრამ განდევილ
უკრედს მობეზრდა, რომ დრომ იქ, სადაც მისი მსგავსნი დახტუნაობენ,
ამება ამეფა. ნება წბილდება, მეტიც, ბილნდება, რაო და რაო, რა
გაბრწყინდება? თქვენც არ მომიკვდეთ! (ვაი რომ, ვაი)
ხანდახან მინას ბილნავს „ცოცხალი“, დამყაფებული მინის სიდამპლე,
ჩაბუდებულა რომელიც შეშლილ, ახალგაზრდა და უკვე ბებერი
ნარკომანის გადმოკარკლულ თვალთა სილრმეში. „მგონი, ეს კაცი
ნარკომანია“. სადაა ნაღდი სუნთქვის მანია? სადაა ნამდვილი სიცოცხლის
ნდომანი? იქნებ, საჭიროა ნოეს კიდობანი?

ქუჩაში ყრია ბაიანები. თქვენ ვიღაცას ენანავებით, ვიღაცას დაენანებით,
მავრამ მაშველი არ ჩანს ნავები.
შენობა მრგვალი სახურავით. საყოველთაო დგანან ქალები ამ ეტიკეტით:
„ვიყიდები“ და მათ სიმძიმეს ვერ

92

უძლებენ გ ზები, ხიდები. ბილდები თვალო მათ შემხედვარე.
დედიშობილა წარწერები ქცეულან უკროდ.

„ოუკი არსებობს ჩეკი, ვალუტა,

ჩვენთან სიძულვილს აბა რა უნდა?“

— ამბობენ მათზე მიბეჭდილი იარლიყები.

და თუ ვალუტავ, ავხორცობას გაეხიდები,

ფარდაახდილი სიყვარულიც თუ იქცა ევროდ,

თუ ლამე იქცა არგადახდილ სამავიეროდ;

— აი, აქ არის ბინა „ბუტანკის“

და ცხელი ვნება ორანგუტანგის.

ისინი იქით დგამენ ნაბიჯებს, რომ თვით ეროსიც დაამახინვეხს.

ცბიერო ეროს, რად გინდა ევრო, ხორცით ვაჭრობა რომ აძლიერო?

ესეც ნიჭია, მახინჯი ნიჭი, ან დახეული უკან ნაბიჯი.

თვალებს უნახავთ ფრიალი კაბის, მტკიცე უარი, პენუარი საყოველთაო.

„სიძვირე აღარ გამიგია მისი მემავო!“

— ფრთხვინავენ ჯიბულგანვრეტილი და მარტოხელა, უკამაყოფილო კაცთა ჯოგები.

ბასუბი — ხვრეტა ბაყაყური, გრძელი თვალებით:

— მებავო? თქვენ... თქვენ? რა გხურთ ნეტავო?!

ჯიბე კაცების, გახვრეტილი და ცარიელი, ყეფს ქოფაკივით, მას უნდა

მნვანე თავი ფრანკლინის — მაღალი რანგის მაკულატურა.

არა აქვს იგი ჯიბის ხაზინას.

მეორე მხარეს ქალაქისა არის ბაზარი, აქ ყველაფერი არის საზარი,

ხმაგანაბზარი. აქ გლოვის ზარი ნამდვილია, ხელშესახები, აქ თქვენ
იყიდით დაუთორგუნავ სინდისს იაფად, ნაღდია, წმინდა სიხლის,
ქართული, ორიგინალი. იმდენად ნაღდი, ვერ ახდი ფარდას. რა ღირს?
ძვირია, 2 კონა ღირს 15 თეთრი.

„სადაც არ არის უკოლუცია, იქ საჭიროა რევოლუცია!“

— ამას იმპულსი გაპკიონდა ჩახლებილი ხმით და მიკროფონში.

„რევოლუცია ცარიელი ხელებით? არა!“ — თავს უჭვით აქნევს მთელი მსოფლიო.
მაგრამ ვინ ცდება, არავინ იცის

— აქ ტაშს უკრავენ ეშმაკის სიცილს.

იხსნება სიტყვით ყვლაფერი, მაგრამ ყველაფერს არა აქვს ახსნა.

თვით მოსამართლეს ასამართლებს ვინმე სოფისტი

და სიმართლეა უარყოფითი.

„რატომ უკსმინოთ ორატორ სოფისტს,

თუ მის სიმართლეს ცრებლები მოსდის?“ — ისმის გარსებო.

(მე რომ იქვეყნი, აუცილებლად გამიგიერდნენ სტენას სას ზმები)

„ჩვენ რომ არ ვცხოვრობთ სომალიში, კარგია, მაგრამ

ის აღარ მოგვწონს, რომ ვართ ასეთ სქართველოში!“

ტრანსლაციაა აი როგორი, თვით მაჟირა გმირი მთავარი.

გაფითრებული, ხმაჩანუკეტილი, თავანუკეტილი.

გამოაღვიძა მან ხალხი, მაგრამ ღრმად დააძინა აძავე დროში.

ბრძებს თვალის ჩინი უბრუნდებათ, მაგრამ ბრძავდება სინათლე თვითონ.

ჯერ აჩრდილივით დაიარება ფურცელი, სადაც „შევა“ შევიდა,

გიორგობისთვის გასცენარება იწერებოდა მხოლოდ ზევიდან.

უყურადღებო ყურადღება: საღდება ნაღდად შუქი სიბრძავის

და ყაჩაღდება ყვავილიც თვითონ.

ფასი — ძვირფასი, თვალს იტაცებს — პარა პიტნაცეტ.

დაიტაცეს და გაატირაუს მირაუები ერმიტაჟისთვის.

აშთამბეჭდავა უშმურმა უამბა გა ზეთი თავის მსხვრევად ქალაში,

გამზადებული დასაბეჭდავად. ტირაჟი თოხი მიღიონია, სათაური კი

— „ნელინადი ნითელი წვიმის“. სასიამოვნო სურნელს აფრქვევს,

მიხი ტირაჟი მირაულია.

განხეთქილების მაცდურ ვაშლთა ნიოდა წვიმა!

აქ არბატია ყველგან, ყოველთვის,

სადაც კი გინდა გადაფრინდი და საიდანაც გინდა, მოფრინდი,

„დემოკრატია“ სრული და სველი.

შენ, მოსამართლის შავო მანტიაც, შენ, დაგმართნია მითხარი რაღა?

სრული უფსკრული.

კერცლის ბრჭყვიალი გააუკუნეს განგებამ, სივრცემ, დრომ, საუკუნემ.

გაუცნაურდა ყველაფერი. დედები შვილებს დაარიგებენ:

„უცადე, იყო საამაყო და აღარ დანაყო წყალის წყალობა“.

მათ კი ესმით და არ იგებენ.

„გაჩერებაზე გააჩერეთ დროებაც, მე გთხოვთ!“

ძოხი ხმით ამბობს უნა ზესი ვინმე გოგონა.

საზიზლობაა, მგონი, კაცია! გაურკვეველი ორიენტაცია.

ტვინი აშუქებს ცხოვრების სურათს.

სურათში ცურავს არქივი ძეველი და მომავალი დამხრჩალი ურვის. ყველაფერი აქვს ტირანს, საწყალს კი აქვს არაფერი, არ ჩანს ნაპირი, არც შენაპირი, ხორცი იხრჩობა! სული გაფრინდა ზღაპრიდან სადღაც, ახლა კი ფართხალს დაიწყებს ჩონჩხი,

დარჩა რომელიც მარტო და მშრალი უდაბნოსავით!

აქ თავად ჭუჩა ერთი კაცია და ამ კაცს ტიტველ ტანზე აცვია
გაურკვეველი რეპუტაცია. კაცმა არ იცის,
თუ რა „ნაცია“, ან დაკენკილი სახე აქვს რატომ.

მას გაუჭირდა და დაუჩირდა ღვიძლი, ფილტვები, ძრავა, მუხრუჭი.

თვალის გუგებზე, შიგნით, კედლებზე მას ახატია ხურდა ირგმით.

კაცური სახე გაუსახურდა

(ამას რაღაცა ქვია კახურად) ლაპლაპა კანი გახმა, გახუნდა, ხუნდად ქცევია თავი თავისი, უმართავია, გაუმართავი. მისი სახატე გააპარტახეს.

საწყალი, მაგრამ ამა ზრზენია, გათავებია ვა ზნები გულის,

ფიტული არის მოსიარულე. ისტორიული ბუუტურია სიტყვა ყოველი.

„არ ხურს ყინვა სულს, მოველი ნარსულა!“ ტირის თავის თავს

(იქ აქვს ფითოლი, თუ მოუკიდებ, აფეთქდება და
აღარ ხერხდება მისი გაქრობა თურმე უკვალოდ)

„იგი ნავა და სხვა მოვა“. ვიცი.

გამოვა ნეტავ რამე აქედან?

94 აე, გუგუნებს საკუუნე, თავზე ეტყობა ნაკვალევი ძვირი ფეხსაცმლის ხალხს სულიერი არსებობისა! ხსნა არსაიდან! უფრო უნდება აგუგუნება და ვერ ახერხებს და ამა ზრზენი, ყელში კივილად გადაჭცეული,

ის ეხეთქება საკუთარივე ნოტიო ხორხის უგრძეს კედლებს,

როგორც აფთრების ღამეული ხარხარის ექმ!

აუდაბნოებს წვიმის წვეთებს ეს ყოველივე!

მათი გვალვა კი აშრობს კველა აორტის ფეთქვას,

რომ დაიღვაროს ცრემლჩერები პარალელურად,

უამრავი და უბოლოო, უსა ზღვროდ, როგორც მინას ბილბავებ

ბოროტების მსახურნი მარად! მათი ნანილი გულს აურევს მხილველს ნიანგთა, ნანილს ერქმევა ცრემლი სინაზის, უწმინდესია და ხალასი,

რადგან ისეთი, სევლია, როგორც პოეზია,

ან, თუ ასედება მღა შე სითხე შელის ნუკრის თვალებს!

გაჭამათმავლდა ნანილი ხალხის,

გამამათმავლდა,

გაქვენარმავლდა,

შუქნიშანივით სამფეროვნად გაანათებენ ახლა ისინი!

იმ განსხვავებით, რომ არ არის ყვითელი, მწვანე,

მესამე ფერი სისხლისფერია. გაშუქნიშანდა ხალხი იგი:

რომლის დროც მოვა, ის გაბრნყინდება. თურცა, ფერებშიც უცხო არის

უმცირესობა: ცისა და ვარდის აღტერნატივას

ერთდებიან ტრადიციები ახლაც კეთრივით.

არავინ იცის, კაცი ქალია, ქალი კაცია, თუ სენსაცია.

არქაულ ერას ეთქვიფება მთელი ხმაყარო: ქათმები ღრუბლებს

შეეზილნენ, არწივები კი დაემსგავსნენ არქეოპტერიქსს.

სურათი ფეთქავს აი კიდევ: იარაღიან კაცს უჩერებს ავტომობილი.

გაღიმებული ბიჭები შიგნით. ისმოდა ყეფა: „თქვენი უაზრო საბუთები!“
ბიჭებმა: „რაო?“

„დოკუმენტები პირუტყვებო, დოკუმენტები!“

„რა დოკუმენტი, დოკუმენტი თვითონ მაჩვენე!“

„გეყოფა ბიჭო – შიგ კეფაში უჩერებულებენ ამის წარმომთქმელს

– ნუ ხარ ტეტია, ის „მენტია,“ უჯრო ძეტია, ვიდრე რაღაც დოკუმენტია!“
(არის თუ არა ეს ფრაგმენტი ჩვეულებრივი?!)

ამ დოკუმენტს კი საინტერესო გარეგნობა აქვს:

მას თვალები აქვს ისეთივე პატარა, გონჯი და უძეტყველო,
როგორც აქვთ ღორებს, მაგრამ მათში ხომ ანტარქტიდა ეტევა მთელი?!
დინგში – თავები, ერთი-ორი დასტა ფრანკლინის. (დაუბრჩისა რადგან
ივი მას ნაპრალივით) ახალ ერაში მას სული აქვს ბითეკანთრობის,

სული კი, სული – ავადმყოფის (რა გვეშველება?!?) მისი ეშვები,
რომელიც არ ჩანს, საკუთარ პატრონს მხრებზე უჭამს უხილავ სფეროს.
ის უგრძნობია, როგორც პოლუსი.

– „ბიჭო, გადმოდი მანქანიდან!“ – და შეუყეფავს იარაღი
მომღიმარ ბავშვებს. „დღესასწაული არის დღეს ხომ წმინდა გიორგის,
კარგი, არ გვინდა, ნუ ვაწყენინებთ.“ – კარის გაღების

ხმამ თქვა ეს სიტყვა, ლითონის კარის ჩხაკუნი კი

ეავტორება დიდ ტრაგედიას. დამყაყებული ტვინი დაფრთხა
და თითს უბრძანა, სახლეტს გამოკრას და ბიჭი, ასე მომღიმარი,
იქ გაისტუმროს, სადაც, ვინ იცის, გამგ ზავრება როდის ეკუთვნის?!...
უბოდიშოა სცენა იგი იმ სიზმარივით, რომ არა და არ მოუწვევიათ!

უბოდიშოა ეს ყველაფერი!

აი, აირში ტყვია მიელავს, ის ტკბილ ნოემბერს ემორიელა.

მსხვერპლის გვარზე კი გვაგონდება „გველის პერანგი“. 95

ეჟ.

რკინას პატრონი გაუთიშავს და ორი რამე უჩერებია მისთვის ოდითგან: ეს სიბრძავეა და აღმართის მღენაცი ძალა, რომელიც უკვე დაღმართში

გდაი ტვინდახთხეული – დაღმართი მოდის აღმართის შემდეგ!

უფრო გრძელია ეს დაღმართი, ვიდრე აღმართი, რადგან უფსკრულში
უჩინარდება, სადაც ყოველთვის ბინადრობდნენ მონის მონები

– ძენი კაენის, ეთქვიფებიან ეშმაკს რომლებიც!

ამ შემთხვევამ კი უჯრედები დაამეგობრა მილიონობით,
ეს გაფრქვეული ბევრი უჯრედი დაამეგობრა, გაანათა და ათქმევინა:

„რა ამა ზრზენი ფრაგმენტია! ორჯერ დახვრუტა,

ან ასწლიანი პატიმრობა რამდენიმეჯერ, ხვეტა სიბნელის,

ცოფიანი კოცნა კოცონის, იყოს ნეული სიკვდილივით,
უხროტინებდეს ტვინი და ძვლები, უყარდეს გვამი, უღვთო, უმადლო,

ორიათასი ნლის ცხედარივით, თავს რომ კერ აღნევს თეთრი მეტალის
სამარადისოდ წყეულ განაჩენს – სახრჩობელის დამპალ არჩევანს!

თუკი ძოკვდება, გააცოცხლეთ, რადგან დატანჯოს ათასწლოვანმა
ბლაგვმა სპა ზმებმა! ჰა განაჩენი მკვლელს, არა ჩვენი, სისხლით ნაშენი!”
„არსებობს რამე ამის შემდეგ?!“ – ამბობდა ხალხი.

პატრიოტი ზმი იოტი ზმია! ხალხს უკვე აღარ უძლერიან „გიხაროდენო,“

რადგან იციან, ის კერ მიხვდება, თუ რა ზე სიტყვა ნათქვამი.

სადღაც არაკებს აღაბარაკებს ლაბარაკების გაარაკება.

რა ზღაპარია, დროს ბედ-იღაბალი მოუბარია.

„ბედი მომე და გადამაგდე თუნდაც ნაგავ ზე!“ – ამბობდა ოქრო.

აქ ყველამ იცის ყველაფერი, ბრიყვი ბრძენია, ბრძენი დამუჯჯდა,

აქ ბრიყვს საუნჯე თავში გაუჯდა. დრომ ყველა გაააინშტაინა,

ხვალ რა იქნება, ეთი თანა. რა ფრაგმენტია აი კიდევ დედაქალაქში:

ერთ ლამაზ, მრავალსართულიან სახლს აქვს პერსპექტივა

ბიზის კოშკების, შეგ მოფუთफუთ მატრიოშების მიერ ნაყეფი,

ჩასვრილი სიტყვის: „აი, გოდოლი ბაბილონისა!“

ყეფებ და ყეფა ეშეცება ფანტაზიაში უკვე დამსხვრეულ

ნარსულის კედლებს, სადაც ნარსულის სული ჩაკლეს, დგამენ სპეცტაკლებს.

შიგნით შესული ლაპარაკობს ყველა ხევა ენით,

ცოცხლდება თითქოს ძველი კაენი.

ჭრელია ხალხი, ცისარტყელა – მისი სახელი.

ამ სახლში დოლიც იძართება, მფრინავი სიტყვის ულევი დოლი.

ფსონი დიდია, სიტყვა გონჯი და ცეცხლოვანი, ნული ყინულით.

იქ კი, გოდოლში, ბაბილონის უნგრევ გოდოლში,

ბუდე აქვთ მახიჯ კომპრაჩიკოსებს. მათ გამოუშვეს ბოთლიდან ჯინი,

დაარქვეს „ჩვენი ბენჯამენი“ და

მიანიჭეს გა ზაფხულის ფერი მარადი.

ქაჯეთის ციხე ნოემბრის ნვიმებს კელარ გაუძლებს, ეთხრება ძირი!

მაგრამ სახელად ჯერაც ქვია აუღებელი...

ტრანსპარანტები მეტყველებები: „სწობა, ოცნება, გასხივოსნება!“

ნება დემონებს ემონება, ხელში და სულში არ აქვს რამე შეშლილსახიანს.

ცარიელია იგი, როგორც ბრძა ზედაპირი შავი მთვარისა.

ქუჩა, მიტინგი: იგი მიტინგი ქუჩას უჭერს მარწუხებივით.

ჩხვლეტა, ეკადი, მგონი, ახლა ქუჩა გასკვდება!

სიტყვა მფრინავი, ცხელი, კრცელი, ყოვლისმომცველი:

„აღარ უსმინოთ სიტყვას სოფისტის,

ეგ აღარ უნდა ავადმყოფის ტვინს,

აი, ნაყოფი ვიორგობისთვის,

ხელს ნუ გაინვდენთ ცრუ ნაყოფისთვის,

საკუთარ თავის უარყოფისთვის!“

ქუჩა გასუქდა, ხალხი რამდენი! ლრიალი ანგრევს ტყვიისფერ ლრუბლებს:

„აქ ეკადია ჩვენი ძმა და ჩვენი ძმობილი!“

(აქ თვითონ მნათობს აცვია თალხი)

პამ, პიმ, პემ, პომ, პუმ – ასიგნალებს ავტომობილი,
მაგრამ ამაოდ – არ იძვრის ხალხი!

არ არარატი და ტრანსპარანტი სულის კედლებზე:
„მოკვდი ძაღლივით, ჩამოიხრჩე თავი უბედო,
ხარ გომბებშო და ქვემძრომების ეპიდემია
და საკუთარ თავს დაბადება არ გაუბედო!“

თურმე, კეთილი ყოფილა ცუდი,
ცუდს ვუწოდებდით თურმე კეთილებს,
არ ქვია თურმე ქართული ქუდი
სველი ნოემბრის პოლიეთილენს!

„შენ, საქართველოვ, ნაბიჯი ნინ, ნახტომი უკან,“ – ეს უახლესი ისტორია
წარმოთქვამს ასე. ახლოა რაღაც მისისიპი, დნეპრი, ურალი, იანძი, განგი,
ტემზა, სენა, დუნაი, ელბა, მაგრამ ფსოუმდე უშორესი დარჩა მანძილი!
თუ ნისლი ძალას არ ნაართმევს ოქროს მდინარეს,

თუ დრო განდევნის დინებას ჯხოუს,
თვითონ დრო ჩაკლავს სიზმარს ნანატრს და სხივმფინარება...
ხალხი ლა ზერს ხედავს რეშკა-ში
და სურთ, მიუძღვნან რეშკა-ს ფეშაში!

არ უტოპია: ჩვენი მასშტაბით თბილისის ანძა ჯობია კრემლს და ეიფელს,
მაგრამ თავს იჩენს კლაუსტროფობია, ბორგავს, ანკალებს
სულს, ლაღს და დღემდე თავისუფალს, თვითმფრინავები ნამში ივსება
სადღაც მიმფრენი, ცარიელია მიმფრენი რადგან!

მარათონია მთელი ქვეყანა, გარბის ყველა და ყველაფერი,
არავის უნდა ყალბი ტახტები, ბარიერია ყველგან, ყველთვის,
თხრილი ბინძური! სულო ბოროტო, ვერ გადახტები
და გააგრძელე სიარული ასე ტაატით! (საათი რატომ ტრიალებს უკან?!)
სკდება მყვირალა მიკროფონი, ფონი ხმელი და ნაპოვნია
გუშინწინდელი შავი მურივით და კალაპოტი, ასე მშრალი, ასველებს სულსაც!

განხეთქილება, ვაშლი, ერიდა,
ვინ მოერიდა თავსხმად ნამოსულ დამპალ ნაყოფებს?

ნოემბრის ნვიმებს გადარეცხენ მოგონებები.
გიორგობისთვივე თუ იტირებს ცრემლით მარადის,

იგივე ცრემლი გააცილებს კუბოს კარამდის.

ქუჩა, კვლავ ქუჩა, სულ ქუჩა, უფრო.

აქ დრომ ქაოსი კვლავ ხალხს აჩუქა,

აქ ქუჩა თვითონ პერი ზაფირი, რა ლაბაზია აქ ფანტაზია.

ვიღაცას უკვირს, გასაკვირი არაფერი არ არის მაგრამ!

გაერთიანდნენ: ორატორი დირექტორი დიდი სკოლისა.

ბრძა რევოლუცერი სველი ჩახმახით.

მათ ნინ მიუძღვით გიში მებაღე, ხელში სპექტაკლის ყვავილებით.

(რა ფერის რევოლუციურია?)

ეს მომავალში დაჭირდება კი ვინმეს? არვის. კარვის ქალაქებს ალაგებს

ფიქრი მომავლის ბეჭედი კუნძულებიდან,

მარხავს პირდაპირ აბსტრაქტული ნაგვის სილრძეში.
„შესანი შნავი” სამეული ერთად არიან და რეკოლეტერის ფერია აქცი,
რომლის ოცდაერთვალიბრიანი ჩაბმახი არის სველი, ახმახი,
საშიშად იყო შემართული და არ გავარდა!

შეცვალა იგი ბლაგვმა შუბმა
და მოაკვნიტა წამახული წვერი დრაკონბა.
თითო კალიბრი ვისთვის თითო სველი დღე არის,
ვისთვის უგრძესი საუკუნე გიორგობისთვის.
აქ სამი კვირა ოცდაერთი საუკუნეა!
აქ ყვირილებმა არე შეზარეს,
მწარე მარწუხო, რა ვუპასუხო
ბობექარ ქარებს, აბე ზარ ზარებს?!
საქ-ART-ველო ხომ საქ-ART-ველო ა XXI საუკუნეშიც:
„ყველანი გარეთ!!!”

ჩხავილი

5.01.2013.

თოახი ვინწრო, ნეხტიანი. ბნელი კედლები
ირგვლივ აფრქვევენ უცნაურ ჩხავილს.
არ არის კარი, არც სარკმელი, სკამი, ბუხარი.

98

ცენტრში ეყარა ბუმბული შავი.
მე იქ ვცხოვრობდი, საცხოვრისი ეს იყო ჩემი!
მე იქ ვცხოვრობდი, ვიპოვიდი ვიდრე სიყვარულს;
მთელი ცხოვრება ამ თოახს გავს უსიყვარულოდ.

რმი

5.11.2010.

გარდაიცვალა რეი ჩარლ ზი. ის აღარ არის.
ახლა მუსიკა შეიმოსა ნუვდიადის თაღებით
– რაც იყო მისთვის საძულველი და ერთადერთი;
რასაც ხედავდა – იყო ღამე, თუ განთიადი.
როცა მოდიან დაისები, მე მაგონდება...
ის! – უნეტურად მისმაცვლელი რეი,
მისტიური და ლაღი ტემბრის შეძცველი ლანდი,
როცა ბელივით მობაჯბაჯე ადის სცენაზე,
უკრავს როიალს და თმებს გვიყალყებს.

საღამო ჟყვიშვი

29.06.2011.

ჭყვიშში ყოფნისას: იყო ზღვა ხალხი,
საღამო, წვიმა, ოვაციის ნოვაციები,
მუსიკა, ტაში, ლექსთა ზეიმი და ესთეტიკა.
განათებული სახეები სველი პუბლიკის.

მე ვკითხულობდი, დავამთავრე.

მოყარდა ერთი წაბლათმიანი

გოგონა უცებ, მკითხა: “თქვენია?”
“დიახ, ჩემია...” უკასულე გაოცებულმა.

“რა კარგი იყო”...

“დიდი ძაღლობა გენაცვალე,”

“რა გქვიათ?” – მკითხა. “ზვიადი-მეთქი”.

“თუ შეიძლება, მომეციო ლექსი”...

მე გავითიშვ, არ მესმოდა ტაში მქუხარე.
გოგონამ ფრთხილად გამომართვა ლექსი ხელიდან,
გამიღიმა და წავიდა ჩემგან.

და იმ დღის შემდეგ, ღმერთო, სახელი...

მე მუდამ ვნანობ, რომ არ მიკითხავს

ღიმილიანი გოგონასათვის.

99

ლამის ტყე

21.12.2012.

(სალომეს)

ღამეა, ტყეა. გიშრის ქარაფს ანათებს მხოლოდ
ვერცხლის კალმების გაღავნები. მეშუაღამა.

ანგელოზები გადმოვიდნენ შენი ბავედან!

ფეხთით გეყარნენ მოწამდული თეთრი მტრედები.

მე ვქმნიდი შავ ფრთხებს. ბუტბუტებდა ულრანის ბინდი.
ეშმაკებს ვესვრი კლდის ნატეხებს, ქვეყნის ჭაობებს,
შუბლით დავლენავ დედამიწას, დავღეჭავ მთვარეს,

დავხვრებ მდუღარე კულკანის კრატერს,
ავაფრენ მტრედებს, შენს ფეხებთან დაყრილ-მოწამლულს,

ოღონდ კი ერთხელ

და კიდევ ერთხელ

და უსასრულოდ...

ანგელოზები გადმოვიდნენ შენი ბავედან.

მაღალობელი

2.02.2013.

(სალომება)

თენდება მტრედისფრად. ყვითელი ფოთლები
ცაში ლიკლივებენ. მთვარე მიიმალა.
ბახრმობს მოხვეული შენი დალალები.
მათრობს შენი სუნთქვა, უღელს ვეზიდები.
უღელი მძიმეა, ტკბილი და მსუბუქი.
თითქოს მძივებია ცაში ვარსკვლავები!...
არ ვიცი, მე მძინავს, თუ მღვიძავს, ან სად ვარ.
 მე მხოლოდ ის ვიცი
– მე მუდამ ვიქნები შენი მგალობელი.

ნივნის ჩივილი

26.08.2009.

წიგნი ვარ... ჩემი სამყოფელი არის თაროზე,
სხვა ნიგნთა შორის. ახალი არ ვარ, მე ნანახი მაქვს
ათწლეულების მოწყენილობა.

ჩემი ფურცლები ყვითელია, შავი ყდები მაქვს.
ადამიანებს გონიათ, რომ სული არა მაქვს.

100

წლების წინ, როცა თოვლისფერი მქონდა ფურცლები,
მაგიდა იყო ჩემი ბინა, ხელიდან ხელში გადავდიოდი...
 მე მოვლილი მაქვს ბევრი ოჯახი, სად აღარ ვეგდე,
ჩემმა ფურცლებმა ყველა კუთხის მტკერი აწმინდეს.
 ჩემს მტვრიან ყდაზე სურათია უცნობი კაცის.

 ის გამხდარია და სევდიანი,
დიდი თვალებით იყურება სადღაც სიღრმეში.

 ხილულის მიღმა იყურება, ალბათ, უყურებს
იგი ყველაფერს, რაც სხვებისთვის უხილავია.

როდესაც ხელში ამიღებენ და მკითხულობენ,
 მე მიხარია,

მაგრამ ვერავინ ხედავს ამას, რადგან გონიათ,
 რომ სული არ მაქვს...

ვერც დაღონებას ვერ მამჩნევებ, მარტო განვიცდი
 მარადიულ უსარგებლობას

– მე ხომ წიგნი ვარ მომაკვდავი, თაფლის ფურცლებით
 და ერთადერთი ოცნება მაქვს –
 თაროს ტყვეობას დავაღწიო სული ობოლი.

სარჩევი

გზრუდები	3
მარტოსულის ბალადა	3
სურვილი	4
სამშობლო	4
მარტოსული და ყორნების მოდგმა	4
უვალებადობა	5
ზარები, ზარები	6
სიკვდილის სიმღერა	7
ოცნების მწვერვალი	8
როცა გავედი	9
ვით ალუბალი	9
ძე-პატიმარი	10
შეხედე!	10
სადღევრებლო	11
მწვერვალი	12
ნიღბების იმპერია	12
გემო ცხოვრების	13
ჩემი ჯვარი	13
ღამის იალალები	14
ია, თოვლი და პოეზია	14
ბარათი	15
ტკბილი და მწარე	15
უცხო	16
მათხოვრის სიმღერა	16
გაუღენთილი ბარათი	17
18 სექტემბერი	18
7 ნოემბერი	18
ჟიფე გისოსი	19
ის მაინც მოვა	19
ბორკილი	20
პარანოა	21
ელმირას	21
მოხუცის მოთქმა	22
თეთრი ტრაგედია	22
ჩემი სამყაროს იფი	23
ჩემი საგალობელი	24
მგელი	24
ვიცი, დრო მოდიხ	25

მე, მოარულს, რა?	26
ციდან ეშვება ფარდა	26
გველები	27
დიდება იყოს!	27
ვადლეგრძელოთ საქართველო ჩვენი	27
დევნა	28
პოეტს	28
შატილს	29
სიცოცხლის ორჯიდეები	30
თეთრი მარულის ღამეები	30
ანდერძი	31
სიზმრის ღრუბლებში	31
დრო მეფეა	32
გარდაუვალობა	32
ჩვენი უღრუბლო მხარე	33
ზარები	33
შადრევანი	34
სიკვდილის საფლავი	35
თოვლის ველი	35
ნაწნავები	36
102 ქვესკნელები	36
თეთრი სინოტივე	37
ცეცხლი, ცერძერი, საძალლე	37
გამოქვაბულის ილუზია	38
ტყის ტბა	38
თეთრ მინდვრებზე	39
ვენდეტა	39
ჩემი საყდარი	40
ნითელი ღანდები	40
ვნების შადრევნები	41
ცეცხლის ყვავილები	41
მეფე ლირის მანტია	42
ორკესტრი	43
უსაზღვრობა	43
კიდობანი	44
დექა	45
ანათემა	45
მიმზა	46
თოვლის ასული	47
ალიაქტო	48

ნეიმის შადრევნები	48
მდინარის პინდი	49
მარტოობა	49
უბედურის ბალადა	50
ბელები	50
შემოდგომის პეიზაჟი	51
ტიხარი	52
მიჯნურის გლოვა	53
სიცილის ძებნაში	53
ტვირთი	54
ზღვის ბალადა	54
აფთარი	55
თოხეუთხა სივრცე	55
მახსოვს	56
უიმყვავილოდ	56
მარადი თოვა	57
ვიდრე მე წავალ	57
სატანა	58
ბელის სიმღერა	58
ბკვდრის სიმღერა	59
ქალი და ფანტაზია	59
კაცი კაპიშონით	60
ვანო	60
მიმოზები	61
ვანცდა	61
ვანცდა	62
ლეჩხუმის ასული	63
ბრინჯაოს ტბაში	63
სიშორე და დირიჟორი	64
მომენატრები	64
სტროფების ცეკვა	65
შენი თითები	65
ამბოხი	66
ხმა კელიიდან	66
უცხო მღვიმეები	67
სიცოცხლის მიღმა	67
მუდმივობა	68
ახსნა	68
მაინტერესებს	69
ჭაობი	69



ჩემი მისია

თქმლის უწოდებელი, მძიმე ლოდებს ავიცხო,
გნობის ისეფის მძიმე ჩემი კოდის მისია
უმარტველობით და უძალვლელით ცალფა უკანის სუბიცხო,
დამარტველი ხასორი აღმარც განახლების, უისია!
ასე გრძელებიდ უდირს ჩემი არსებით,
ცუკრები უართ სიცოცხლის, ხან ღამის და ხან დილის,
ხან უმსუმით, ხან უფრესით, ინდი ხან გუნთარებით,
ხან უვამდ ჩემი ცოლის აბრა მომის მთხვევილი!
ნუბლები და ცრილები! კულტურის გრადენის უკავლია
დღემილი და ცემის სძე, ჭიბონი და ცტეცები,
ხმილი ჩემი მძალობრივი საცდებო ურაცხლია,
საცდებო სარტყელის ხან მოგანა გადაბუბნებით!
ლონის ლონის და ანულის გვერდი ხალიდი თავისი,
საზამენი ჩემი ჩემი განვითარებით ლილია,
სადაც ჩემი სარტყელის განვითარებით მენედჯერ აყვაბილს
და უწოდებ ადგიანგი უკავაბის გვირგვისი!

ზ. ნ. ევარე

ორმაგი სიცხე	69
განშორება	70
ნაპერნეკალი	71
თუ თვალს გავახელ	72
მე-სიზმარი	73
უცხო	74
ის ტირის	75
შიშის გვირაბი	75
მე თქვენ მიყვარხართ!	76
იღუზია	76
წითელი ტყე	76
დუმილის აღსარება	77
დარჩი და იპრძოლე!	77
დუნაის სიძლერა	77
არ წამიკითხო!	78
სტრიქონების ტროა	78
მარგალიტის ცრემლი	80
საქართველოა	82
იხტერვიუ ეშმაკთან	84
მარადი ღამე	87
<i>XXI საგიუჟი</i>	89
ჩხავილი	98
რეი	98
საღამო ჭყვიშში	99
ღამის ტყე	99
მგალობელი	100
წიგნის ჩივილი	100